გაზეთი ბევრის, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№30 (786) 18 - 19 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

რა „ბრალდებებს“ უმზადებენ ნაციონალები ირაკლი ღარიბაშვილს

18 მარტს, ქუთაისში, შს მინისტრი საპარლამენტო უმცირესობას შეხვდება

გვ. 2

ამერიკელების ულტიმატუმი ბიძინა ივანიშვილს



რა კითხვები აქვს თეთრ სახლს „ოცნებასთან“ და რის დემონსტრირებას ცდილობს ევროპარლამენტარებთან კინკლაობით პრემიერი

გვ. 5

რას ვერ პატიობენ „ოცნებელები“ ეკა ბესელიას, შეიცვლის თუ არა ხათუნა ხოფერია პოლიტიკურ ორიენტაციას და ვისი „პიჟამო“ ეცვა ჩიორა თაქთაქიშვილს ევროპარლამენტართან შეხვედრისას

გვ. 3

სოფლის მეურნეობის მინისტრის სპეციალური ინტერვიუ გლეხებისთვის

რომელი ბანკები, რა მოცულობისა და რამდენპროცენტიან აგრო-სესხებს გასცემენ?

გვ. 6

ვასილ მაღლაფერიძე „ნაციონალებს“ საკუთარ ნაკვეთში, მიწის დასამუშავებლად ეპატიჟება!

ვინ და რა ფინანსური მაქინაციების დამალვას ცდილობს საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილი ქაოსით და რატომ ეძახის აგრარულ უნივერსიტეტს პარტსკოლას ყოფილი დეპუტატი

გვ. 4

საცხოვრებელი კომპლექსი „m^2 იპოდრომთან“ — 9 კორპუსიდან 7-ის კარკასი უკვე აშენებული და გადახურულია

გვ. 9

ნიკუშა შენგელაია რიყეზე „პროქტოლოგიური პროექტის“ სასწრაფოდ დაშლას ითხოვს

რას ფიქრობს „ერისიონის“ მოსკოვურ კონცერტზე და გამოიყენებს თუ არა მხატვარი ივანიშვილთან მეგობრობას პირადი კეთილდღეობისთვის

გვ. 14

„ნუგეშის“ ჯიხურებში ვადაგასული კვერცხი იყიდებოდა?!

გვ. 12

ანა დადიანი

რა „ბრალდებებს“ უმზადებენ ნაციონალები ირაკლი ღარიბაშვილს

18 მარტს, ქუთაისში, შს მინისტრი საპარლამენტო უმცირესობას შეხვდება

საპარლამენტო უმცირესობისა და ნაციონალური მოძრაობის მთავარ სამიზნედ შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მისი ამ პოსტზე დანიშვნისთანავე, იქცა. ბიძინა ივანიშვილის არჩევანი — ვანო მერაბიშვილისა და, მოგვიანებით, ბაჩო ახალაიას, ზღვარგადასული მმართველობით მონსტრადქცეული სტრუქტურის ხელმძღვანელად დაენიშნა კაცი, რომელიც მისი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და რაც მთავარია, წლების მანძილზე გამოცდილი ჰყავდა ერთგულებასა და პატიოსნებაში — სააკაშვილის ხელისუფლების ერთგვარ გამოწვევად ჩაითვალა და ექსპერტების პროგნოზებში ისიც გაჟღერდა, რომ ღარიბაშვილთან პოლიტიკური ბრძოლა საკმაოდ მძიმე იქნებოდა, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც. სწორედ ამ პოლიტიკური ბრძოლის ჭრილში უნდა განვიხილოთ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დანიშნული შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან, რომელიც 18 მარტს, 15 საათზე, ქუთაისში გაიმართება.

მართალია, საპარლამენტო უმცირესობა, რამდენიმეკვირიანი კომენტარებით ცდილობდა, საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ვერასდროს „გაბედავს“ ნაციონალურ უმცირესობასთან პირისპირ შეხვედრას, მაგრამ მან ისევე, როგორც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ აქციაზე მისვლით, ამჯერადაც, ყველასთვის მოულოდნელი სვლა გააკეთა და ღიად განაცხადა, რომ მზად არის, ყველა საკითხზე საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, უპასუხოს ყველა დასმულ კითხვას, რა თქმა უნდა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ასევე ანგარიში ჩააბაროს ოპოზიციას გაწეული სამუშაოს შესახებ.

ისე, წინა მოწვევის პარლამენტებში სამთავრობო საათი ყოველთვის პრობლემა იყო. მინისტრები ან საერთოდ არ მოდიოდნენ დეპუტატებთან სასაუბროდ, ანდა თუ მოდიოდნენ — მხოლოდ საკუთარი პიარისთვის.

თუმცა აქაც არის ერთი „მაგრამ“. ალბათ ვერ გაიხსენებთ თუნდაც ერთ ფაქტს, რომ ვანო მერაბიშვილი ანდა ბაჩო ახალაია, ირაკლი ოქრუაშვილი ანდა გიორგი ბარამიძე (ნაციონალების შს მინისტრებს ვგულისხმობ) ოპოზიციის მიერ მოთხოვნილ შეხვედრაზე პარლამენტში მისულიყო. მეტიც, ხშირად საპარლამენტო მოსმენების ანდა დებატების დროს სამთავრობო ლოჟაში იყო ყველა, ადეიშვილისა და მერაბიშვილის გამოკლებით. ასე რომ, თავად ის ფაქტი, რომ 18 მარტს, ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უცირესობას შეხვდება და შეეცდება, ოპოზიციას „ანგარიში“ ჩააბაროს ანდა მათი კრიტიკა და პრეტენზიები მოისმინოს, უკვე დადებითად შესაფასებელი ფაქტია.

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, ნაციონალების მიერ დაანონსებული საკითხების გარდა, კიდევ რა პრობლემებზე მოუწევს ირაკლი ღარიბაშვილს საუბარი და პასუხის გაცემა, თუმცა მანამდე, ალბათ უმცირესობისთვის სიურპრიზი იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაცია საფრანგეთში მივლინების შესახებ, სადაც სხვათა შორის, ძებნილ პირებთან დაკავშირებული საქმეებიც განიხილეს. აქვე გეტყვით, რომ ქალაქ ლიონში, „ინტერპოლის“ სათავო ოფისში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრები გამართა „ინტერპოლის“ სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან. დაისახა მთელი რიგი მიმართულებებით თანამშრომლობის კონკრეტული საკითხები, დაიგეგმა ერთობლივი მოსამზადებელი კურსები ანტიტერორისტულ და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. უკვე ამ კვირაში დაიწყება ერთობლივი I-Link-ის (ინტერპოლის მონაცემთა ბაზა, რომელიც 24 საათის განმავლობაში განახლებადია, არის უნიკალური და დინამიკური საოპერაციო სისტემა, რომელიც თავს უყრის მონაცემთა ბაზას მსოფლიო მასშტაბით) ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ტრენინგები, რაც დაეხმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ტექნოლოგიების დანერგვასა და ათვისებაში. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პირადად შეხვდა „ინტერპოლის“ გენერალურ მდივან ბ-ნ რონალდ ნობელს და მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს მიერ „ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტების" (პასპორტი და პირადობის მოწმობა) აღიარების შესახებ. ვერ გეტყვით, გაუხარდება თუ ეწყინება ნაციონალურ უმცირესობას ინტერპოლისა და შსს-ს ერთობლივი მუშაობის გაძლიერება, მაგრამ ფაქტია, ამ მიმართულებით სამართალდამცავების მუშაობა საკმაოდ აქტიურ ფაზაში შედის.

მიუხედავად იმისა, რომ შს მინისტრმა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ერთხმად მიღებული ამნისტიის შესახებ კანონის გარკვეული მუხლები ღიად და საჯაროდ ეჭვქვეშ დააყენა და მის მიღებას არ ეთანხმებოდა, როგორც ჩანს, მაინც მოუწევს ამნისტიის აქტის შემდეგ გართულებული კრიმინოგენული პროცესის შედეგებზე პასუხისგება. რას ვიზამთ, ასეთია

აღმასრულებელი ხელისუფლების ხვედრი, კანონმდებლების გადაწყვეტილებებზე სწორედ მათ უწევთ პასუხის გაცემა.

თუმცა ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ვითარება იმდენად საგანგაშო არ არის, როგორც ოპოზიციას სურს, წარმოაჩინოს. დანაშაულის მატების ფაქტები, რომელიც სტატისტიკაში აისახება, პოსტსაარჩევნო და გარდამავალი ეტაპის თანმდევი პროცესია, რაც სამართალდამცავების ეფექტური მუშაობის შედეგად, აწყობილ სტრუქტურაში მარტივად გამოსწორდება. თუმცა ოპოზიცია მაინც აპირებს, ირაკლი ღარიბაშვილს პირველ და მთავარ ბრალდებად სწორედ გაუარესებული კრიმინოგენული ვითარება წაუყენოს.

მეორე ბრალდება — საკადრო საკითხები იქნება, როგორც საპარლამენტო უმცირესობა „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, მათთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რა პრინციპით შეარჩია გუნდი შს მინისტრმა და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პოლიციის სტრუქტურაში დასაქმებული თანამშრომელი. მათივე ინფორმაციით, 1 ოქტომბრის შემდეგ, სამართალდამცავი სტრუქტურიდან დათხოვნილთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს შს სამინისტრო და ამ კითხვაზე ზუსტ პასუხსა და მინისტრის არგუმენტებს სწორედ 18 მარტის სხდომაზე მოვისმენთ.

„ვერსიის“ ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობა ასევე აპირებს, საკმაოდ მწვავედ დასვას კითხვები გუნავას საქმესთან დაკავშირებით. თუმცა, ალბათ, ამ საკითხზე უპრიანი იქნებოდა, თუ იუსტიციის მინისტრსაც მოსთხოვენ პასუხს, რადგან ირაკლი ღარიბაშვილმა სწორედ იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადააბარა გუნავას საქმესთან დაკავშირებული პოლიციელების ბრალეულობის დამტკიცება. ლოგიკურად, ეს მისი მხრიდან ობიექტური ქმედებაც იყო, რადგან შესაძლებელია, შსს-ს მუნდირის ღირსება დაეცვა და საზოგადოებას მის ობიექტურობაში გარკვეული ეჭვები შეეტანა. სავარაუდოდ, ასევე ღარიბაშვილს ინფორმაციას მოსთხოვენ რაფალიანცის, ბაჩო ახალაიას და იმ ნაციონალების საქმეებზე, რომელსაც შს იძიებს.

დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია და, უმცირესობის ყველაზე სუსტ წერტილადაა ქცეული — ეს გახლავთ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის გამოძიება. „ვერსიასთან“ საუბარში დეპუტატები აცხადებენ, რომ ამ საქმეზე არავინ დასჯილა და, თუკი შს მინისტრი პრევენციულ ზომებს არ მიიღებს, დიდი საშიშროება არსებობს, რომ 19 აპრილის აქცია სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. აქცია ბევრად მასშტაბური იქნება და ოპოზიცია შს მინისტრისგან უსაფრთხოების მკაცრი ზომების მიღების გარანტიებს ითხოვს.

„ვერსიის“ ინფორმაციით, ნაციონალები ასევე შეეცდებიან, ეკა ბესელიას შვილთან — რატი მილორავასთან დაკავშირებული ჩხუბის საქმეზე ირაკლი ღარიბაშვილს პასუხი მოსთხოვონ. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი წყარო ვერ ადასტურებს, ნამდვილად მონაწილეობდა თუ არა ბესელიას ვაჟი მარიკა ვერულაშვილის ქალიშვილის დაბადების დღეზე მომხდარ ჩხუბში, საპარლამენტო უმცირესობა მაინც შეეცდება თემის აგორებას და ამით ორ კურდღელს დაიჭერს — მარიკა ვერულაშვილსაც გადაუხდის ნაციონალების ღალატისთვის სამაგიეროს და ეკა ბესელიასაც გაუსწორებს ანგარიშს. ნაციონალები ამბობენ, რომ ამ ფაქტის ღარიბაშვილამდე მიტანას კონკრეტული მიზანი აქვს — თუ აქამდე შსს აცხადებდა, რომ ამ ფაქტის შესახებ არავის მოუმართავს, საპარლამენტო დებატების შემდეგ, ნამდვილად მოუწევთ ინფორმაციის გადამოწმება და დასახელებული პირების დაკითხვა.

ვნახოთ, რამდენად შეძლებს ნაციონალური უმცირესობა შს მინისტრის პოლიტიკურ ორთაბრძოლაში დამარცხებას. ისე კი, თავის დროზე ხელისუფლებაში მყოფებს, ასეთივე სიმკაცრით რომ მოეთხოვათ პასუხი თავის მიერ დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრებისთვის, ალბათ, არც ამნისტიის კანონი გახდებოდა საჭირო, არც პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სტატუსის მიღება. გირგვლიანისა და რობაქიძის საქმეებზე საპარლამენტო ოპოზიცია ისტერიულად ითხოვდა ვანო მერაბიშვილის პარლამენტში მობრძანებას — არ იკადრა, მეტიც, მათ კომისიაც კი არ შეაქმნევინეს 7 ნოემბრის დარბევის, ტელეიმედში შეჭრის, მოგვიანებით კი 26 მაისის აქციის დარბევების საქმეზე... სწორედ ამ დაუსჯელობისა და განუკითხაობის შედეგად მივიღეთ მონსტრადქცეული შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას უკვე სრულიად საქართველოს აკონტროლებდა.

ასე რომ, ეს შეხვედრა ირაკლი ღარიბაშვილისთვისაც სასარგებლო იქნება. მანამდე კი, 16 მარტს, შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 1993 წლის 16 მარტს დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო და გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკო. ამ ბრძოლაში უამრავი პოლიციელი დაიღუპა და ალბათ ყველა ქართველი ვალდებულია, ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი, პოზიცია თუ კრიტიკა მოვისმინოთ, საქმე კი ქვეყნის საკეთილდღეოდ ვაკეთოთ.

ივანიშვილის პარტიაში ვულკანის ამოფრქვევას ელოდებიან?!

რას ვერ პატიობენ „ოცნებელები“ ეკა ბესელიას, შეიცვლის თუ არა ხათუნა ხოფერია პოლიტიკურ ორიენტაციას და ვისი „პიჟამო“ ეცვა ჩიორა თაქთაქიშვილს ევროპარლამენტართან შეხვედრისას

ნათია აბაშიძე

თუ მხედველობაში საქართველოს ხელისუფლებასა და ევროპელ პოლიტიკოსებს შორის გაჩაღებულ მიმოწერას არ მივიღებთ, შეიძლება ითქვას, ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე საინტერესო არაფერი ხდება. უძრაობას, როგორც წესი, დიდი „მოძრაობა“ მოჰყვება ხოლმე. ჰოდა, სავსებით დასაშვებია, რომ ზემოხსენებული „რამდენიმედღიანი სტაგნაციაც“ დიდ პოლიტიკურ ვულკანად იქცეს.

კულუარებში მოარული ხმით, „ვულკანმა“ შესაძლოა, პრემიერ ივანიშვილის პარტიაში იფეთქოს. სხვათა შორის, ამაზე მინიშნება რამდენიმე დღის წინ, რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას, თავად ივანიშვილმა გააკეთა, როცა განაცხადა, თუ ყველაფერი, რაც ეკა ბესელიაზე ვრცელდება, დადასტურდა, ეკას პარტიიდან გავრიცხავო.

ისე გამოვიდა, პრემიერთან პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჟურნალისტმა „ჩაუშვა“, თუმცა კოალიციის ცალკეული წევრები ბესელიას მიმართ მაინცდამაინც დიდი სიმპათიით არასოდეს გამოირჩეოდნენ.

სხვათა შორის, პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, ივანიშვილის დაცვის წევრის, ბესო სურმავას სახელით გავრცელებული აუდიოჩანაწერებიდან ერთ-ერთში სწორედ ბესელია ფიგურირებდა — ჩანაწერის მიხედვით, ზაქარია ქუცნაშვილს არცთუ დადებით კონტექსტში ახსენებდა...

„ვერსიის“ წყაროების თქმით, ბესელიასა და კოალიციის სხვა იურისტთა დაპირისპირება, უფრო სწორად, უთანხმოება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა გაუუქმა. ივანიშვილის ე.წ. იურისტთა გუნდმა სააკაშვილის გადაწყვეტილება, ცხადია, გაასაჩივრა, თუმცა, როგორც შემდეგ ითქვა, გარკვეული იურიდიული ლაფსუსები დაუშვა, რის გამოც, სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. იმხანად, კულუარებიდან გამოჟონილი ხმით, ეკა ბესელია სარჩელის გამართვას ანუ სწორედ იმ ნიუანსების დახვეწას ითხოვდა, რომლის გამოც, სასამართლომ ივანიშვილს მოქალაქეობა არ აღუდგინა, მაგრამ ზაქარია ქუცნაშვილსა და სხვა იურისტებს ბესელიასთვის უთქვამთ, თავი ყველაფრისმცოდნე ნუ გგონია და საქმის გაკეთება დაგვაცადეო. მას შემდეგ კი, რაც სასამართლოს ვერდიქტი ცნობილი გახდა, ივანიშვილს იურისტთა ჯგუფისთვის „საქმე გაურჩევია“. ამ „რაზბორკაზე“ ბესელიას უთქვამს, ვიცოდი, რაც მოხდა, მაგრამ არ მომისმინესო. ამბობენ, რომ ეკა ბესელიას „ოცნების“ იურისტები სწორედ ამ დღიდან დაუპირისპირდნენ, ვერ პატიობენ, რომ ივანიშვილთან „ჩაუშვა“.

სხვათა შორის, „ოცნებაში“ ბევრს, თურმე ისიც არ ესიამოვნა, რომ ივანიშვილმა ბესელია ფოთის მაჟორიტარად წარადგინა. შესაძლოა, ვიღაცები მომავალ პრემიერს ბესელიას წინააღმდეგ „ამუშავებდნენ“ კიდეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ოცნების“ მაჟორიტარების მხარდასაჭერი კამპანია დაიწყო თუ არა, ივანიშვილი პირველად სწორედ ფოთში ჩავიდა და ამით, ერთგვარად, ხაზი გაუსვა, რომ ბესელია მისი ფავორიტია...

გარდა იმისა, რომ პრემიერი პარტიიდან გარიცხვით დაემუქრა, ამ დღეებში ეკა ბესელია კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია — სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისმა ვაჟმა ვიღაც დაჭრა, თუმცა ამ ფაქტს შს სამინისტრო არ ახმაურებს.

მართლაც, საგულისხმოა, რომ შსს-ს სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია არც დაუდასტურებია და არც უარუყვია. გამორიცხული არაა, რომ ამ ხმას ვიღაც მიზანმიმართულად ავრცელებდეს, მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინ, ბესელიას ვაჟი, რომელიც მაშინ არასრულწლოვანი იყო, „კრიმინალური გარჩევისთვის“ საპატიმროში მოხვდა. იმხანად, ეკა ბესელია ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის „დიასახლისი“ გახლდათ და ამტკიცებდა, სააკაშვილმა ჩემზე შურისძიება შვილის დაჭერით გადაწყვიტაო. როგორც მოგვიანებით ითქვა, საფრანგეთი ბესელიას შვილის პოლიტპატიმრად აღიარებას აპირებდა. სააკაშვილს, თურმე, სწორედ ამისი შეეშინდა და ბესელიას შვილისა და ძმის საპატიმროდან გამოშვებაზე დათანხმდა...

ერთი სიტყვით, ჯერ-ჯერობით უცნობია, ბიძინა ივანიშვილი ეკა ბესელიას, რომლის შესახებაც „მამხილებელი ინფორმაციები“ ფოთელმა ჟურნალისტმა რამდენიმე დღის წინ მიაწოდა, ჩამოიცილებს თუ არა, თუმცა იმას, საქმე მარტივად რომ არაა, ერთი დეტალიც ადასტურებს: ფოთის სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა პრემიერს ბესელიას მხარდასაჭერი წერილი გაუგზავნა. თუ ივანიშვილის კარზე ბესელიას მყარი პოზიცია აქვს, მაშინ, ცხადია, ასეთი „კოლექტიური წერილის“ დაწერა დღის წესრიგში არ დადგებოდა.

საერთოდ, ამბობენ, რომ ივანიშვილს კოლექტიური წერილები აღიზიანებს...

ამ დღეებში, საზოგადოების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთი „ოცნებელი“ ქალბატონი აღმოჩნდა — მართალია, სასამართლომ ყოფილი დეპუტატის, ხათუნა ხოფერიას ვაჟი 7-ათასიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, მაგრამ ხოფერიამ შვილის დაჭერა ბუტა რობაქიძის მკვლელობის სიტუაციას შეადარა.

ოფიციალური, ანუ შსს-ს ვერსიით, ბექა ხოფერიამ და მისმა მეგობრებმა 2013 წლის 14 მარტს, ვაკე-საბურთალოს მე-7 განყოფილების უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებლებს, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

„თამარაშვილის ქუჩაზე ათამდე ნასვამმა პიროვნებამ პოლიციელების მისამართით აგრესია გამოხატა. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიუხედავად, პოლიციის თანამშრომლები სიტუაციის განმუხტვას ცდილობდნენ, მაგრამ ერთ-ერთმა ნასვამმა პიროვნებამ სამართალდამცველს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციელმა კი, ვითარების განმუხტვისა და თავდასხმის მოგერიების მიზნით, ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღით, მცირე ინტერვალით, ჰაერში ორჯერ გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელა“, — აცხადებენ შსს-ში.

ხათუნა ხოფერიას თქმით კი, **„სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ ორ პოლიციელს მოუვიდა ჩხუბი. ამ ფაქტს ბექა და მისი მეგობრები შეესწრნენ, შუაში ჩადგნენ და ამ დროს, პოლიციელმა ოთხჯერ გაისროლა... სიტუაცია არის ისეთივე, რაც მოხდა ბუტა რობაქიძის დროს. უბრალოდ, ჰაერში გასროლილი ტყვია არ მოხვდა ჩემს შვილს. ჩემს შვილს რომ ის ტყვია მოხვედროდა, გარწმუნებთ, მერე იქ დაყრიდნენ ავტომატებსაც, ყუმბარებსაც და ყველაფერს, რაც საჭირო იქნებოდა ამ სიტუაციისთვის“.**

სხვათა შორის, ხათუნა ხოფერიას მეგობრებმა, „ვერსიასთან“ პრივატულ საუბარში ხაზი ერთ საინტერესო დეტალს გაუსვეს: ბექა ხოფერიასა და მისი დაკავების შემდეგ, შემთხვევის ადგილზე ის პროკურორი მისულა, რომელსაც ხათუნა ხოფერია 26 მაისის საქმეზე უჩივის — 2011 წლის 26 მაისს ხოფერიას მეორე ვაჟი, რეზო, რომელიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ცოტა ხანს, სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელად მუშაობდა, სცემეს. მას შემდეგ, რაც ხათუნა ხოფერიას ზემოხსენებული პროკურორის გამოჩენა გაუპროტესტებია, საქმეში ახალი პროკურორი ჩართულა...

აქვე, აღსანიშნავია, რომ ხათუნა ხოფერია „ოცნების“ აქტიური მხარდამჭერია — ამას წინათ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საშუალებით, ბიძინა ივანიშვილს ერთგვარი „ღია წერილითაც“ მიმართა და სთხოვა, კენჭი პრეზიდენტობაზე იყაროს...

უცნობია, შვილთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ, ხოფერია პოლიტიკურ ორიენტაციას შეიცვლის თუ არა, თუმცა მისი მეგობრები პრივატულ საუბრებში ამბობენ, რომ ძალოვან სტრუქტურებში, პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა და ყველაფერი თითქმის ისეა, როგორც პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე იყო. ისე, ხოფერიას ვაჟს, ბექას, როგორც ამბობენ, სამართალდამცავებთან პრობლემები ადრეც ჰქონდა...

„ოცნებელი“ ქალბატონების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა: მოგეხსენებათ, ჩიორა თაქთაქიშვილს, რომელსაც თეა წულუკიანი სუსტ ქალად მიიჩნევს, 8 თებერვალს, ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, ცხვირი გაუტეხეს. ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ტელევიზიებმა ერთობ ნიშანდობლივი კადრები გაავრცელეს — პატივცემული ჩიორა, რომელმაც „ნაციონალური კარიერა“ „კმარას“ წევრობით დაიწყო, „პიჟამით“, დივანზე იყო „წამოკოტრიალებული“ — როგორც გაირკვა, 8 თებერვალს, თურმე, ტვინი შეერყა. ჰოდა, ეს „ტვინშერყეული“ ნაციონალი ევროპარლამენტარმა მოინახულა. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ეს ტრიუკი „ნაციონალებს“ პიარისთვის დასჭირდათ, მაგრამ იმას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ავადმყოფმა“ ჩიორამ ევროპარლამენტარს საკუთარ კი არა, სხვის სახლში უმასპინძლა.

მოკლედ, როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით ხდება ნათელი, „ვადაგასული“ პრეზიდენტის გუნდს ბოლო წუთს გადაუწყვეტია, რომ ევროპარლამენტარი ჩიორასთან მიეყვანა, მაგრამ ამ დროს მაღალი რანგის სტუმარი უკვე აეროპორტის ტრასაზე ყოფილა. ჰოდა, „ნაციონალებს“ დასახმარებლად მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები აქტივისტისთვის მიუმართავთ, არიქა, გვიშველე, ცოტა ხნით შენი სახლი ჩიორას უნდა ათხოვოო. ეს კი არადა, ქალბატონ დეპუტატს საკუთარი „პიჟამოს“ წამოღებაც ვერ მოუსწრია და ევროპელ მნახველს რიგითი „ნაციონალის“ „საღამურ ტანსაცმელში“ გამოწყობილი დახვედრია.

ძნელი სათქმელია, ყველაფერი ეს მართლა მოხდა თუ არა, მაგრამ „ნაციონალთა“ პიარ-ფანტაზიის გათვალისწინებით, გამორიცხული არაფერია.

ვერსიანიუსი

კომპენსირებული დევნილები დახმარებას ხელმეორედ ითხოვენ

ბათუმში მცხოვრები დევნილების ერთი ნაწილი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებას ითხოვს და ამბობენ, რომ მათ პრემიერ-მინისტრისგან ჯერ კიდევ არჩევნებამდე მიიღეს დაპირება ბინებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. თემა აქტუალური ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის დავით დარახველიძის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ გახდა. როგორც დარახველიძემ აღნიშნა, სახელმწიფოს არ აქვს ფუფუნება, ფართების შესაძენად კომპენსირებულ დევნილებზე დახმარება მეორედ გაიცეს.

„მაშინ, როდესაც მთელმა მსოფლიომ ნახა, როგორ იყვნენ 7 ათასი დოლარის სანაცვლოდ დევნილები გამოყრილნი საცხოვრებელი სახლებიდან, მინისტრი ასეთ განცხადებებს აკეთებს. გვქონდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ერთი წლის წინ, ის გვპირდებოდა, რომ მიუხედავად იმისა, გაიმარჯვებდა თუ არა, თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებად თვლიდა ბინებით ჩვენს დაკმაყოფილებას. ის თანხა, რაც კომპენსაციის სახით გაიცა ბინის შესაძენად, საკმარისი არ არის. ახლა ვართ უბინაოდ და ვერ ვიხდით ქირას“, — განაცხადა ერთ-ერთმა დევნილმა ნანა ჭანტურაიამ.

შეგახსენებთ, რომ სასტუმროებიდან „მედეა“ და „მესხეთი“ გამოსახლებულ პირებს სახელმწიფომ კომპენსაციის სახით 7 ათასი დოლარი გადასცა.

„ივერონი“

18 მარტიდან პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს

ერთ-ერთი საკონსტიტუციო ცვლილება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს შეუძლია, ერთპიროვნულად დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი.

„გვინდა, გავითვალისწინოთ არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრება, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში — საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ასევე, არ შეიძლებოდეს პარლამენტის დათხოვნა. ჩვენ გვინდა, კონსტიტუციას დავუბრუნოთ დემოკრატიული ნორმა“, — აცხადებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

საპარლამენტო უმრავლესობა იმედს გამოთქვამს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს უმცირესობის გარკვეული ნაწილი მხარს დაუჭერს.

„ნიუ პოსტი“

ვასილ მაღლაფერიძე „ნაციონალებს“ საკუთარ ნაკვეთში, მიწის დასამუშავებლად ეპატიჟება!

ანრუსუდან შელია
557-100-768

რატომ მიიჩნევს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებულ გიორგი ბარათაშვილს „უკანონობის პროდუქტად“ და ვინ ცდილობს ტელევიზიაში შექმნილი ქაოსით ფინანსური დანაშაულის დამალვას, რატომ უწუნებს ტელევიზიის თანამშრომლებს „გმირობას“, როგორ აფასებს აგრარულ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს და იყენებს თუ არა ნაციონალური მოძრაობა სტუდენტებს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად? — „ვერსიის“ კითხვებს „მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე, ყოფილი პარლამენტარი და ასევე, ყოფილი გუბერნატორი, ფილოლოგი ვასილ მაღლაფერიძე პასუხობს.

ვინ და რა ფინანსური მაქინაციების დამალვას ცდილობს საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილი ქაოსით და რატომ ეძახის აგრარულ უნივერსიტეტს პარტსკოლას ყოფილი დეპუტატი

— იმაზე კამათი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები პოლიტიკურად მართული არაა, აბსურდია. ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭო დიდი ხანია, ყველანაირ ჩარჩოს გასცდა და საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიორგი ბარათაშვილი ტელევიზიის გენერალურ დირექტორად სწორედ ამ ბორდ-მა დანიშნა. შესაბამისად, იმის თქმა, თუ ბარათაშვილი დაბრუნდება, ტელევიზიაში ყველაფერი მოგვარდებაო, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობაა. ვფიქრობ, დღეს ტელევიზიაში ვიღაცები მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.

— კონკრეტულად, ვინ ცდილობს ტელევიზიაში ქაოსის შექმნით თავის გადარჩენას ან თუ საზოგადოებრივ მაუწყებელში ერთმანეთს მხოლოდ პიროვნებები უპირისპირდებიან, რატომ მიიჩნევთ, რომ პროცესი პოლიტიკურად მართულია?

— მოდით, ტელევიზიაში არსებული ვითარება მარტივად გავაანალიზოთ: მაუწყებელში ბარათაშვილმა, უბრალოდ, ახალი მიკროკლიმატი შექმნა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერესების გათვალისწინებას ნამდვილად არ გულისხმობს. არ გამოვრიცხავ, ტელევიზიაში პოლიტიკა არც იყოს ჩართული და საქმე მხოლოდ პიროვნულ დაპირისპირებასთან გვქონდეს, რადგან ტელევიზიის შიგნით მიმდინარე პროცესებით დაინტერესების შემთხვევაში, არაერთი კითხვა გაჩნდება — რატომ გაფორმდნენ მაუწყებლის თანამშრომლებად ის ადამიანები, რომლებიც სინამდვილეში, იქ არ მუშაობდნენ, რატომ იხარჯებოდა მხოლოდ ერთ გადაცემაში, თვეში 200 ათასი ლარი და ა.შ. შესაბამისად, პასუხების ძიებაში ბევრი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

ამიტომ, დღეს ტელევიზიაში შექმნილ ქაოსში მონაწილე ადამიანები, ერთმანეთთან დანაშაულებრივად მიბმულები არიან და ახლა თავის გადარჩენას ცდილობენ. დიახ, არ გამოვრიცხავ, ტელევიზიაში შექმნილი პროცესებით მასში მონაწილე პირები სერიოზული ფინანსური დანაშაულის დამალვას ცდილობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პარტია საზოგადოებრივ მაუწყებელზე კონტროლის აღებას ცდილობს, ვფიქრობ, „ოცნების“ მხრიდან გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლასთან საქმე არ გვაქვს.

— გამოდის, თუ თამაში ბორდ-მა დაგეგმა, მისი გადადგომის მოთხოვნაც უპერსპექტივოა?

— პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ, რომ თვითონ გიორგი ბარათაშვილი უკანონობის პროდუქტია, რომელიც სწორედ დღეს არსებულმა ბორდ-მა შექმნა, ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს ხალხის მოსატყუებლად, პრაქტიკულად, ერთი მთლიანობა ებრძვის ერთმანეთს და ყველა სამეთვალყურეო საბჭოს დაკრულ მუსიკაზე ცეკვავს. ბუნებრივია, ბორდი წვალებით, მაგრამ საბოლოო ჯამში, აუცილებლად გადადგება, თუმცა არც გიორგი ბარათაშვილი უნდა დაბრუნდეს თანამდებობაზე, რადგან ეს სამართლიანობის აღდგენა არ იქნება. ტელევიზიის დანარჩენ თანამშრომლებს, რომლებიც დღეს აქტიურად არიან პროცესში ჩართულნი, პირველ რიგში, უკანონოდ გათავისუფლებული კოლეგები არ უნდა დაავიწყდეთ, რომელთა დასაცავად ხმა არ ამოუღიათ. საერთოდ, როცა გმირობას საჭირო დროს ვერ იჩენ, უადგილო დროს გმირის მანტია არ უნდა შემოიხვიო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბორდი, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, ნებისმიერ პარტიას შეეკვრება — როგორც ადრე ნაციონალური მოძრაობის მითითებებს ასრულებდა, დღეს, საკუთარი კეთილდღეობისთვის, „ოცნებასაც“ ადვილად შეეკვრება, თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ამას იკადრებს. ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ მედროვეების ჯგუფია, რომელიც გაქრობამდე ბუნებრივად მივა. საერთოდ, ტელესივრცეში არსებული სიყვითლის დასაბალანსებლად, საზოგადოებრივი მაუწყებელი მოწოდების სიმაღლეზე უნდა მუშაობდეს.

იმ „ექსპერტების“ წყალობით, რომლებიც გინებით იკეთებენ პიარს, საზოგადოებამ ისიც კი ვერ გაიგო, აგრარულ უნივერსიტეტში რა მოხდა რეალურად და საერთოდ, რას ნიშნავს სიტყვა — ავტორიზაცია.

— ითქვა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და აგრარულ უნივერსიტეტში მსგავსი პროცესები მიმდინარეობს. ბატონო ვასილ, თქვენი აზრით, პოლიტიკური ნიშნები არც „აგრუნში“ უნდა დავინახოთ?

— საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად, აგრარული უნივერსიტეტიც „ნაციონალებისთვის“ ერთგვარ რაიხსტაგად იქცა, სადაც შიდა ბრძოლები გავლენის შესანარჩუნებლად მიმდინარეობს, თუმცა აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებაში უფრო ნათელია, რომ პროცესებს განათლებასთან კავშირი არ აქვს. კახა ბენდუქიძე თავად აღიარებს, რომ ეს პროცესი პოლიტიკურად აწყობდა, რადგან მხოლოდ უნივერსიტეტის რექტორი კი არა, პოლიტიკური ფიგურაცაა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ლიბერტარიანულ ფრთას ხელმძღვანელობს. ბენდუქიძე, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, საკმაოდ ინტელექტუალი ადამიანია, ვერ მაჩვენებს ევროპაში ანალოგს, როცა პოლიტიკური ლიდერი, პარალელურად, უნივერსიტეტსაც მართავს. არც ის მომეწონა, რომ საბჭომ აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის შეჩერების გადაწყვეტილება დილის ხუთ საათზე მიიღო. ნათელია, ვიღაცამ, რომელიც ჩემთვის უცნობია, საბჭოს პოლიტიკური ცეცხლი შეუნთო.

— თუ „ნაციონალებს“ ჯერ კიდევ აქვთ იმ დონის გავლენა, რომ მმართველი ძალისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შექმნა შეუძლიათ, გიორგი მარგველაშვილი და, საერთოდ, „ოცნება“ საპასუხოდ რატომ არაფერს აკეთებს?

— აკრედიტაციის პრინციპი, რომლითაც დღეს განათლების მინისტრი ხელმძღვანელობს, ნაციონალური მოძრაობის პირობებში პოლიტიკურ იარაღად შეიქმნა, ამიტომაც მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, მის შეცვლაზე უნდა ვიზრუნოთ. პირადად მე, ამ კანონს, როგორც მინიმუმ, შევაჩერებდი, მაგრამ მარგველაშვილი იმით ამაყობს, რომ ერთადერთი მინისტრია, რომელმაც დაქვემდებარებულ სტრუქტურაში არავინ შეცვალა. საბჭომ კარგად იცოდა, რომ მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას პოლიტიკური აჟიოტაჟი მოჰყვებოდა... კი ბატონო, აგრარულ უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებელთან შედარებით, ბევრად კარგი პირობებია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სტუდენტებს პოლიტიკურ იარაღად იყენებენ?! იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ „აგრუნი“ ჩვეულებრივი უნივერსიტეტი არაა, დაახლოებით, იგივე ტიპის ე.წ. პარტ-სკოლა ფუნქციონირებდა ბაქოშიც.

— თუკი ასეა, ხომ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ავტორიზაციის გაუქმებით, განათლების სამინისტრო სტუდენტებზე „ნაციონალების“ გავლენის შესუსტებას შეეცადა?

— საერთოდ, ყველაფერი ეს ნაციონალური მოძრაობის მიერ წინასწარ გათვლილი პროცესია, რისგანაც, სხვათა შორის, საზოგადოებასაც შეუძლია გარკვეული სიკეთე მიიღოს.

წარმოიდგინეთ, როცა უნივერსიტეტის ერთ კვადრატულ მეტრზე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის რამდენიმე ლიდერის კონცენტრაცია შეინიშნება, დებილები ვართ, ვერ მივხვდეთ, რასთან გვაქვს საქმე? ამასთან, შევჯერდეთ, რომ სტუდენტი ყოველთვის მართალია, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდების პოლიტიკურ იარაღად გამოყენების პროცესში, სტუდენტებისთვის კარგი განათლების მიცემის იდეას ჩირქი მოეცხო. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „ნაციონალებს“ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ და კარგად იციან, ქულების ჩასაწერად ქოთანს ყური რომელი მხრიდან მიაბან. მოკლედ, თავს ვერ მოვიტყუებთ — განათლების კერასთან ერთად, აგრარული უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად, ნაციონალური მოძრაობის ბუდეა!

ისე, თუ აგრარული უნივერსიტეტისთვის მებრძოლ „ნაციონალებს“ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი რეალურად აწუხებთ და ეს მიმართულება უყვართ, მინდა, თითოეულს მივმართო: თოხსა და ბარს გათხოვებთ და ჩემს ნაკვეთში, მიწის დამუშავებაში დამეხმარეთ.

საქართველოს ხელისუფლება ევროპის სახალხო პარტიის ბრალდებებს პასუხობს

„ევროპის სახალხო პარტიის“ მიერ 14 მარტს გაჟღერებულ დეკლარაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კანონის უზენაესობის, მართლმსაჯულების სისტემისა და მედიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, საქართველოს მმართველი გუნდის მიერ უკანგადადგმული ნაბიჯები ქვეყნის პოზიტიურ იმიჯს აზიანებს, საქართველოს ხელისუფლება ოფიციალური წერილით პასუხობს:

„დეკლარაცია ბუნდოვანია და ყოველგვარი მაგალითებისა და დასაბუთების გარეშე შეიცავს ისეთ კრიტიკას, რომელიც საქართველოს ოპოზიციური პარტიის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ პოზიციას ასახავს“. **ხელისუფლების მიერ გავრცელებული მემორანდუმის ტექსტში, ევროპის სახალხო პარტიის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს, მათ შორის, 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარ ინციდენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ზეწოლასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა პუნქტობრივად პასუხობს:**

„პარლამენტს პრეზიდენტისათვის სიტყვით გამოსვლა არ აუკრძალავს, დეპუტატებმა მისი მოწვევის გადავადება ორი მიზეზის გამო ამჯობინეს: პრეზიდენტს სჩვევია დაგვიანებით გამოცხადება (ან საერთოდ არგამოცხადება) წინასწარ შეთანხმებულ გამოსვლებზე, რაც მიუთითებს, რომ იგი საკმარისად არ სცემს პატივს პარლამენტს, ამასთან, სააკაშვილმა უარი განაცხადა პარლამენტის წევრთა მოთხოვნაზე, გამოეხატა საკუთარი მოსაზრება საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისობას ევროპული დემოკრატიის სტანდარტებთან უზრუნველყოფდა. პრეზიდენტ სააკაშვილისთვის არავის უბრძანებია სასახლეში ყოფნა და თუ 8 თებერვალს ძალადობა მართლაც „დადგმული და მოწყობილი“ იყო, იგი ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაგეგმა და არა მმართველმა პარტიამ... ადგილობრივ თვითმმართველობებში შექმნილი ვითარება ცვლილებების უწყვეტი პოლიტიკური პროცესის ნაწილია, რომელშიც მთავრობა და პარლამენტი არ ერევიან. 2012 წლის არჩევნების შემდეგ მთავარ პროკურატურაში, დაახლოებით, 18 000 საჩივარი შევიდა, რომლებშიც აღწერილია წინა ხელისუფლების თანამდებობის პირთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები. მიუხედავად ამისა, შერიგებისკენ ნაბიჯების გადადგმის მიზნით, ხელისუფლება პოლიტიკურ ამნისტიას გეგმავს.

დასასრული მე-5 გვერდზე

რუსუდან შელია
557-100-768

ამერიკელების ულტიმატუმი ბიძინა ივანიშვილს

რა კითხვები აქვს თეთრ სახლს „ოცნებასთან“ და რის დემონსტრირებას ცდილობს ევროპარლამენტარებთან კინკლაობით პრემიერი

ევროპის სახალხო პარტიის 23 წევრი საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ, პრემიერ-მინისტრს, დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლასთან ერთად, პროევროპული კურსის შეცვლის მცდელობასა და ოპონენტების დევნაში ადანაშაულებს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპარლამენტარებს მწვავედ, პრემიერმა კი შედარებით რბილად უპასუხა. 23 ევროდეპუტატის უსტარს ევროპის სახალხო პარტიის წერილი მოჰყვა, სადაც „ნაციონალთა“ მეგობარი პარტია საქართველოს ახალ ხელისუფლებას გარკვეული პირობების შესრულებისკენ მოუწოდებს. რატომ აირჩია ივანიშვილის ხელისუფლებამ ევროპასთან ხისტი პოლიტიკა და როგორ მთავრდება „ეპისტოლარული ომი“? — „ვერსიის“ შეკითხვებს ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი, ექსპერტი კახა გოგოლაშვილი პასუხობს.

კახა გოგოლაშვილი: „ისიც ფაქტია, ბიძინა ივანიშვილს დიდი ხანია, ევროპის სახალხო პარტია აღიზიანებს. ვფიქრობ, ის შესაბამის მომენტს ელოდა, საპასუხო დარტყმა განეხორციელებინა და მათთვის მწვავე პასუხი გაეცა“.

— აღსანიშნავია, რომ ევროპის სახალხო პარტიისადმი ბიძინა ივანიშვილის 7-გვერდიანი მიმართვა ფამილარობითა და ჭკუის სწავლების ელემენტებით არ გამოირჩეოდა, რასაც ვერ ვიტყვით პარლამენტის თავმჯდომარის წერილზე, რომელიც, აბსოლუტურად, დიპლომატიური ეთიკის დარღვევით იყო დაწერილი. დავით უსუფაშვილმა ევროპის სახალხო პარტიის წევრებზე პოლიტიკურად გაუმართლებელი შეტევა განახორციელა, რაც ჩვენთვის მომგებიანი ნამდვილად არაა. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, პრემიერმა განაცხადა, უსუფაშვილმა მიმართვა ჩემი კარნახით დაწერაო.

— ბიძინა ივანიშვილმა ისიც თქვა, ჩემი წერილი პარლამენტის თავმჯდომარისაზე ბევრად მკვეთრი იქნებაო, მაგრამ მისი 7-გვერდიანი მიმართვა დიპლომატიურად შერბილებული იყო. ივანიშვილმა ტაქტიკა რატომ შეცვალა?

— დავით უსუფაშვილის წერილის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნების ელჩებისგან, როგორც ჩანს, შესაბამისი რეაქცია დაფიქსირდა და არც იმას გამოვრიცხავ, პრემიერს შენიშვნა ამერიკელებმაც მისცეს, რამაც, საბოლოო ჯამში, ბიძინა ივანიშვილს წერილის შერბილება აიძულა. პრემიერმა, დავით უსუფაშვილის საშუალებით, ემოციური ორთქლი გამოუშვა — მისი პასუხი სახალხო პარტიის ეპისტოლეს შესაბამისი არ ყოფილა. ევროპარლამენტარების წერილში ის პრეტენზიები, რომლებიც მათ „ქართული ოცნებისა“ და პირადად, პრემიერ-მინისტრის პოლიტიკის მიმართ აქვთ, მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული. ივანიშვილის საპასუხო წერილი კი მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კრიტიკას მოიცავდა. ბევრად გამართლებული იქნებოდა, პრემიერს საკუთარ პოლიტიკაზე ესაუბრა, ვიდრე ყურადღება „ნაციონალების“ შეცდომებზე გაემახვილებინა. საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობებში მსგავსი დეტალების გათვალისწინება მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— ბიძინა ივანიშვილმა ევროპარლამენტარებს საქართველოში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი სპეციალური კომისიის შექმნის ინიციატივით მიმართა, თუმცა პასუხად, ევროპის სახალხო პარტიამ საქართველოს ხელისუფლებას თავისი პირობები წამოუყენა. ქართულმა მხარემ ამ ეპისტოლური ომის გაჩაღებით რა მოიგო?

— ამ ომში დადებითი ფაქტორი სწორედ კომისიის შექმნის ინიციატივაააა, რაც დაძაბული ვითარებიდან სწორი გამოსავალი იქნება, თუმცა პრემიერის ინიციატივა ევროპაში არ გაზიარეს, რადგან დასავლეთში ფიქრობენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვის უფლება სხვა ორგანოს არ აქვს. ბიძინა ივანიშვილის შერბილებული პასუხის მიუხედავად, იქამდე მივედით, რომ მხოლოდ 23 პარლამენტარი კი არა, მთლიანად ევროპის სახალხო პარტია პირობებს გვიყენებს, რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ევროპასთან ახლოს იყოს: იუსტიციის საბჭო ვადაზე ადრე არ უნდა შეიცვალოს და, ამასთან, ის კომისიაც არ უნდა შეიქმნას, რომელიც სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებს ბათილად სცნობს. მოთხოვნებში ხაზგასმითაა მითითებული მედიის დამოუკიდებლობის შენარჩუნების პრინციპზეც. აქ, სავარაუდოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებზეა ლაპარაკი...

— თუკი მმართველი გუნდი ამ პირობებს არ გაითვალისწინებს, რა მოხდება? სხვათა შორის, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის დასკვნის გაზიარებას არ აპირებს.

— თუ სახალხო პარტიაზე ვინმეს შეუძლია თქვას, რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და რომელიმე ძალას ლობირებს, ვენეციის კომისიაზე მსგავსი განცხადების გაკეთება დაუშვებელია, რადგან ეს წმინდა ექსპერტული ორგანიზაციაა, რომელიც შენიშვნებს ევროპული ფასეულობების საფუძველზე აკეთებს. ეს ორგანიზაცია დანარჩენი ევროპისთვის ავტორიტეტულია და მის დასკვნას ყველა ითვალისწინებს.

— რით ხსნით, რომ ხელისუფლებამ ევროპასთან ხისტი პოზიცია სწორედ ვილნიუსის სამიტის წინ დაიჭირა?

— 23 ევროპარლამენტარის წერილი ბიძინა ივანიშვილმა პირად შეურაცხყოფად მიიღო და მათ მიმართ მწვავე პასუხით, პრემიერმა გადაწყვიტა, ქართველებისთვის ეჩვენებინა, რომ ნამდვილი ლიდერია და ევროპელების კრიტიკისაც არ ეშინია. მისთვის სწორედ პიროვნული პრინციპი გახდა მთავარი — საზოგადოებას არ ეგრძნო, რომ იგი დასავლეთის წინაშე სუსტია.

ისიც ფაქტია, ბიძინა ივანიშვილს დიდი ხანია, ევროპის სახალხო პარტია აღიზიანებს. ვფიქრობ, ის შესაბამის მომენტს ელოდა, საპასუხო დარტყმა განეხორციელებინა და მათთვის მწვავე პასუხი გაეცა.

— გინდათ თქვათ, რომ საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოში პიროვნულ ჭრილში განიხილება?

— საერთოდ, საქართველოში ყველაფერი პიროვნულ დონეზე განიხილება და ამას შეუქცევადი ხასიათი აქვს. ისიც ფაქტია, რომ კოჰაბიტაცია საზოგადოებისთვისაც საქილიკოდ იქცა, რადგან ქართველები თავს, როგორც ჩანს, დაპირისპირებების პირობებში უკეთ ვგრძნობთ. როცა ყველაფერ ამის რეალური შედეგი გამოჩნდება — ეკონომიკური სტანგაცია, ინვესტიციებისა და ქვეყნის განვითარების შეფერხება — ვფიქრობ, გვიანი იქნება. მძიმე შედეგის თავიდან ასაცილებლად, მმართველ ძალასთან ერთად, ოპოზიციასაც უნდა მიეთითოს, რომ დამანგრეველი და უაპელაციო თავდასხმები სასწრაფოდ შეწყვიტოს.

— ამასობაში, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ამერიკაში ვიზიტი საკუთარი ინიციატივით გადადო, რადგან აშშ-ში თავისმართლების რეჟიმში ჩასვლა არ სურს. ეს იმას ნიშნავს, რომ თეთრ სახლსაც, ევროპარლამენტარების მსგავსად, ხელისუფლებასთან მწვავე შეკითხვები აქვს?

— რა თქმა უნდა... ამერიკის ადმინისტრაციიდან, როგორც ჩანს, ნამდვილად გაჟღერდა ისეთი მესიჯები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილისთვის მიუღებელია, ამიტომაც აირიდა თავი პირისპირ შეხვედრას — პრემიერი იმ კონკრეტული მიმართულებების დათმობას არ აპირებს, რაც, სავარაუდოდ, ამერიკელებმა მოსთხოვეს. როგორც ჩანს, აშშ-ც, თავის მხრივ, ივანიშვილს აძლევს დროს, ქვეყნის შიგნით შექმნილი ქაოსი დაასტაბილუროს, თუმცა ყველაფერ ამას დალაგების პირი, ჯერჯერობით, არ უჩანს. ვფიქრობ, დავით უსუფაშვილიც იმ მიზნით იმყოფება აშშ-ში, მწვავე შეკითხვებისთვის პასუხი, პრემიერის ნაცვლად, გაეცა, თუმცა ვგრძნობ, იქ საქართველოს ხელისუფლებისგან მეტ გარანტიებს ელოდებიან, რაც დიდი ალბათობით, კოჰაბიტაციის პროცესთანაა დაკავშირებული. ჩემი აზრით, აშშ-ს სურს, საქართველოში დაბალანსებული პოლიტიკური ლანდშაფტი ჩამოყალიბდეს და ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმი მივიღოთ, თუმცა ბიძინა ივანიშვილი ამ დათმობაზე არ მიდის იმ თვალსაზრისით, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ სამართლებრივ ბრძოლას არ ასუსტებს. იმედი მაქვს, ხელისუფლება მალე დაალაგებს დიპლომატიურ ქაოსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დასავლეთთან მსგავსი კონფრონტაცია გაგრძელდა, ევროკავშირისა და ნატო-სკენ სვლაზე საუბარი აბსურდული გახდება.

თუ, ზოგ შემთხვევაში, ამბიციებისა და პრინციპების დათმობაზე არ წავალთ, ამ შენიშვნებს პირდაპირ არ გავითვალისწინებთ და შემოვლითი გზების ძიებას დავიწყებთ, მერწმუნეთ, სახარბიელო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებით. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ევროპელებს ვერ მოვატყუებთ და როგორი შინაარსის წერილებიც უნდა ვუგზავნოთ, ხელის გადაწევაში ვერ მოვუგებთ, ამიტომ ვფიქრობ, მმართველ ძალას დათმობებზე წასვლა მოუწევს, რადგან ევროპის სახალხო პარტიას სერიოზული ბერკეტები აქვს, თუნდაც ვილნიუსის სამიტზე საქართველოს, როგორც ევროპასთან ასოცირებული ქვეყნის განხილვას მხარი არ დაუჭიროს, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინის მსგავს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. თუ ყველაფერი აქამდე მივიდა, ეს პროცესი საქართველოს შინაგანად აუცილებლად დაასუსტებს — ქვეყნის სტაბილიზაცია და დასავლური ინვესტიციის მოლოდინი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

კარგი იქნებოდა, პროცესი აქამდე არ მიგვეყვანა და პირველივე წერილზე თავშეკავებული პასუხი გაგვეცა, რითიც ულტიმატუმის ენით საუბარს თავიდან ავიცილებდით.

საქართველოს ხელისუფლება ევროპის სახალხო პარტიის ბრალდებებს პასუხობს

მე-4 გვერდიდან

რაც შეეხება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმას, ყველა პუნქტი გამჭვირვალობის სრული დაცვითა და მოქმედ მოსამართლეებთან კონსულტაციების შედეგად, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მოსამართლეს ბრალად უკანონო მოქმედება ედება, მთავარმა პროკურატურამ მოქმედ მოსამართლეთა წინააღმდეგ ყველა გამოძიება შეაჩერა. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების უმრავლესობის გათვალისწინებას გეგმავს. რაც შეეხება სპეციალური კომისიის შექმნის ინიციატივას, რომელიც სასამართლოში უკვე განხილულ საქმეებს განიხილავს, მთავარ პროკურატურაში შეტანილ ათასობით საჩივარს ეფუძნება. კომისიის მუშაობა გამჭვირვალობის სრული დაცვითა და სასამართლოს

დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტების მიხედვით წარიმართება, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები „სტრასბურგის სასამართლოს ჩვენთან ჩამოყვანად“ მიიჩნევენ... მედიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, არ ყოფილა არც ერთი შეტყობინება იმის შესახებ, რომ ხელისუფლება მედიასექტორის საქმიანობაში ჩაერია; მეორე მხრივ, მიმდინარეობს 2012 წლის ოქტომბრამდე ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიული მოქმედებების გამოძიება. პრემიერ-მინისტრის წინადადება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და კერძო ტელეკომპანია „მე-9 არხის“ შერწყმის შესახებ აღარ განიხილება, რათა ვინმეს არ გასჩენოდა ეჭვი, რომ ის საზოგადოებრივ მაუწყებელზე კონტროლის მოპოვებას ცდილობს. პრემიერ-მინისტრი ეძებს გზებს, რათა „ძეცხრე არხი“ მის ოჯახთან არ ასოცირდებოდეს. რაც შეეხება მედიის დამოუკიდებლობას, ამის მაგალითია ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც 2007 წელს ძალადობრივი ჩამორთმევისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის გადაცემის შემდეგ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს“.

ამასთან, საქართველოს ხელისუფლება ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტ ვილფრედ მარტენსს მიმართავს კითხვით: „რა ტიპის დემოკრატიის პატივისცემისკენ მოგვიწოდებს ბატონი მარტენსი, ისეთის, როდესაც პრეზიდენტს უფლება აქვს, ერთპიროვნულად დანიშნოს მთავრობა და არაფერი ჰკითხოს პარლამენტს და, შესაბამისად, ხალხს?“

ოფიციალური წერილის ბოლოს კი, დასკვნების გასაკეთებლად და კონკრეტული ფაქტების ადგილზე გაანალიზების მიზნით, მმართველი გუნდი ევროპის სახალხო პარტიას საქართველოში ჩამოსვლისკენ მოუწოდებს:

„ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში ცხოვრობს, პრეზიდენტი თავს უფლებას აძლევს, ფუფუნებაში იცხოვროს. მას აქვს 8 მოქმედი რეზიდენცია, ემსახურება 3500-კაციანი დაცვა და უძვირესი და განსაკუთრებულად კომფორტული თვითმფრინავები. უამრავი ფაქტი იყო ასახული ღია წერილში, რომლითაც პრემიერმა ევროპის სახალხო პარტიას მიმართა. ეს არის ფაქტები, და თუ მაინც ჭირს ევროპიდან ამ ფაქტების დანახვა, გთხოვთ, ჩამობრძანდეთ და ამაში თავად დარწმუნდეთ“.

ყოფილი პოლიტპატიმარი ამბობს, რომ პროკურორის მამამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა

ბათუმის იუსტიციის სახლთან მოშიმშილე ყოფილი პატიმარი და ბიზნესმენი დავით კუკულაძე ინციდენტის შესახებ საუბრობს. დავით კუკულაძეს იუსტიციის სახლის მიმდებარედ კარავი აქვს გაშლილი და პროკურორ ავთანდილ კილაძის სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ მის საქმესთან დაკავშირებით, უკანონო ქმედებები აქვს ჩადენილი.

როგორც კუკულაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მასთან პროკურორის მამა შოთა კილაძე მივიდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ბანერი, პროკურორის გადაყენების მოთხოვნით, ჩამოგლიჯა. დავით კუკულაძე სამართალდამცველებს აღნიშნული ფაქტის შესწავლას სთხოვს.

„მეორე დღეა, შიმშილობის მშვიდობიან აქციას ვმართავთ. მერიისგან გვაქვს ნებართვა, სანქცირებული აქციაა. პროკურორის, ავთანდილ კილაძის მამა შოთა კილაძე მოვიდა. ვიფიქრეთ, ჩვენთან გასაუბრებას აპირებდა. გააჩერა მანქანა, ჩვენს მიერ გაკრული ბანერი კილაძის გადადგომის მოთხოვნის შესახებ ჩამოგლიჯა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგვაყენა, ჩაჯდა მანქანაში და გაიქცა“, — აღნიშნა დავით კუკულაძემ.

დავით კუკულაძე ხელმოწერის გაყალბების ბრალდებით იყო დაპატიმრებული. როგორც ბათუმის რაიონულმა პროკურორმა არსენ ხიჯანაძემ აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის მოკვლევა უკვე დაწყებულია.

„აღნიშნული მოქალაქეების მიერ ზეპირი განცხადება მოხდა პოლიციელთან. პოლიციელმა საქმის კურსში ჩაგვაყენა. კანონის შესაბამისად, ზეპირი შეტყობინების ოქმი გაფორმდა და დაიწყო შემოწმება. ჩატარებული იქნება გამოკითხვა ყველა დაინტერესებული და მონაწილე პირის, რის შემდეგაც მივიღებთ გადაწყვეტილებას“, — აღნიშნა არსენ ხიჯანაძემ.

იუსტიციის სახლთან, დავით კუკულაძესთან ერთად, კიდევ რამდენიმე ბათუმელი შიმშილობს. აქციის მონაწილეები ხელისუფლებას აჭარის რამდენიმე პროკურორის საქმიანობის გამოკვლევასა და სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვენ.

„ინტერპრესნიუსი“

რომის პაპის ინაუგურაციას მსოფლიო პატრიარქიც დაესწრება



1054 წლის შემდეგ, პირველად, მსოფლიო პატრიარქი ბართლომე რომის ახალი პაპის, ფრანცისკის ინაუგურაციას დაესწრება, რომელიც 19 მარტსაა დაგეგმილი, — ამის შესახებ ვატიკანის რადიო იუწყება.

კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ერთად, ცერემონიას წმინდა პეტრეს მოედანზე, იტალიისა და არგენტინის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრები დაესწრებიან.

შარშან ივნისში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მის მიერ რომის მაშინდელი პაპის, ბენედიქტე მე-16-სადმი მიწერილ ეპისტოლეში იმედი გამოთქვა, რომ კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგი გამყარდება.

„მედიანიუსი“



სოფლის მეურნეობის მინისტრის სპეციალური ინტერვიუ გლეხებისთვის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მართალია, სასოფლო-სამეურნეო ბარათები ურიგდებათ, მაგრამ გლეხებმა არ იციან, ზუსტად რა რაოდენობის თანხა უნდა მიიღონ ან ამ ბარათებით რა ტიპის სამუშაოები დაფინანსდება. „ევრსიამ“ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრ დავით კირვალიძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო. ამასთან, „ვერსიასთან“ ინტერვიუში კირვალიძე სოფლის მეურნეობის მილიარდიან ფონდთან, ბიძინა ივანიშვილის დაპირებულ 60 ახალ საწარმოსა და რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ოპონენტების კრიტიკულ-ირონიულ შენიშვნებსაც ეხმაურება და გაოპოზიციონერებულ „ნაციონალებს“ მოუწოდებს, „ხანდახან ცენტრალური გზიდან გადაუხვიონ და გლეხებს გაესაუბრონ“.

— აუცილებლად უნდა დავაზუსტო, რომ გლეხები ბარათებს იღებენ და არა — თანხას ანუ ეს ვაუჩერები კი არა, მშრომელი ადამიანისთვის სერვისის შეთავაზებაა.

საერთოდ, ორი სახის ბარათი არსებობს — ნომინალური, რომლითაც გლეხი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს შეიძენს და კომბინირებული, რომელიც ნიადაგის ხვნისა და გაფხვიერებისთვისაა განკუთვნილი. ამ ბარათს ისინი მიიღებენ, ვინც 0,25-დან 5 ჰექტრამდე ფართობის მიწის ნაკვეთს ფლობს. პროგრამის ფარგლებში, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან ფინანსდება და 200 000 000 ლარი ჯდება, ბარათს სულ 640 ათასი გლეხი მიიღებს.

პირველ ჯგუფში ის გლეხები შედიან, რომლებიც 0,25 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთს ფლობენ. ამ ბარათით, რომლის ნომინალური ღირებულება 100 ლარია, გლეხს შეუძლია, სასურველი ნედლეული, ინვენტარი, მცენარეთა დაცვისა და შესაწამლი საშუალება შეიძინოს.

მეორე ჯგუფში შედიან გლეხები, რომლებიც 0,25-დან, 1,25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს ფლობენ. 1 ჰა-ზე ბარათის ნომინალური ღირებულება 510 ლარია, 0,25 ჰა-ზე კი, — 300 ლარი. სხვათა შორის, ეს ციფრები ჰაერიდან არ მოგვიტანია — მიწის რეფორმის დროს დადგინდა, რომ მცირემიწიანად ითვლება გლეხი, რომელიც 0,25-დან 1,25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს ფლობს...

ალბათ, იკითხავთ, ეს ბარათები, ძირითადად, მიწის სახნავად გამოიყენება და პირველი ჯგუფის ბენეფიციარს ამ მომსახურების მიღება რატომ არ შეუძლიაო? — იმიტომ, რომ 0,25 ჰექტარი ქვედა ზღვარია და ამ ფართობზე ტექნიკას მუშაობა უჭირს. ცნობისთვის: საქართველოში 0,25-დან 1, 25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს 610 000 ადამიანი ფლობს.

მესამე ჯგუფში შედიან გლეხები, რომლებიც 1,25-დან 5 ჰექტრამდე მიწას ფლობენ და მათი ბარათის ნომინალური ღირებულება 640 ლარია.

ეს პროგრამა იმისთვის შეიქმნა, საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც უკვე დაიწყო, ხელი შეეწყოს. მარნეულში, ბოლნისში, კახეთსა და იმერეთში სასოფლო-სამეურნეო ბარათები უკვე დარიგდა. სხვათა შორის, იმერეთში ხვნაც დაიწყო, მაგრამ ამინდმა გაგვაჩერა — ძლიერი წვიმა მოვიდა. ბარათები სამეგრელოში, გურიასა და აჭარაშიც მალე დარიგდება, შემდეგ მთაშიც ავალთ და იმედია, ამინდი საშუალებას მოგვცემს, ეს სამუშაო აგროვადების დაცვით ჩავატაროთ.

ამ ბარათებს 640 ათასი ადამიანი ელოდება, ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს პირი რომ დაუღია და იძახის, სად არის დახმარებაო, კარგად გაიხედოს და დაინახავს, სადაც არის! ოპონენტებმა ისიც გაითვალისწინონ, რომ ამ მასშტაბის დახმარება ჯერ არ ყოფილა, 640 000 ადამიანს მხოლოდ გამარჯობა რომ უთხრა და გულიანად მოიკითხო, მინიმუმ, 5 წუთი გინდა. ახლა კი, წარმოიდგინეთ, ყველას კარზე ტრაქტორი უნდა მივიდეს და ნაკვეთი დაუმუშაოს. ეს კი საკმაოდ შრომატევადია.

— ბატონო დავით, სოფლის მეურნეობის ფონდი გლეხებსა და ფერმერებს მცირე კრედიტის მიღებაშიც უნდა დაეხმაროს და ამ თემაზე, როგორც ვიცი, კომერციულ ბანკებთან მოლაპარაკება დაწყებული გაქვთ. რომელი ბანკები, რა მოცულობისა და რამდენპროცენტიან აგრო-სესხებს გასცემენ?

— კომერციულ ბანკებთან ვერბალური შეთანხმება გვაქვს და სწორედ ამიტომ ვერ გისახელებთ, ამ პროგრამაში მონაწილეობას კონკრეტულად რომელი კომერციული ბანკები მიიღებენ, თუმცა შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ სამი ტიპის აგრო-სესხს გავცემთ: პირველი, მრავალრიცხოვანი და პატარა სესხის მოცულობა 5 ათას ლარამდე იქნება და ეს სასაქონლო განვადების პროგრამაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირე ნაკვეთის მქონე ფერმერს, რომელსაც მიწა საკუთრებაში აქვს და სურს, რამე აწარმოოს, შეეძლება, სეზონზე, 6 თვის ვადით, მცენარეთა დაცვის საშუალებები ან სათესლე მასალა ამ პროგრამაში რეგისტრირებულ მაღაზიაში შეიძინოს, სადაც კონკრეტული საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელიც იქნება ანუ გლეხი ფულს ხელზე კი არ მიიღებს, არამედ, გარკვეული ღირებულების საქონელს აირჩევს და 6 თვის შემდეგ, ზუსტად იმ თანხას უპროცენტოდ გადაიხდის, რა თანხის საქონელიც აირჩია. თუ, მაგალითად, 1 000-ლარიანი ნედლეული შეიძინა, 6 თვის შემდეგ 1 000 ლარს დააბრუნებს.

მეორე ტიპის სესხის მოცულობა 5-დან 100 ათას ლარამდეა და ამ თანხას გლეხი საბრუნავი საშუალებების შესაძენად გამოიყენებს ანუ ამ კრედიტით გლეხს შეუძლია შეიძინოს, მაგალითად, მაკე ძროხა, მეკვერცხული ქათმები, გოჭები, ღორები და ეს თანხა 2 წლის შემდეგ დაფაროს. 50 000 ლარამდე პროგრამაში მიკროსაფინანსო ინსტიტუტები მონაწილეობენ, 50 000 ლარის ზემოთ კი, კომერციული ბანკები ერთვებიან. მსესხებლისთვის პროცენტის ზედა ზღვარი 8%-ით განისაზღვრება. მართალია, ბანკები 17%-იან სესხს გასცემენ, მაგრამ გლეხს 8%ზ-ე მეტი არ გამოუვა, რადგან დანარჩენ პროცენტს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დაფარავს.

მესამე და დიდი კრედიტის მოცულობა, რომელიც პრემიერ-მინისტრის დაპირებულ 60 ახალი საწარმოს შექმნას ეძღვნება, 1 000 000 000 ლარამდეა. ამ სესხით საწარმოები — პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო, ჩაის ფაბრიკა, მეცხოველეობის ფერმა ან სასაკლაო უნდა შეიქმნას.

მეორე და მესამე ტიპის აგრო-სესხი ნებისმიერ მსურველს, რომელიც იტყვის, საწარმოს შექმნა მინდა და ფული მჭირდებაო, არ მიეცემა, რადგან ეს ბიზნეს-სესხია, რომლითაც ფერმერმა ბიზნესი უნდა ააწყოს და კარგად დაასაბუთოს, რას გააკეთებს ან როგორ დაფარავს სესხს, რომელიც შესაძლოა, 7-წლიანიც იყოს.

— სამინისტრო, ბანკები და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, მეორე და მესამე ტიპის კრედიტით, თუ სწორად გავიგე, სოფლად კოოპერატივების, ან თუნდაც მსხვილი ფერმერული მეურნეობების შექმნას უწყობს ხელს. ისე, თქვენს წინამორბედებს კოოპერატივების იდეა მაინცდამაინც არ ხიბლავდათ...

— დიახ, სწორად გაიგეთ, კარი ყველასთვის ღიაა და ხელს მხოლოდ მსხვილ ფერმერებს კი არა, მეწარმეებსაც ვუწყობთ.

რაც შეეხება კოოპერატივებს, უკვე არსებობს კანონპროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტში, ჩვენს კომიტეტში, სამშაბათს, 19 მარტს განიხილავენ. გავიარეთ კონსულტაციები გერმანელ, ამერიკელ და ევროკავშირის ექსპერტებთან და ესტონელებს ვესაუბრეთ, რომლებმაც გვითხრეს, რომ ესტონეთის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ეს ყველაზე მტკივნეული რეფორმა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს რეფორმა აუცილებლად უნდა დავიწყოთ, რადგან დანაწევრებულ და პატარ-პატარა ნაკვეთებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. მიწები კომერციულ წარმოებაში უნდა ჩაერთოს და ამის ბუნებრივი წყარო კი კოოპერატივებია, რაც ერთ დღეში არ შეიქმნება. კოოპერატივი დემოკრატიისა და სოლიდარობის პრინციპზეა დაფუძნებული — იქ ერთმანეთს ეხმარებიან, ოღონდ საჭიროა ლიდერი, რომელიც კოოპერატივს უხელმძღვანელებს და რომელსაც გლეხები აირჩევენ.

— დღეს განსაკუთრებით აქტუალური რუსეთის ბაზარია. ბატონო დავით, ქართული

ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტთან დაკავშირებით, რა სიახლეა?

— პირველი რაუნდი, პრაქტიკულად, დამთავრდა — ინსპექტირების შემდეგ, საწარმოების დიდმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი მიიღო და ახლა მათი რეგისტრაციის პროცესია. პარალელურად, 18 მარტს, რუსეთში მეორე დელეგაციას გავგზავნით, რომელიც ალკოჰოლური სასმელისა და მინერალური წყლების გარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფართო სპექტრის ექსპორტზე დაიწყებს მუშაობას. ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტს აუცილებლად უნდა მოჰყვეს სოფლის მეურნეობის ყველა სახის პროდუქციის — ხილის, ბოსტნეულისა და ციტრუსის ექსპორტი.

— ამას წინათ, პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში მეღვინეებს შეურაცხყოფა მიაყენა, რუსებს თათებზე გაუწექითო, რის შემდეგაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა იფიქრა, რომ ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტს ისევ პრობლემები შეექმნებოდა...

— ასეთი ლექსიკით საუბარი, რა თქმა უნდა, ცუდია. ყველას მოვუწოდებთ, თავი შეიკავოს და ბარიერებს ხელოვნურად ნუ შექმნის.

არავინ არავის არც გაუწვა და არც ვინმეს ხელი აკანკალება — მეღვინეები რუსეთის დელეგაციას ღირსეულად დახვდნენ. საერთოდ, რუსეთის ბაზარზე ღირსეულად ვბრუნდებით და არავის ველაპარაკებით მოწყალების ტონით. ჩვენ ხარისხიანი პროდუქცია გვაქვს, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი ქვეყნის ბაზარზე ბრუნდება. გარდა ამისა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა აუცილებლად უნდა დალაგდეს, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენით იწყება. არავის აქვს ილუზია, რომ ხვალ გავიღვიძებთ და რუსეთთან ყველა პრობლემა მოგვარებული იქნება. ეს მტკივნეული და ეკლიანი გზაა, რომელიც ყველამ ერთად უნდა გავიაროთ და ეს ურთიერთობა ცივილურად დავალაგოთ.

— ცოტა რთული კითხვაა, მაგრამ თუ იცით, რუსეთში, პირველ ეტაპზე რა რაოდენობის ღვინო და მინერალური წყალი უნდა გადატვირთოთ?

— დღეს ამას ვერავინ დათვლის, რადგან ახლა საგაზაფხულო სეზონია და ამ დროს ყველა კომპანიას მოსავალი მოწეული, დაბინავებული და შესყიდული აქვს, მარკეტინგული სქემა და გეგმებიც დალაგებულია და სხვა ბაზრების მიმართულებით მუშაობს. მართალია, რუსეთის ბაზრის დაბრუნება მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს სხვა ქვეყნების ბაზრების „გადაგდებას“ არ ნიშნავს. ზოგ კომპანიას შესაძლოა, ამ ეტაპზე არც კი ჰქონდეს რეზერვი, რომ რუსეთის ბაზარზე შევიდეს, მაგრამ მთავარია, უფლება მიიღოს, დარეგისტრირდეს და შემოდგომისთვის მოემზადოს. ის კი, ვისაც რესურსი აქვს, ახლავე დაბრუნდება.

— თქვენი ოპონენტები და სკეპტიკოსები ამბობენ, რუსეთში ვის რაში სჭირდება ხარისხიანი და ძვირადღირებული ქართული ღვინო და მინერალური წყალი, როცა ბაზარი ფალსიფიცირებული მოლდოვური და სომხური პროდუქციითაა გაჯერებულიო...

— ჩვენი რეალური კონკურენტი არც ერთი ქვეყნის ღვინო არაა, რადგან ქართულ ღვინოს თავისი სეგმენტი აქვს. რუსეთში, შეიძლება, დიდი რაოდენობის მოლდოვური ღვინო იყიდება, რადგან დაბალფასიანია, მაგრამ ქართული ღვინო თავის კონკრეტულ სეგმენტში გაიყიდება. იმ პროცესმა, რაც ბოლო დროს დაიწყო — რუსეთიდან დელეგაცია ჩამოვიდა, საწარმოები შეამოწმა — ქართულ ღვინოს სერიოზული რეკლამა გაუწია. ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის ბაზარზე დიდი მოლოდინია და ვფიქრობ, ქართული პროდუქცია საკუთარ ნიშას ნელნელა დაიკავებს. მეტსაც გეტყვით, რუსეთს ვთავაზობთ, მონიტორინგის ჯგუფი ადგილზეც შეიქმნას, რათა სხვა ქვეყნებში ჩამოსხმული, ქართული დასახელების ფალსიფიცირებული ღვინო არ გამოჩნდეს და სახელი არ გაგვიტეხონ. იმასაც ვთავაზობთ, რომ სერტიფიცირებული ქართული პროდუქციის სრული ჩამონათვალი რეგულარულად მივაწოდოთ და ყველაფერი, რაც ამ ჩამონათვალში არ იქნება, შეუძლიათ, არაქართულ პროდუქციად ჩათვალონ.

— ეს გასაგებია, მაგრამ ოპონენტები, ასევე, ირონიულად გკითხავენ, განა, რა რაოდენობის პროდუქცია უნდა გავიდეს რუსეთში ექსპორტზე, რომ ამით საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღდეს... ამ პროცესის ეკონომიკური ეფექტი დათვლილი გაქვთ?

— ამ კითხვაზე მარტივად გიპასუხებთ: ნებისმიერი მათგანი ჩავიდეს სოფლად და გლეხს ჰკითხოთ, ელის თუ არა რუსეთის ბაზრის გახსნას. ცენტრალური მაგისტრალიდან გადაუხვიონ, ცოტა გაიარონ, მერე გაჩერდნენ და ხალხს გაესაუბრონ, შიდა ქართლელ გლეხს ჰკითხონ, ვაშლის გატანა უნდა თუ არა, აჭარელს ციტრუსზე, კახელს კი ღვინოზე გაესაუბრონ. სოფელში დავდივარ, ხალხს ვესაუბრები და ვიცი, გლეხები რასაც უპასუხებენ...

პენსიონერთა კეთილდღეობის ინდექსით, საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე მაჩანჩალაა

საერთაშორისო ორგანიზაცია Natixis Global Asset Management-მა (NGAM) მსოფლიოს მასშტაბით პენსიონერთა 2013 წლის კეთილდღეობის ინდექსი გამოაქვეყნა. რეიტინგში სულ 150 ქვეყანა შევიდა, მათ შორის, საქართველოც.

როგორც ორგანიზაციის მკვლევარები განმარტავენ, რეიტინგზე მუშაობისას რამდენიმე კრიტერიუმით იხელმძღვანელეს, მათ შორის — პენსიონერთა ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, პენსიონერთა მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების დონე თუ შემოსავალი.

საქართველო 150 ქვეყნისაგან შემდგარ რეიტინგში 89-ე ადგილზეა, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი, ერთ-ერთი ყველაზე უარესი შედეგია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო მხოლოდ აზერბაიჯანს (89-ე ადგილი), უზბეკეთს (105), ტაჯიკეთსა (117) და თურქმენეთს (142) უსწრებს. რუსეთი 70-ე ადგილზეა, უკრაინა – 72-ზე, სომხეთი – 80-ეზე, ყირგიზეთი – 78-ეზე, მოლდოვა - 76-ზე, ყაზახეთი – 66-ეზე, ლიტვა – 38-ეზე, ბელორუსი – 47-ეზე, ლატვია - 65-ზე, ხოლო ესტონეთი – 43-ზე.

რეიტინგს ნორვეგია ლიდერობს, მეორეზე შვეიცარიაა, ხოლო მესამეზე — ლუქსემბურგი. ბოლო ადგილზე ზიმბაბვე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში დღეისთვის პენსიის საშუალო ოდენობა 110 ლარს შეადგენს.

„მედიანიუსი“

სომხური ორგანიზაციის დირექტორი აშშ-ს კონგრესს ჯავახეთში მცხოვრები სომხების დაფინანსებისკენ მოუწოდებს

აშშ-ში მოქმედი სომხური ორგანიზაციის ANCA-ს დირექტორმა რაფი კარაკაშიანმა შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო ასიგნებების კომიტეტს სომხეთის, მთიანი ყარაბაღისა და ჯავახეთში მცხოვრები სომხების ფინანსური დონაციისაკენ მოუწოდა.

სომხური მედიის ცნობით, კარაკაშიანი აშშ-ს კონგრესის სხდომაზე მოხსენებითაც გამოვიდა და განმარტა, თუ რატომ უნდა დაეხმაროს აშშ-ს ხელისუფლება ზემოხსენებულ სუბიექტებს. მისი თქმით, ჯავახეთში მცხოვრები სომხები აშშ-ს ფინანსურ დახმარებას საჭიროებენ იმისათვის, რომ საქართველოს აღნიშნულ რეგიონში მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას და ადამიანებმა დასაქმება შეძლონ. კარკაშიანის თქმით, ჯავახეთში მოსახლეობა სიღარიბეში ცხოვრობს.

„მედიანიუსი“

დღეიდან დიდი მარხვა დაიწყო



18 მარტიდან დიდი მარხვა იწყება. დიდმარხვა აღდგომიდან 7 კვირით ადრე იწყება და, სხვა მარხვებთან შედარებით, განსაკუთრებით მძიმეა.

თევზით ხსნილია მხოლოდ ხარებისა და ბზობის დღესასწაულები. დიდმარხვის პირველი ოთხი დღის განმავლობაში ანდრია კრეტელის სინანულის კანონი იკითხება. დიდი მარხვის დროს ორი უდიდესი დღესასწაული — ხარება და ბზობა აღინიშნება.

მართლმადიდებელი ეკლესია დიდი მარხვის პერიოდში, ორმოცი დღის განმავლობაში, მიცვალებულებს იხსენიებს. გარდა ამისა, ყოველდღიურად, პარასკევს საღამოდან კვირა დილის ჩათვლით პერიოდის გარდა, წმიდა ეფრემ ასურის ლოცვა იკითხება.

წელს მარხვა 5 მაისს, უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულით დასრულდება.

„მედიანიუსი“

თომას დე ვაალი ნაციონალურ მოძრაობას აკრიტიკებს

დეილ კარნეგის ცენტრის ექსპერტის, თომას დე ვაალის განცხადებით, რეზოლუცია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, საუკეთესო გზაა იმისთვის, რომ ამ ქვეყნის პროდასავლური ორიენტაცია დაფიქსირდეს.

თომას დე ვაალმა საქართველოს პროდასავლურ კურსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის შეფასებისას აღნიშნა, კონსტიტუცია საგარეო კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტი არ უნდა იყოს და ნაციონალურმა მოძრაობამ შეცდომა დაუშვა, პარლამენტს პროდასავლური კურსის კონსტიტუციაში ჩაწერა რომ მოსთხოვა.

„როდესაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკაში მოვიდა, ბევრს გაუჩნდა კითხვა, აქვს თუ არა მას კავშირი რუსეთთან, კრემლთან. ვფიქრობ, მან ამ კითხვას პასუხი გასცა. ის საკუთარ თავს საქართველოს პატრიოტად მიიჩნევს, სურს, რუსეთთან ურთიერთობა გააუმჯობესოს. ურთიერთობები იმდენად ცუდი იყო, რომ არ მიკვირს და მგონია, ნებისმიერ ქართველს უნდა მათი დალაგება. ივანიშვილი ძალიან მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას. ამას ადასტურებს კანდიდატურა, რომელიც მან საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა, ასევე, მისი თავდაცვის მინისტრი და ზოგადად, მისი გუნდი. კონსტიტუცია საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი არ უნდა იყოს“, — განაცხადა თომას დე ვაალმა.

„მედიანიუსი“

30 მარტს კანცელარიასთან იპოთეკარებისგან დაზარალებული მოსახლეობის აქცია გაიმართება

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, სააკაშვილის რეჟიმის დროს მოვალეთა დიდმა ნაწილმა სესხი საკუთარი ოჯახის წევრებისთვის ძალადობით გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებების გაფორმებისთვის აიღო, ნაწილმა კი 2008 წლამდე ტურისტული სეზონისთვის, თუმცა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ზარალი განიცადა.

როგორც მჟავანაძე აცხადებს, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, აუქციონზე გატანილ მოვალეთა უძრავ ქონებას არა საქართველოს მოქალაქეები, არამედ უცხოელები ეუფლებიან. მისი თქმით, სწორედ ამის გამო, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მდგომარეობა იქნება რამდენიმე წლის შემდეგ ქვეყანაში.

„წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდგომაც, მრავალგზის დაპირების მიუხედავად, რომ ამ პრობლემის მოგვარება დაიწყებოდა, ჯერჯერობით, სიტუაცია უცვლელია, სწორედ ამიტომ „უფლებადამცველთა გაერთიანება“ 30 მარტს, 14:00 საათზე, მთავრობის კანცელარიასთან კერძო იპოთეკარების მიერ დაზარალებული მოსახლეობის აქციას გამართავს“.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეები ხელისუფლების უმოქმედობაზე პროტესტს გამოთქვამენ და მთავრობას დაპირებების შესრულებისკენ მოუწოდებენ.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასი შეინარჩუნა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ბუქარესტში, რუმინეთის ეროვნულ გუნდთან ევროპის 2013 წლის ერთა თასის ბოლო ტურის მატჩი გამართა. მატჩი ფრედ, 9:9 დასრულდა, რითიც საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი და ანთიმოზ ივერიელის თასი შეინარჩუნა.

მატჩის მე-7 წუთზე „ბორჯღალოსნებმა“ საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს. მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაიხსნა — 0:3.

16-ე წუთზე შერკინებაში ქართველი მორაგბეები კარგად ვერ დადგნენ, რისთვისაც დაჯარიმდნენ. ქართველთა კარის წინ მყოფ ფლორიან ვლაიკუს კი გატანა არ გასჭირვებია — 3:3.

21-ე წუთზე საქართველოს ნაკრები კვლავ შერკინებაში დაჯარიმდა, ვლაიკუმ ზუსტად დაარტყა და გუნდი წინ გაიყვანა - 6:3. ანგარიშის გათანაბრება საქართველოს ნაკრებმა 33-ე წუთზე შეძლო.

„ბორჯღალოსნებმა“ მეორე ტაიმი აქტიურად დაიწყეს. მასპინძლები დაჯარიმდნენ, მერაბ კვირიკაშვილმა დარტყმა ზუსტად შეასრულა და გუნდი წინ გაიყვანა - 6:9.

თუმცა, რუმინელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და მატჩი საბოლოოდ, ანგარიშით 9:9 დასრულდა.

„ინტერპრესნიუსი“

ბოლნისში ჯილეხის შემთხვევა გამოვლინდა



ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში ჯილეხის შემთხვევა გამოვლინდა, რომლითაც სამი ადამიანი დაავადდა. აღსანიშნავია, რომ მოქალაქემ დაცემული საქონელი ვეტერინარის ზედამხედველობის გარეშე, სასაკლაოს გვერდის ავლით, კანონდარღვევით დაკლა. დაავადებული ხორცის გარკვეული ნაწილი დაარიგა სანათესაოში, ნაწილი, სავარაუდოდ, გაყიდა. აღნიშნულ შემთხვევას იკვლევენ სპეციალისტები.

სურსათის ეროვნული სააგენტო სოფელ ტანძიაში და მიმდებარე ტერიტორიაზე ახორციელებს ჯილეხის ამთვისებელი 500-მდე სული შინაური ცხოველის იძულებით ვაქცინაციას. ვეტერინარულ-სანიტარული წესების შესაბამისად, მოხდა საქონლის დაკვლის ადგილის დეზინფექცია, დაავადებული საქონლის ნარჩენები ვეტერინარული წესების დაცვით განადგურდება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად მოეწყობა სპეციალური სამარხი — სარკოფაგი, რომელიც იზოლირდება, რათა არ მოხდეს კერის გააქტიურება. გარდა ამისა, დაწესდება 15-დღიანი კარანტინი, რის საფუძველზეც აიკრძალება ცოცხალი ცხოველების გადაადგილება და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით ვაჭრობა. დაწესდება მკაცრი ვეტერინარული ზედამხედველობა აცრილ ცხოველებზე. ცნობისთვის - ჯილეხი მწვავედ მიმდინარე, ადამიანისა და ცხოველის საერთო ინფექციური დაავადებაა. ჯილეხის სპორა ნიადაგში წლების განმავლობაში ძლებს და შესაბამის პირობებში აქტიურდება, ამიტომაც, ვეტერინარულ-სანიტარული წესების მიხედვით, დაუშვებელია დაავადებული საქონლის დაკვლა და რეალიზება. ასევე, დაუშვებელია საქონლის დაკვლა ვეტერინარის ზედამხედველობის გარეშე, სასაკლაოს გვერდის ავლით.

„მედიანიუსი“

სქემა, რომლითაც „ნაციონალები“ საარჩევნოდ „ქრისტიან-დემოკრატებს“ აფინანსებდნენ

ეკა სეხნიაშვილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიების საჯარიმო სანქციების შემცირებასა და ლიბერალიზაციას ითხოვს. ლაშა თორდიას უწყებამ უკვე გააჟღერა ინიციატივა, რომ პარტიების ჯარიმების საკითხი გადაიხედოს, გარკვეული ოდენობით შემცირდეს ან გაფრთხილებით შეიცვალოს. ინიციატივა ჯერჯერობით, აუდიტის სამსახურის უფროსიდან მოდის, გამორიცხული არაა, აპრილში, შუალედური არჩევნებისთვის, ჯარიმების საკითხის შესახებ ცვლილებები პარლამენტმა განიხილოს და დაამტკიცოს კიდეც.

ვინ არის ვალერი შოშიაშვილი, დაიბარებენ თუ არა გიორგი თარგამაძეს პროკურატურაში და რითი იმართლებს თავს ლევან ვეფხვაძე

„ვერსიის“ ინფორმაციით, აღნიშნული საკითხის გატანა განსაკუთრებით სურთ უმცირესობისა და ოპოზიციის წევრებს, რადგან მათი დამფინანსებელი ბიზნესმენების საქმიანობით, ამჯერად პროკურატურა ინტერესდება. წინასაარჩევნოდ, ბიზნეს-სექტორისა და პარტიების არცთუ სახარბიელოდ გადაჯაჭვულობას ისიც ადასტურებს, რომ რამდენიმე დღის წინ, მთავარ პროკურატურაში არჩილ კბილაშვილი მოქმედ ბიზნესმენებს დახურულ კარსმიღმა შეხვდა. ბიზნესმენების ნაწილი უკმაყოფილოა. ნაწილი პრივატულ საუბრებში აცხადებს, რომ ვერც ივანიშვილის მთავრობაში ახერხებენ საკაშვილის დროს მაკონტროლებლების მიერ „ახეული“ თანხებისა თუ უძრავი ქონების დაბრუნებას. ჩინოვნიკებისთვის ჩამორთმეული ქონების ნაწილი ავტომატურ რეჟიმში ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის, ხოლო ზოგიერთი ბიზნესმენი პროკურატურის სამუშაო ხარვეზებსა და ნელ ტემპში მოქმედებას უჩივის. მაგალითად, ბიზნესმენი ვალერი შოშიაშვილი, რომელსაც, როგორც ირკვევა, „ქრისტიან-დემოკრატების“ წინასაარჩევნო საეთერო დრო ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნებმა დააფინანსებინეს. ბიზნესმენი განმარტავს, რომ პროკურატურის გამომძიებელი ბექა ბასილაია და პროკურორი ზაზა მალუძე, ოჯახის წევრების მუქარით, „ნაცმოძრაობის“ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვას აიძულებდნენ. მეტიც, ზეწოლის გამო, იგი „ნაცმოძრაობასა“ და „ქრისტიან-დემოკრატებს“ აფინანსებდა და ეს თანამშრომლები დღემდე თანამდებობაზე რჩებიან. ისედაც დაზარალებული ბიზნესმენის საკუთრებაში არსებულ კომპანიას, მილიონი ლარის ჯარიმა დააკისრეს და მთლიანობაში, მას დაახლოებით, მილიონნახევარზე მეტი თანხა აქვს პარტიებისთვის შეწირული.

ბიზნესმენ შოშიაშვილის ჩვენება: **„დამიკავშირდნენ პროკურატურიდან და მითხრეს, რომ ყვარლის რაიონის სოფელ გრემში ტარდებოდა აუქციონი, რომელზეც გატანილი იქნება გრემის კულტურის სახლი. მონაწილეობა უნდა მიმეღო აუქციონში და შემეძინა იგი 700 000 ლარად, თუმცა მისი რეალური ფასი 8 130 ლარს შეადგენდა (რაც დასტურდება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ შედგენილი დასკვნით). ამ ქონების საწყისი ფასი 100 000 ლარი იყო. დიდი გაჭირვებით მოვიძიე ეს თანხა, რაც შეადგენდა 30 000 ლარს და შევიძინე აუქციონში მონაწილეობის ბილეთი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთვის უცნობმა პირმა თბილისში მომაწოდა აუქციონში გამარჯვების დოკუმენტი. პირი გამეცნო, როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე. აუქციონში მონაწილეობა არ მიმიღია. არ გამაჩნდა ინფორმაცია გამოტანილი ქონების შესახებ. ბ.ბ.-მ განმიმარტა, რომ ამ ქონების გარდა, სექტემბრის თვეში უნდა მიმეტანა 300 000 ლარი, რის შედეგადაც დამიბრუნებდნენ ჩემი კომპანიების საბუღალტრო დოკუმენტაციას. ერთ-ერთი შეხვედრის დროს განვუცხადე, თუ რაიმე სახის ჯარიმა მეკუთვნოდა, იგი დაეკისრა აუდიტის სამსახურს. რის პასუხადაც ისენი დამემუქრნენ, რომ შემესრულებინა ყველა მათი მითითება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიჭერდნენ ჩემი ოჯახის წევრებს“.**

ბიზნესმენის განცხადებით, მისი დატერორების მცდელობა ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. არჩევნების შემდეგ მან ადვოკატ დიმიტრი გაბუნიასა და მამუკა მდინარაძეს მიმართა, რათა აღდგენილიყო სამართლიანობა და დამნაშავეები დასჯილიყვნენ. 19 ოქტომბერს მას დაუკავშირდა ბექა ბასილაია და მთავარ პროკურატურაში სთხოვა შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა პროკურორი ზაზა მალუძე, რომელმაც უთხრა, რომ 2000 ლარის გადახდის შემთხვევაში (შეიძლებოდა თანხის უფრო შემცირება), გაფორმდებოდა საპროცესო განრიდება და დაუბრუნებდნენ ბუღალტრულ საბუთებს. ვალერი შოშიაშვილმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და დაჰპირდა, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ, რაზეც ბექა ბასილაიამ უპასუხა, სამწუხაროა, ახალი პოლიტიკური ხანა რომ დადგა, თორემ სხვანაირად გაგისწორდებოდიო.

საინტერესოა, დევს თუ არა საქმეში რაიმე სახის მტკიცებულებები პარტიების დაფინანსების ირგვლივ და დადგება თუ არა პროკურატურის დღის წესრიგში „ქრისტიან-დემოკრატების“ საკითხი?! „ვერსიასთან“ ბიზნესმენი იმ კონკრეტულ მტკიცებულებებზე საუბრობს, რომელიც გამოძიებას პარტიული ფულის გადარიცხვის საქმეში უდევს:

— ბატონო ვალერი, გაქვთ იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ „ქრისტიან-დემოკრატების“ საეთერო დროისთვის 50 000 ჩაგარიცხინეს?

— რა თქმა უნდა, საბანკო და საგადასახადო დოკუმენტაცია გვაქვს. საეთერო დრო ნაყიდი იყო 2010 წლის 5 მაისს, ადგილობრივი თვითმმართველობის წინ „ქრისტიან-დემოკრატების“ საარჩევნო კლიპებისთვის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე. ხელშეკრულების საფუძველზე, თანხა გადავურიცხე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს. ხელშეკრულებაში წერია, რომ ეს იყო „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ წინასაარჩევნო რეკლამისთვის გადახდილი თანხა. ყველა ფინანსური და საბუღალტრო დოკუმენტაცია ინახება საგადასახადოში.

— იმ პერიოდში „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრებს შეხვდით?

— არა.

— აბა, ვისგან მიიღეთ დავალება, რომ „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ საეთერო დრო გეყიდათ?

— ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნებისგან, რომელთა გვარ-სახელებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ დაგიკონკრეტებთ. დამატებით, პროკურატურის მაღალჩინოსნები მაიძულებდნენ, მონაწილეობა მიმეღო ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ გრემის ერთ-ერთი შენობის აუქციონში. მათ განახორციელეს ეს აუქციონი, ოღონდ ჩემი მონაწილეობის გარეშე. ეს ყველაფერი ჩემს ჩვენებაშია დაფიქსირებული. ყვარლის რაიონის მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებლის მოადგილემ ჩამომიტანა ეს დოკუმენტაცია თბილისში. ამ საკითხზე სიუჟეტიც მომზადდა, რის შემდეგაც, დამიკავშირდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტიდან და მითხრეს, რომ მხარი არ დაუჭირეს ამ შენობის გასხვისებას. ისიც დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ჩემი 700 000 ლარი გამოიყენეს წინასაარჩევნოდ „ნაციონალების“ აგიტატორების დასაფინანსებლად. ყვარლის მუნიციპალიტეტის აუქციონში რომ უნდა მიმეღო მონაწილეობა, ამის შესახებ მითითებები ადეიშვილის უწყებიდან და მთავარი პროკურატურიდან მქონდა მიღებული. სამწუხაროა, რომ ეს პროკურორები, ბექა ბასილაია და სხვანი, ისევ მუშაობენ იქ. ტელეეთერში ვნახე, დაკითხვას აწარმოებს ბასილაია. ადამიანი, რომელიც თავად დასაკითხია და მისი ადგილი ციხეშია, პროკურატურაში გამომძიებლად მუშაობს.

— „ქრისტიან-დემოკრატების“ საარჩევნო ეთერის დაფინანსება რომ მოგთხოვეს, არ გაგიკვირდათ, ეს პარტია ხომ ოპოზიციური იყო?

— მიმაჩნდა, რომ ქრისტიან-დემოკრატული მოძრაობა და ნაციონალური მოძრაობა იდენტური პარტიები იყვნენ. ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, რომ ამ დაფინანსების შესახებ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ იცოდნენ, თუმცა ვიმეორებ, ხელშეკრულებაში ამ დაფინანსებაზე გარკვევით ეწერა.

— ამ ფონზე, საჭირო „ქრისტიან-დემოკრატების“ დაკითხვა?

— ყველა უნდა დაიკითხოს, ვინც ფიგურირებს ამ საქმეში.

— აპირებთ, ამ საკითხთან დაკავშირებით, მთავარ პროკურორს შეხვდეთ?

— ბატონ არჩილ კბილაშვილს აუცილებლად შევხვდებით. მოვითხოვ იმ პირების დასჯას, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა. ბრიფინგის მოწყობა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ გამოძიება ინერტულად მიდის.

„ვერსია“ კომენტარისთვის ლევან ვეფხვაძეს დაუკავშირდა:

— ბატონო ლევან, 2010 წელს თქვენი საარჩევნო რგოლები რომ გადიოდა და ფულს თუ თქვენი პარტია არ იხდიდა, კითხვა არ გაგჩენიათ, ვინ აფინანსებდა?

— თქვენ არასწორად დასვით კითხვა, რადგან ჯერ შოშიაშვილმა უნდა დაამტკიცოს, რომ „ქრისტიან-დემოკრატების“ რეკლამაში იხდიდა ფულს. ჩვენ პროკურატურას მივმართავთ, რომ ამაზე გამოძიება დაიწყოს, რადგან გვაქვს სრული დოკუმენტაცია, თითქმის 200 000 ლარზე, რაც ჩვენ განვახორციელეთ „რუსთავი 2“-ზე რეკლამირებაში, ეს შემომწირველები თუ სხვა დანახარჯები ასახულია ჩვენს პარტიულ დეკლარაციებში და ჩვენი კავშირი არ იკვეთება შოშიაშვილთან.

— ბატონო ლევან, შოშიაშვილი აცხადებს, რომ ფულს თქვენს პარტიულ ანგარიშზე რიცხავდა და არსებობს კონკრეტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ის „რუსთავი 2“-ზე თქვენს სარეკლამო დროს აფინანსებდა.

— „რუსთავი 2“-ისა და ბიზნესმენის გასარკვევია, რა დააფინანსებინეს ან ჩვენი სახელით ვინმე თუ სთხოვდა რაიმეს დაფინანსებას. ამასთან არანაირი კავშირი არ გვაქვს და აქეთ მოვითხოვთ პროკურატურისგან, გაირკვეს ეს თემა. მე მის ადვოკატსაც ვესაუბრე, ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ ამ თემასთან არანაირი შეხება არ გვქონია.

პარტიების დაფინანსების კუთხით, პროკურატურა მხოლოდ შოშიაშვილის საკითხს არ სწავლობს. ჯერ კიდევ გამოძიების პროცესშია საქმე, რომლის თაობაზეც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 8 იანვარს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სისხლის სამართლის საქმის მასალათა ასლები გადაუგზავნა.

დასასრული მე-9 გვერდზე

საცხოვრებელი კომპლექსი „m² იპოდრომთან“ — 9 კორპუსიდან 7-ის კარკასი უკვე აშენებული და გადახურულია

ყოფილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, თამარაშვილის 13-ში ალბათ შეგიმჩნევიათ, ერთდროულად რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა რომ მიმდინარეობს. ალბათ დიდი, მწვანე აბრისთვისაც მოგიკრავთ თვალი, რომელსაც ნარინჯისფრად აწერია m². დიახ, ამ ადგილას სწორედ დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება“ ახორციელებს პროექტს — „m² იპოდრომთან“. საცხოვრებელი კომპლექსის ფარგლებში 9 კორპუსი უნდა აშენდეს, მათგან 7 კორპუსის კარკასი კი, უკვე აშენებულიცაა და გადახურულიც.

ამაში ჟურნალისტები 15 მარტს თავად დავრწმუნდით. ამ დღეს „m² უძრავი ქონების“ წარმომადგენლებმა მედიატური მოაწყვეს, კომპანიის ლოგოთი დამშვენებული ჩაფხუტებით აღგვჭურვეს და სამშენებლო სამუშაოები გულდაგულ დაგვათვალიერებინეს.

პროექტის „m² იპოდრომთან“ მშენებლობა 2012 წლის აპრილში დაიწყო. 9-ვე კორპუსის მშენებლობა დაფინანსებულია ჰოლანდიის განვითარების ბანკის (FMO) მიერ, რომელმაც ამ საცხოვრებელი კომპლექსისთვის 20 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

მედიატურის დროს ჟურნალისტები იმაშიც დავრწმუნდით, რომ მშენებლობა მუდმივი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს და ასევე — საკმაოდ სწრაფი ტემპით. ასე რომ არ იყოს, შარშან გაზაფხულის შემდეგ, 7 საცხოვრებელი კორპუსის კარკასი აშენებულ-გადახურული არ დაგვხვდებოდა. არც კომპანიის წარმომადგენლები გვეტყოდნენ, რომ დანარჩენი ორი კორპუსის მშენებლობა-გადახურვა მაისის ბოლოს აუცილებლად დასრულდება. მთლიანად, კომპლექსის დასრულება, ბინების რემონტის ჩათვლით, დაგეგმილია მომავალი წლის სექტემბრისთვის.

რაც შეეხება მშენებლობის კონტროლს, როგორც ირკვევა, ჰოლანდიის განვითარების ბანკის მოთხოვნით, მშენებლობის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ამერიკული სამშენებლო საინჟინრო კომპანია „აეკომი“ (www.aecom.com). ამ უდიდეს კომპანიას, 8 მილიარდის ბრუნვა აქვს. ის საქართველოს (თბილისი) ჩათვლით, 400 ოფისს ფლობს მსოფლიოში. პროექტში მისი ჩართულობა კიდევ ერთი დამადასტურებელია, რომ მშენებლობა ხარისხის მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს და გამოიყენება მხოლოდ მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალები.

„m² უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის, გიორგი ვახტანგიშვილის განმარტებით, სწორედ ჰოლანდიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელობის მოთხოვნა იყო, პროექტის მშენებლობაზე მონიტორინგი, მაინცდამაინც „აეკომს“ განეხორციელებინა.

გიორგი ვახტანგაშვილი: „ეს ამერიკული კომპანია აკონტროლებს როგორც ხარისხის, ასევე მშენებლობის პროგრესს. ასევე, სხვა სამშენებლო მახასიათებლებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული და რომელთა საშუალებითაც, კომპლექსი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. სამშენებლო სამუშაოებს საკმაოდ ძლიერი სამშენებლო კომპანია ახორციელებს. შედეგად, როგორც ხედავთ, საცხოვრებელი კომპლექსი „m² იპოდრომთან“ მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. პროექტი 2014 წლის სექტემბერში დასრულდება“.

პროექტის „m² იპოდრომთან“ განხორციელების ტემპითა და ხარისხით კმაყოფილი და მეტიც, აღფრთოვანებულია „აეკომის“ წარმომადგენელი **პრაკაშ კაუში**, რომელმაც შთაბეჭდილებები გაგვიზიარა: **„მე ვარ საერთაშორისო ამერიკული კომპანია „აეკომის“ წარმომადგენელი და ჩემი აქ ყოფნის მიზანია, დავაკვირდე მშენებლობას, შევამოწმო მშენებლობის ხარისხი და დავრწმუნდე, რომ დამფინანსებელ ჰოლანდიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი თანხები სწორად, მიზანმიმართულად იხარჯება. ნანახით ძალიან კმაყოფილი ვარ. მშენებლობა იმაზე სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე წარმოვიდგენდი“.**

ალბათ ყველა აღნიშნული ფაქტორის დამსახურებაა ის, რომ „m² იპოდრომთან“ საცოვრებელ კორპუსებში, ბინების ნახევარზე მეტი უკვე გაყიდულია. აქ ბინები 47-90 კვმეტრი ფართობისაა და რაც ყველაზე მიმზიდველია — საცხოვრებელი ფართები დასრულებული რემონტით ბარდება. რემონტის პროცესში კი, ბინის მფლობელის გემოვნებასაც ითვალისწინებენ. ცხადია, თუ მაინც გსურთ, საკუთარი ბინა თავად გაარემონტოთ, ამის უფლებაც გაქვთ — მოთხოვნის შემთხვევაში, თეთრ კარკასს ჩაგაბარებენ. უკვე სრულად გარემონტებული ბინის ფასი ასეთია: 1 კვ/მ — 1000-1200 დოლარი.

„m² იპოდრომზე“ ბინის შეძენის მსურველებისთვის მოქმედებს უპროცენტო შიდა განვადებაც. მისით სარგებლობის შემთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 35%-ს. განვადების ვადა 2014 წლის სექტემბრამდე, ანუ მშენებლობის დასრულებამდე გრძელდება. შესაბამისად, ბინის მფლობელი სრულ თანხას კომპლექსის დასრულებისას იხდის. უზრუნველყოფას კი, მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება წარმოადგენს.

შთამბეჭდავია საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ინფრასტრუქტურაც — 6000 კვმ ფართობის ტერიტორიაზე იქნება ეზო, სარეკრეაციო ზონა, ბაგა-ბაღი... რომელიც სრულად მოემსახურება აღნიშნულ კომპლექსში მაცხოვრებელ ადამიანებს.

„m² უძრავი ქონების“ წარმომადგენლების თქმით, დარჩენილი ბინები სწრაფი ტემპით იყიდება. გენერალურმა დირექტორმა გიორგი ვახტანგიშვილმა ისიც გაგვიმხილა, რომ ამ პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, კომპანია ახალი და არანაკლებ სასურველი პროექტების განხორციელებას გეგმავს.

ნინო ლურსმანაშვილი

პოლიტიკა

სქემა, რომლითაც „ნაციონალები“ საარჩევნოდ „ქრისტიან-დემოკრატებს“ აფინანსებდნენ

მე-8 გვერდიდან

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2012 წლის 8 სექტემბერს „ნაცმოძრაობამ“ საქართველოს 11 ქალაქში ყრილობა გამართა. ქალაქ ზუგდიდში ხალხის ჩასაყვანად პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა შესაბამისი ხელშეკრულებებით, ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიები დაიქირავა, რომლებსაც პარტიის ანგარიშიდან მხოლოდ მძღოლების შრომის საფასური 39 900 ლარი გადაერიცხათ. რადგან მიკროავტობუსებისთვის საჭირო იყო დიდი რაოდენობის საწვავი, პარტიული ღონისძიების „შავი არხით“ დაფინანსების თვალთმაქცური სქემა შემუშავდა. სქემაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაება. გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად შესყიდული საწვავიდან მინისტრის იმჟამინდელი მოადგილის, ნიკოლოზ ძიმციეშვილისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის, ლევან ქარდავას ორგანიზებით, 54 000 ლიტრი დიზელის საწვავის ტალონები „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ალექსანდრე ქობალიას გადაეცა. ქობალიამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განკუთვნილი დანაშაულებრივად მოპოვებული საწვავის ტალონები 393 მიკროავტობუსის მძღოლს გადაუნაწილა. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ 2012 წლის 23 სექტემბერს, ქალაქ ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის აქციის ორგანიზებისთვის საჭირო სატრანსპორტო ხარჯები — 120 000 ლარი ფარულად, საფინანსო დეკლარაციაში ყოველგვარი ასახვის გარეშე, თბილისის მერის მოადგილემ, დავით ალავიძემ გადაიხადა და პარტიის სასარგებლოდ განახორციელა უკანონო შემოწირულობა. რადგან გამოძიების პროცესში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტი გამოიკვეთა, შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, მასალები გადაიგზავნა პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შემდეგ ფაქტებზე: 1. 2012 წლის 6 სექტემბერს ნ. ძიმცეიშვილის მიერ გადაცემული 54 ტონა დიზელის საწვავის ტალონები ღირებული 126 900 ლარად „ნაცმოძრაობისთვის“, რაც შესაძლოა, უკანონო შემოწირულობა აღმოჩნდეს; 2. 2012 წლის 22 სექტემბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ კომპანია „თბილისის მიკოავტობუსისთვის“ გადაცემული 120 000 ლარი ნაღდი ფული, რაც ასევე შესაძლოა, ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად; 3. 2012 წლის 28 სექტემბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ კომპანია „თბილისის მიკოავტობუსისთვის“ გადაცემული 56 000 ლარი ნაღდი ფული, რაც ასევე შესაძლოა, ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად. ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება, უკანონო შემოწირულობად ჩაითვალოს, რადგან იურიდიულ პირს შემოწირულობის გაცემის უფლება არ აქვს, ხოლო კერძო პირი უფლებამოსილია, შემოწირულობა გასცეს 60 000 ლარამდე (საქართველოს ორგანული კანონი: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, თავი-III, მუხლი- 26-ე და 27-ე)“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ამავე საქმეში ფიგურირებს ყოფილი მინისტრი ზაზა გოროზიაც, თუმცა ჯერჯერობით, პროკურატურის მხრიდან კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. თუ ახალი პარლამენტის უმრავლესობა აუდიტის სამსახურისა და ლაშა თორდიას ინიციატივებს გაიზიარებს, მიხეილ მაჭავარიანიცა და ასეთ საქმეებზე „მიბმული“ სხვა პირებიც, სავარაუდოდ, პროკურატურაში დაკითხვას ასცდებიან.

ვერსიანიუსი

მიხეილ სააკაშვილის ძმა თეა წულუკიანს უპასუხისმგებლობაში აღანაშაულებს

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი ხელმძღვანელის დავით სააკაშვილის განცხადებით, „თეა წულუკიანი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამინისტროს ხელმძღვანელობს და მას უპასუხისმგებლო პოლიტიკური განცხადებები არ შეეფერება“.

ამის შესახებ დავით სააკაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„2013 წლის 16 მარტს, მოსამართლეებთან შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა იუსტიციის უმაღლეს სკოლაზე ვრცლად ისაუბრა და გააკრიტიკა მისი მუშაობა. მან ასევე დასძინა, რომ პრეზიდენტის ძმა არ უნდა მართავდეს მომავალ და არსებულ მოსამართლეთა განათლების პროცესს. საზოგადოებას შევახსენებ, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად 2001 წელს დავინიშნე, ხოლო 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაკავებული თანამდებობიდან გადავდექი, რათა თავიდან ამეცილებინა პოლიტიკური სპეკულაციების გამძაფრება, რაც უარყოფითად აისახებოდა სკოლის განვითარების პროცესზე. ქალბატონი თეა სკოლის საქმიანობის შეფასებისას ცრუობს. ბოლო 10 წლის მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით სკოლამ უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და პროფესიონალი მოსამართლეების მომზადების-გადამზადების ცენტრი გახდა. მინისტრი ძალიან ცდება, როდესაც ამ სკოლის ყველაზე დიდ „განსაცდელად“ მე მასახელებს, ჩემი პრეზიდენტთან ნათესაური კავშირის გამო. მინდა, მივმართო ქალბატონ თეას - ის დღეს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამინისტროს ხელმძღვანელობს და ამგვარი უპასუხისმგებლო, პოლიტიკური განცხადებები არ შეეფერება. დემოკრატიულ სახელმწიფოში „გვარებად“ საზოგადოების დაყოფა დაუშვებელია. ეს მას უნდა ესმოდეს, როგორც დასავლური ღირებულებების მატარებელ სახელმწიფო მოღვაწეს. ვაცხადებ, რომ ვარ საქართველოს მოქალაქე და ჩვენი კონსტიტუცია იცავს ყოველი ჩვენგანის დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას მიუხედავად იმისა, თუ რას საქმიანობენ ჩვენი ძმები და მამები“, — აცხადებს დავით სააკაშვილი.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, „პრეზიდენტის ძმა მოსამართლეთა მჭედელი არ უნდა იყოს“.

წულუკიანი მიესალმა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა დავით სააკაშვილმა თანამდებობა დატოვა.

ამასთან, მინისტრის თქმით, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ კანონპროექტის შემდეგ მომდევნო ეტაპი იუსტიციის უმაღლესი სკოლის ძირეული რეფორმა იქნება.

„პირველი“

ირაკლი ალასანია ბრიუსელის ფორუმის დახურულ სადილზე სიტყვით გამოვიდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი „ბრიუსელის ფორუმში“ მონაწილეობს და კოლეგებთან ორმხრივ შეხვედრებს მართავს. საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი დახურულ სადილზე სიტყვით გამოვიდა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და თავდაცვის სფეროს პრიორიტეტებზე ისაუბრა. საქართველოს თემაზე ასევე, ისაუბრეს ფორუმის ფარგლებში მიმდინარე „ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომავლის“ განხილვაზეც. თემაზე მსჯელობისას მომხსენებლები იყვნენ ალექსანდერ ვერშბოუ და კურტ ვოკერი, საქართველოს საკითხზე საუბრისას, სიტყვით გამოვიდა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია:

„ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, ფართოდ წარმოგვეჩინა ის დინამიკა, რაც აქვს საქართველოს ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაციის პროცესში. ევროპა მიიჩნევს, რომ ჩვენი ქვეყანა არის მისი ნაწილი. ლიდერები ფიქრობენ, რომ საქართველოს აქვს ცხადი და ნათელი პოლიტიკა, როგორ აპირებს გახდეს ევროკავშირისა და ნატო-ს სრულფასოვანი წევრი. ჩვენ განვაცხადეთ, რომ საქართველო მზადაა, როგორც ავღანეთსა და ნატო-ს ოპერაციებში, ასევე, ევროპული უსაფრთხოების საკითხებშიც, მჭიდროდ ითანამშრომლოს ევროკავშირთან. ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველოს სწორი, პრაგმატული პოლიტიკა აქვს რუსეთთან კონფლიქტების მოგვარების კუთხით. ეს პრაგმატული პოლიტიკა დაეხმარება საქართველოს, უფრო ახლოს იყოს ინტეგრირებულ ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცესთან“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

შსს-მ ნარკორეალიზატორები დააკავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1973 წელს დაბადებული მალხაზ ა. და 1968 წელს დაბადებული ჯიმშერ ძ. ნარკოდანაშაულისთვის სარფის საკონტროლო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. სამართალდამცველებმა მალხაზ ა-ს პირადი ჩხრეკისას 4 შეკვრადდაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, ჯიმშერ ძ-ს კი - ფეხსაცმლის ქუსლში დამალული ჰქონდა 12 შეკვრა. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნარკოტიკის საერთო წონა 11,2 გრამს შეადგენს, რომელშიც 2,5 გრ „ჰეროინი“ აღმოჩნდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება შემდგომში მისი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზაციის მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინეს.

გამოძიება მალხაზ ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. ჯიმშერ ძ-ს მიმართ კი გამოძიება 260-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

რატომ ამბობს უარს პრეზიდენტი 20 ქვეყანაში ახალი ელჩის დანიშვნაზე

მერაბ ბერიძე

საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი ათწლეულის შემდეგაც, სახელმწიფოებრივი აზროვნების მწვავე დეფიციტია. „ჩემს შემდეგ, ქვა ქვაზე არ დარჩენილა“ — პოლიტიკური ცხოვრება ამ ყბადაღებული პრინციპით გრძელდება. ე.წ. კოჰაბიტაციის ფონზე, ქვეყანაში სრულიად საპირისპირო რეალობაა... ამის ერთ-ერთი დასტური საგარეო მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკაა — საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ თამარ ბერუჩაშვილის დამტკიცებას ხელს არ აწერს (შეგახსენებთ: ბერუჩაშვილს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა).

თეა წულუკიანი მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფოებრივ საბოტაჟში ადანაშაულებს

„სააკაშვილი თამარ ბერუჩაშვილის თანამდებობაზე დანიშვნას ხელს არ აწერს ისევე, როგორც ეს ხდება ელჩების შემთხვევაში და პრეზიდენტს არ გადაუგზავნია პარლამენტში დანარჩენი ახალი ელჩების სია“, — ამბობს ფანჯიკიძე, რომლის ინფორმაციითაც, შესაბამისი დოკუმენტაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ორი კვირის წინ გაიგზავნა.

მაია ფანჯიკიძისთვის, პრეზიდენტის მიერ ელჩების დანიშვნის პროცესის ხელოვნურად გაჭიმვა გაუგებარია:

„პრეზიდენტის აცხადებს, რომ პატივს სცემს პარლამენტს, რომელიც ხალხის მიერაა არჩეული და თუკი ასეა, მაშინ რა უდგას წინ, ხელი სწორედ ამ პარლამენტის მიერ დამტკიცებული ელჩების დანიშვნის ბრძანებებს მოაწეროს? მას უარი არ უთქვამს ელჩების წარდგინებამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კანდიდატურებს ეთანხმება, ამიტომ ჩვენთვის პროცესის ხელოვნური გაჭიმვა სრულიად გაუგებარია“.

საგარეო მინისტრის თქმით, პრეზიდენტმა ელჩობის 9 კანდიდატი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით, პარლამენტს წარუდგინა და ცხრავე კანდიდატმა საკანონმდებლო ორგანოში ყველა პროცედურა წარმატებით გაიარა:

„პლენარულ სხდომაზე დაისვა მათი კენჭისყრის საკითხი და ხმების ძალიან დიდი რაოდენობა მიიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს კანდიდატებს მხარი ოპოზიციამაც დაუჭირა, რაც ძალიან სასიამოვნოა. ამის შემდეგ, საბუთები ისევ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნა“.

ფანჯიკიძის თქმითვე, პროცედურის მიხედვით, პრეზიდენტმა ხელი უნდა მოაწეროს ელჩების დანიშვნის ბრძანებებს, რის შემდეგაც, საგარეო საქმეთა სამინისტრო იმ პროცედურებს განახორციელებს, რომ ელჩებმა საქმიანობა დაიწყონ:

„ზოგიერთ ქვეყანაში სექტემბრიდან არ გვყავს ელჩი, ზოგიერთში — ნოემბრიდან, ზოგიერთში — იანვრიდან. იმ პროცედურას, რაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა გაატაროს, გარკვეული პერიოდი სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც ელჩის თანამდებობა ვაკანტური ჯერ კიდევ სექტემბერში იყო, ელჩი, შეიძლება, მომავალ სექტემბრამდე არ გვყავდეს“.

ფანჯიკიძე ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთში საქართველოს დესპანსაც შეუწყდა უფლებამოსილება და ამ დროისთვის. საქართველოს საელჩოში სულ ორი დიპლომატია დარჩენილი.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 20-მდე ქვეყანაში ახალი ელჩის დანიშვნაზე საქართველოს პრეზიდენტის უარს სახელმწიფოებრივ საბოტაჟად აფასებს. ამის შესახებ წულუკიანმა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ევროპარლამენტარებისთვის გაგზავნილი წერილის კომენტირებისას განაცხადა:

„რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვას, ეს მისი ექსკლუზიური კომპეტენციის სფეროა, თუმცა ვიცი ერთადერთი რამ: როცა საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ჭირვეული ბავშვი, უარს ამბობს, მაგალითად, 20-მდე სტრატეგიულ ქვეყანაში ელჩის დანიშვნაზე, ეს სახელმწიფოებრივი საბოტაჟია, რაც ჩვენი ქვეყნის იმიჯს ლახავს და ქართველი ხალხის ინტერესებს აზიანებს“.

ქართული პოლიტიკის ვეტერანის, „სახალხო ფრონტის“ ლიდერის, ნოდარ ნათაძის თქმით, დაუშვებელია, როცა საქართველოს, თავისი მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა სახელმწიფოებში ელჩები არ ჰყავს.

„თუ კაცი ფუნქციას ასრულებს, უნდა შეასრულოს კიდეც. მე რომ მძღოლად დავჯდე და საჭე არ მოვატრიალო, ამის უფლება არ მაქვს. ეს წმინდა იურიდიული საკითხია და ამის გაკეთება არ შეიძლება. მეორე მხრივ, თუ პრეზიდენტმა იცის ამ ელჩების მიმართულება, ხარისხი და პოლიტიკური გეგმები, ვალდებულია, ეს მიუღებლობა რაღაც ფორმით გამოხატოს და გააპროტესტოს. ასევე, ვალდებულია, გადადგმულ ნაბიჯთან დაკავშირებით საზოგადოებას მოტივაცია წარმოუდგინოს. ხელს თუ არ აწერს, უნდა დაასაბუთოს, ამას რატომ არ აკეთებს. დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სააკაშვილის საქციელი ძალიან უცნაურად გამოიყურება. დაუშვებელია, რომ სახელმწიფოებში ელჩები არ გვყავს. ეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უჟანგბადოდ დატოვებაა. ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში არ უნდა იყოს. მთავრობამ ღიად უნდა განაცხადოს ამ კონფლიქტური სიტუაციის შესახებ. ოფიციალურად უნდა მოითხოვოს განმარტებები და მოტივაცია. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტს ამაზე კონფიდენციალურად უნდა დაელაპარაკონ. უნდა ათქმევინონ, რით იწუნებს წარდგენილ ელჩებს. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია არჩილ გეგეშიძის კანდიდატურას ხელს რატომ არ აწერს. ეს კაცი, ჩემი აზრით, ვარგისია ამ თანამდებობისთვის. მიხეილ უკლებას მიუღებლობა კი, ჩემთვის შეიძლება, გასაგებიც იყოს — მას ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ვხედავდი“, — ამბობს ნოდარ ნათაძე.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, სააკაშვილის ეს ქცევა, უთუოდ, გინესის რეკორდების წიგნში შევა, როგორც პრეზიდენტის მიერ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მომზადებული საბოტაჟის გამოვლინება:

„იშვიათია, ასეთ ვნებას რომელიმე პატრიოტი აყენებდეს თავის სამშობლოს, მაგრამ თუ ასეთი ვაიპატრიოტი თან პრეზიდენტია, ეს უკვე რეკორდების რიცხვში შევა და შთამომავლობას გაკვირვების საგნად დარჩება.

> **აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შემიძლია: დარჩენილი თვეების განმავლობაში, საქართველოს ვადაგასული პრეზიდენტისთვის ქვეყნის საზღვრებსგარეთ რამე ობიექტური ინფორმაციის გავრცელება რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. მისი პოლიტიკური გუნდის მთელი აქტიურობაც იქითკენაა მიმართული, მხოლოდ ხელისუფლების კი არა, მთლიანად ქართველი ერის დისკრედიტაცია მოხდეს — ერს ბრალდება, რომ მისი არჩევანი თითქოს რუსეთია და არა — ევროპა“.**

რაც შეეხება ელჩების არდანიშვნას, სოსო ცისკარიშვილის თქმით, ფაქტია, ქვეყანა, რომელიც რომელიმე პარტნიორ ქვეყანაში ელჩით არაა წარმოდგენილი, პროცესების თანაბარუფლებიან მონაწილედ ვერ ჩაითვლება:

„ეს ქვეყნის წარმოჩენას აფერხებს და ჩვენი ქვეყნის მიმართ ცილისმწამებლური და დემაგოგიური ინფორმაციის გავრცელება უფრო მარტივია, რაც როგორც ჩანს, ბატონი სააკაშვილისთვის პრიორიტეტულია, ამიტომ აუცილებელია, დროულად გამოიცვალონ დესპანები და მრჩევლები, რომლებიც, ასევე, წინა ხელისუფლების დანიშნულნი არიან.

> **ამავე დროს, უნდა შემოიღონ კეთილი ნების ელჩის ინსტიტუტი. კეთილი ნების ელჩებს ამა თუ იმ ქვეყანაში პრეზიდენტის ნებართვის გარეშე მიავლენენ, ცხადია, ისინი ოფიციალურ ელჩებს ვერ ჩაანაცვლებენ, მაგრამ არსებული ვითარების არაორდინალურობის გათვალისწინებით, ეს უცხო ქვეყნების ხელისუფლებებთან საკომუნიკაციოდ სანდო წყარო იქნება“.**

პრეზიდენტის მიერ ელჩების არდანიშვნა, ალბათ, პოლიტიკურ სახელმძღვანელოებში შევა, როგორ არ უნდა მოიქცეს არჩეული ლიდერი. ქვეყნის ოცი პროცენტი ოკუპირებულია, დედაქალაქთან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მტრის ტანკები დგას და ამ დროს, სახელმწიფოს საზღვარგარეთ ინფორმაციის მიმწოდებელი ხალხი არ ჰყავს — ქვეყანა შიდადაპირისპირების ჭაობში იხრჩობა. საშველი კი, ჯერჯერობით, არ ჩანს.

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი ნავაფ ალ სლეიბს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICDO) გენერალურ მდივანს, ნავაფ ალ სლეიბს და ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობისა და საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების საკითხებზე იმსჯელეს.

შსს-ს ცნობით, სტუმრებმა სამინისტროში განხორციელებული რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები დადებითად შეაფასეს და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დასახეს.

ICDO-ს დელეგაცია ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ნავაფ ალ სლეიბის ხელმძღვანელობით უკვე მესამე დღეა, საქართველოში იმყოფება. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ორგანიზაციის წევრები საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საწვრთნელ ბაზას „112-ის ქოლ-ცენტრსა“ და რუსთავის მომსახურების სააგენტოს ეწვივნენ. სტუმრები შსს-ს დანაყოფების მუშაობის ძირითად პრინციპებს ადგილზე გაეცნენ და იქ განხორციელებული რეფორმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

შსს-ს ცნობით, სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის მიზანია, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფების შექმნისა და აღჭურვის ხელშეწყობა, ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარება და კატასტროფებით დაზარალებული ადამიანებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა.

„პირველი“

სოხუმის რუსული დილემა

მერაბ ბერიძე

მართალია, საქართველოს ახალი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ცდილობს, მაგრამ ამ მცდელობაზე მეორე მხარე ადეკვატურ რეაქციას არ ამჟღავნებს, რასაც აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის სამუშაო შეხვედრაც მოწმობს, რომელიც რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში გაიმართა. შეხვედრაში აფხაზური მხარიდან ე.წ. პრემიერ-მინისტრი ლეონიდ ლაკერბაია და ფინანსთა მინისტრი ვლადიმერ დელბაც მონაწილეობდნენ. მხარეებმა რუსეთის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებიდან, ორმხრივი ხუთწლიანი თანამშრომლობის შედეგები განიხილეს.

აქვს თუ არა ივანიშვიცს კრემლის ჩინოვნიკებთან იატაკქვეშა კავშირი და როგორ მართავენ კრემლის სპეცსამსახურები ქართულ-რუსულ კულტურულ ურთიერთობებს

ვლადიმერ პუტინი: „სასიამოვნოა თქვენი ხილვა მოსკოვში. მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან ხუთი წელი შესრულდება. იმედი გვაქვს, რომ დღეს, ამ კონსულტაციების ფარგლებში, შევძლებთ გარკვეულ შედეგებზე საუბარს და ამოცანების გადახედვას, რომლების გადაჭრაც ერთად შეგვიძლია. პრობლემები არცთუ ცოტაა, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს“.

ალექსანდრე ანქვაბმა პუტინს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა: **„აგვისტოში ხუთი წელი გავა რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებიდან. ამ თარიღისათვის ვემზადებით. გვინდა, ამ თარიღს უფრო კარგი შედეგებით შევხვდეთ. ვგულისხმობ ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი შეთანხმების შესრულებას. ჩვენ უკვე ბევრი რამ გავაკეთეთ“.**

ანქვაბმა პუტინს აფხაზების „საუკეთესო სურვილებიც“ გადასცა: **„მათ ყოველთვის ახსოვხართ და ძვირფასია მათთვის თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ და ეს ჩვენი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.**

აფხაზთა „პრეზიდენტის“ მოსკოვში ვიზიტი ორი დღე გაგრძელდა...

პუტინი-ანქვაბის მორიგი შეხვედრის კომენტირებისას, პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** აცხადებს, რომ **„ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ“:**

„ტერმინები აბსოლუტურად ობიექტურია. რაც არის რეალობა, იმას ვამბობთ ჩვენც. ვფიქრობ, ამ ყველაფერს მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ. ჩემი აზრით, მდგომარეობა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებობს, რუსეთისთვისაც მიუღებელია. კრემლის ჩინოვნიკებთან იატაკქვეშა ურთიერთობები არ მაქვს, თუმცა ანალიზის საფუძველზე, მინდა ვთქვა, რომ შექმნილი მდგომარეობა რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობის უსაფრთხოებისთვის დადებითი არ არის. ხვალ სურვილიც რომ გაუჩნდეს რუსეთის მთავრობას, ყველაფერი დააბრუნოს, პოლიტიკურადაც და ტექნიკურადაც, ეს დიდ დროს მოითხოვს“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **მაია ფანჯიკიძის** თქმით, **„ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგაა მიმართული, აღშფოთებას იწვევს“.**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, **ალექსი პეტრიაშვილის** განცხადებით კი, პუტინისა და ანქვაბის შეხვედრა არადიპლომატიური და არასახარბიელო იყო:

„ჩვენ, პრინციპში, არ ვიცით, რა საუბარი შედგა მათ შორის. არ ვიცით საუბრის დეტალები, ფორმალურად, ერთმანეთს, შეიძლება, მადლობაც გადაუხადეს... აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ხელმძღვანელის რუსეთში ვიზიტი ჩვენს მიერ, ბუნებრივია, ლეგიტიმურ ნაბიჯად არ აღიქმება, მაგრამ მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ უფრო მეტად უნდა გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტი აფხაზებსა და ოსებთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მიმართულებით, რა თქმა უნდა, საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობით, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფუნქციონირების შესაძლებლობით. ყველაფერი ეს იმისკენაა მიმართული, ქვეყანა ფეხზე დადგეს და შემდეგ, არჩევანი აფხაზმა და ოსმა ძმებმაც გააკეთონ“.

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერის, **პაატა დავითაიას** თქმით, ალექსანდრ ანქვაბის მოსკოვში სტუმრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთი საქართველოსთვის აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებას არ აპირებს:

„რუსეთი ამბობს, მზად ვარ, საქართველოსთან განვიხილოთ კულტურული და ეკონომიკური საკითხები, მაგრამ არ ვაპირებ, დავუთმო საქართველოს აფხაზეთი და ოსეთიო, მაგრამ ქართული მხარე ამას არ თუ ვერ იგებს. რომელიმე მინისტრს მკაფიოდ გამოუთქვამს დეოკუპაციის შესახებ რამე? მოვუწოდებ მთავრობას, გადახედოს საკადრო პოლიტიკას. მიზანმიმართულად ხდება საქართველო ევრაზიული კავშირის წევრი. თუ რუსეთი იტყვის, რომ საქართველო გახდეს ევრაზიული კავშირის წევრი და დაგიბრუნებთ აფხაზეთს და ოსეთსო, შეიძლება, მეც გავხდე ამ კავშირის წევრი, მაგრამ რუსეთის ფედერაციას საქართველოს კონტროლი უნდა, აბსოლუტური კონტროლი კი — აფხაზეთისა და ოსეთის“.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ზურაბ ჯაფარიძე** საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში პოზიტიურს ვერაფერს ხედავს. მისი თქმით, რა პოზიტიურ ცვლილებებზეა საუბარი, როცა ანქვაბი ჩადის რუსეთში, ხვდება რუსეთის პატრიარქს, პრეზიდენტს და მათთან აფხაზეთისა თუ ოსეთის დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე საუბრობს:

„ამის მერე ვერანაირ პოზიტივს ვერ ვხედავ. თუ ის არის პოზიტივი, რომ ზურაბ აბაშიძე სადღაც ხვდება გრიგორი კარასინს?!“ — რიტორიკულად კითხულობს ჯაფარიძე და დასძენს, რომ მის ფონზე, როცა საქართველოში წარმოებული ღვინო ევროპის მრავალ ქვეყანაში იყიდება, ონიშჩენკოს მიერ გაკეთებული განცხადებები შეურაცხყოფაა.

ამასთან, ჯაფარიძე მოსკოვში ანსამბლ „ერისიონის“ გასტროლსაც აფასებს და აცხადებს, რომ კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობა რუსეთის სპეცსამსახურების ნაცადი ხერხია იმ ქვეყნებთან, რომელთა ტერიტორიებიც მას აქვს ოკუპირებული.

პუტინი-ანქვაბის შეხვედრის შეფასებისას, ყოფილი პრემიერი **თენგიზ სიგუა** აცხადებს, რომ რუსეთი აფხაზეთს არ დათმობს. მისი თქმით, მოსკოვისთვის საშინელი დიპლომატიური კრახი იქნება, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე უარი რომ თქვას:

„სხვა საქმეა, საქართველოსა და რუსეთს შორის გარკვეული ტიპის დაახლოება მიმდინარეობს. მეცნიერული და კულტურული ურთიერთობები თუ ვაჭრობა ძალიან კარგია. ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის განხორციელებაც შვება იქნება — ამით ბიუჯეტი მნიშვნელოვან შემოსავალს მიიღებს და, წლიურად, სულ ცოტა, 10-12 მილიონი ბოთლი გაიყიდება, მაგრამ პოლიტიკურ საკითხებზე რუსეთი დათმობაზე არ წავა, რადგან ეს მისთვის სრულ კრახს მოასწავებს, ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ეკონომიკა გავაძლიეროთ, რათა დანარჩენი საქართველო აფხაზეთისთვის საინტერესო გავხადოთ. იქ არის ძალები, რომლებიც რუსეთის ოინებს მიხვდნენ და ანტირუსული დამოკიდებულება აქვთ. ჯერჯერობით, ისინი მცირე რაოდენობითაა და მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვთ, მაგრამ დადგება დრო, თავის სიტყვას იტყვიან. ამისთვის საჭიროა, ეკონომიკურად მოვძლიერდეთ და ისინი თვითონ დაიწყებენ ჩვენთან კავშირის ძებნას“.

მისცემს თუ არა მოსკოვი აფხაზებს ქართველებთან დაახლოების საშუალებას? — ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ მოსკოვს ალექსანდრე ანქვაბიც არ უნდოდა, მაგრამ ხალხმა ის აირჩია. სიგუას თქმითვე, ეჭვს იწვევს რუსეთის სიძლიერე და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მომავალიც:

„ანქვაბს რამდენიმეჯერ ტერაქტი მოუწყვეს. როგორ გგონიათ, ეს ვინ ჩაიდინა? — ამაში, რასაკვირველია, მოსკოვის ხელი ურევია. ვინ მოიცილა ბაღაფში? — ის მოკლულია, რადგან მოსკოვს მისი ფიგურა არ აწყობდა. ანქვაბიც მიუღებელი იყო, მაგრამ აფხაზებმა მაინც აირჩიეს, ამიტომ, საქმე ისე არაა დალაგებული, როგორც ვიღაცებს ჰგონიათ. ამასთან, ღრმა ანალიზი უნდა გაკეთდეს რუსეთის სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებითაც. ქვეყანა დღეს ენერგომატარებლების გაყიდვის ხარჯზე ცხოვრობს, მაგრამ ამერიკის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი გავლენას მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე, მათ შორის, რუსეთზეც მოახდენს, რაც ენერგომატარებლების მომხმარებლის მნიშვნელოვან კლებას მხოლოდ აშშ-ში კი არა, ევროპულ ქვეყნებშიც გამოიწვევს, რაც, რასაკვირველია, რუსეთს დაარტყამს — მისი ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზარზე გატანა მნიშვნელოვნად შემცირდება. მოკლედ, ყველაფერი კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს.

დღევანდელი რუსეთი ძლიერი ქვეყანა არაა, რადგან ასეთი სახელმწიფოს ექსპორტში, სულ ცოტა, 40% ტექნოლოგიური ნაწარმი უნდა ჰქონდეს. რუსეთის 5 პროცენტი კი სასაცილო მაჩვენებელია; ნიგერიას უფრო მეტი აქვს. რუსული ტექნოლოგიები იმდენად ჩამორჩა, მსოფლიო ბაზარზე არ იყიდება. მისი ექსპორტის 78% ენერგომატარებლებია — ნავთობი და ბუნებრივი აირი. 18 წელიწადში რუსეთს ნავთობის დიდი მარაგი უმცირდება — თუ დღეს წლიური მოპოვება 500-520 მილიონი ტონაა და ნახევარს ყიდის (დანარჩენს შიგნით იყენებს), 18 წლის შემდეგ, ამდენის გაყიდვის საშუალება აღარ ექნება და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა დაიწყება.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, რა ელის აფხაზეთს? — დადგება დრო და, არათუ აფხაზეთში, საერთოდ, კავკასიაში რუსული ჯარი აღარ იქნება... ისე, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების ანალიზი ნაკლებად ხდება — დღე არ გავა, ჩეჩნეთში, დაღესტანში, ყაბარდოსა თუ სხვაგან ტერაქტი არ მოხდეს. მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიას ვერ აწყნარებს და ვერც დააწყნარებს, თუმცა ჯერჯერობით ძალა აქვს, სამხედრო ჩარევითა და ბაზების გახსნით გავლენა შეინარჩუნოს, მაგრამ ეკონომიკური დასუსტების პარალელურად, ეს გავლენაც შესუსტდება.

სხვათა შორის, პუტინმა პენსიების შემცირების ბრძანებას ხელი მოაწერა და, როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს კრიზისის დასაწყისია — 1992 წლის შემდეგ, რუსეთში პენსიები პირველად შემცირდა. ამასთან, შემოიტანეს ახალი ცნება — სტაჟის, რომელსაც ადრე მნიშვნელობა არ ჰქონდა. მოკლედ, ეს პირველი ნიშნებია, რომ რუსეთში საქმე კარგად ვერ არის“.

პუტინი-ანქვაბის ბოლო შეხვედრა ქართულ-რუსული ურთიერთობის დარეგულირებას წყალს არ დაასხამს — პოლიტიკური ჩიხი სახეზეა და კულტურულ-ეკონომიკური კავშირების აღდგენის მცდელობა ამ საქმეს ვერ შველის. გამოსავალი მაინც პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაძლიერებაშია, რათა ქვეყანა უკეთეს დროებასა და გამოწვევებს მომზადებული შეხვდეს.

დავით უსუფაშვილი სენატორ ჯონ მაკკეინს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა აშშ-ში ვიზიტის ბოლო დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა კონგრესში, ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკურ საბჭოსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოში.

დავით უსუფაშვილი და საპარლამენტო დელეგაციის წევრები კონგრესში სენატორ ჯონ მაკკეინს შეხვდნენ. მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებზე ისაუბრეს. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება — თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, სენატორმა ჯონ მაკკეინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი კეთილგანწყობა საქართველოსადმი და ის, რომ მხარში დაუდგება საქართველოს ყველა იმ გამოწვევის დაძლევაში, რაც კი შეიძლება, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ჰქონდეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა, ასევე, შეხვედრები გამართა კონგრესმენებთან: ჰოვარდ მაკკეონთან, ჯეფ მილერთან, ტომ მარინოსთან, კეი გრეინჯერთან, სტივ სტოკმანთან, მარიო დიას ბალარტთან, ჯიმ მაკდერმოტთან და სენატორ ტედ კორჩენთან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აშშ-ს ატლანტიკურ საბჭოს ეწვია, რომელიც უსაფრთხოებისა და დემოკრატიის საკითხებზე მუშაობს.

დავით უსუფაშვილი ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს, დეიმონ ვილსონსაც შეხვდა. საუბრის მთავარი თემა მომავალი თანამშრომლობა იყო.

„საუბარი გვქონდა იმაზეც, როგორ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს. მაგალითად, როდესაც საქართველოს შესახებ მათი ერთ-ერთი ბოლო ანგარიში ვნახე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მეტი ინფორმაცია უკეთესი იქნებოდა დასკვნების გამოსატანად. ჩვენ შევთანხმდით, როდესაც მკვლევარი საქართველოში ჩამოვა, იგი აუცილებლად ყველა მხარეს შეხვდება და ასეთი ანგარიშები უფრო მაღალი ხარისხის იქნება. გარდა ამისა, თანამშრომლობის სხვა, კიდევ უფრო საინტერესო გეგმებზეც ვისაუბრეთ“, — განაცხადა უსუფაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე USAID-ის ხელმძღვანელ რაჯივ შაჰს შეხვდა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრის, ირაკლი ჩიქოვანის შეფასებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ პირველი ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ განახორციელა: **„ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ს მთავრობა, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს საქართველოს, როგორც მის სტრატეგიულ პარტნიორს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებსა და იმ რეფორმებში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასა და ახალ მთავრობას დაგეგმილი აქვს“.** მისივე თქმით, ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეხვედრები სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა, სადაც საუბარი ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში, ახალი ელემენტების მოძიების შესაძლებლობებზე გაიმართა.

„მედიანიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის შემოტანისთვის საფრანგეთის მოქალაქე დააკავა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1 მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საფრანგეთის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, 1979 წელს დაბადებული ლევან ნ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 28 აბი „ბუპრენორფინი“, ამავე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ხსნარით სავსე 2 სამედიცინო შპრიცი, „მარიხუანა“ და „ჰაშიში“ ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ „ბუპრენორფინი“ დაკავებულმა საფრანგეთიდან ფარულად შემოიტანა. ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, დაკავებულს „ბუპრენორფინის“ მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„ინტერპრესნიუსი“

რატომ გამოუცხადეს უნდობლობა „სასწრაფოს“ გაფიცულმა ექიმებმა მედიკოსთა პროფკავშირის ხელმძღვანელს

ნელი თორდია
593-61-07-72

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში მიმდინარე პროცესები დირექტორის, კახა ჩიხრაძის გათავისუფლებით დამთავრდა. სამსახურიდან დათხოვნილი ექიმები კი სასამართლოს ვერდიქტს ელოდებიან. „სასწრაფოს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირი, რომელიც წინა ხელისუფლებას აქტიურად აკრიტიკებდა, პრაქტიკულად, არ გამოხმაურებია, რასაც ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯონი ჯანაშია „მეამბოხე ექიმების“ კონტაქტზე არგამოსვლით ხსნის.

ჯონი ჯანაშია „სასწრაფოს“ ყოფილ უფროსთან მეგობრობას ადასტურებს და გათავისუფლებული ექიმების სამსახურში დაბრუნებას ეწინააღმდეგება

„მქონდა ინფორმაცია, რომ ჯანდაცვის სისტემაში ექიმთა გარკვეული რგოლი გააქტიურდა და მათთან ურთიერთობის დამყარება დავაპირეთ, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა — ჩათვალეს, რომ ჩვენთან ურთიერთობა მათთვის სასარგებლო არ იქნებოდა. მაშინ კი, როცა ჩემი და კახა ჩიხრაძის მეგობრობაზე მიმანიშნეს, ცოტა არ იყოს, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რადგან სოკრატე ძალიან მიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება მირჩევნია“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას ჯონი ჯანაშია და, მეგობრობის მიუხედავად, სასწრაფო დახმარების ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს, რომელსაც მაღალი დონის სპეციალისტად და კარგ ადამიანად მიიჩნევს, ორგანიზაციულ ხედვას უწუნებს.

ამასთან, ჯანაშია ექიმების სამსახურიდან გაშვებას შეცდომად მიიჩნევს, თუმცა სამსახურში მათ სასამართლოს გზით დაბრუნებას მხარს არ უჭერს: **„თუ ექიმები სამსახურში დაბრუნეს, ეს შერჩევითი მართლმსაჯულების კლასიკური ნიმუში იქნება. შრომის კოდექსში 37-ე მუხლის „დ“ პუნქტადწოდებული ბენდუქიძის შემოქმედება, ჯერჯერობით, ისევ არსებობს, რომლის თანახმადაც, დამსაქმებელს დასაქმებულის გაშვება ყოველგვარი რევერანსის გარეშე შეუძლია. ამ მუხლით, წლების განმავლობაში, ათასზე მეტი ექიმია გაშვებული, რასაც მაშინ, ჩვენს გარდა, არავინ აპროტესტებდა. როგორც ვიცი, ამ მუხლით გათავისუფლებული ადამიანის სამსახურში აღდგენის პრეცედენტი არ არსებობს და თუკი სასამართლომ „სასწრაფოს“ ექიმები აღადგინა, მაშინ სასამართლოს წინაშე ამ მუხლით გათავისუფლებული ათასზე მეტი ექიმის საქმეს დავაყენებ და ისინიც აღადგინონ“.**

სასწრაფო დახმარების ექიმებს სოლიდარობა რამდენიმე კლინიკამ, მათ შორის, რეფერალურმა ჰოსპიტალმა და ანზორ მელიას კარდიოლოგიურმა კლინიკამაც გამოუცხადა. ექიმთა ნაწილი სახელფასო დავალიანებაზე, ნაწილი კი, სასწრაფო დახმარების ცენტრის მიერ წარმოებულ არასწორ ჰოსპიტალიზაციაზე საუბრობდა. მედიკოსთა პროფლიდერი ამბობს, რომ მისთვის კლინიკის ექიმთა მდგომარეობა ცნობილია: **„ჩემთვის რეფერალური ჰოსპიტლის თანამშრომელთა პროტესტი სრულიად გასაგებია — ჰოსპიტლის ყიდვა პოლონელ ინვესტორს აიძულეს, რომელიც მედიცინასთან შორს დგას და მისი ბიზნესი გზების დახაზვა და ავტომობილის საბურავების გაყიდვაა, ამიტომ პოლონელმა აღმავლობის გზაზე მდგარი ჰოსპიტალი გაკოტრებამდე მიიყვანა... ამასთან, გამოჩნდნენ ინვესტორები, რომლებსაც ერთი თეთრის ინვესტიციაც არ ჩაუდიათ და ბიზნესს რეინვესტირების გზით ანუ მკურნალობის ფასების ამაღლებითა და ექიმების ხელფასის შემცირებით ახორციელებდნენ. ასე გაიყიდა უამრავი საავადმყოფო და პოლიკლინიკა, სამაგიეროდ, აღმოცენდნენ შუშის ლაზარეთის მსგავსი დაწესებულებები, რომლებსაც ვერც საავადმყოფოს დაარქმევ და ვერც — ამბულატორიას. ამის შემდეგ სახელმწიფომ კიდევ ერთი არასწორი ნაბიჯი გადადგა და იმისთვის, რომ სისტემა ვიღაცას ემართა და ერჩინა, მთელი მედიცინა სადაზღვევო კომპანიებს გადააბარა. სადაზღვევო კომპანიაზე დაქვემდებარებული ექიმი იძულებული გახდა, ყველაზე დაბალხარისხიანი მომსახურეობა დაზღვეულისთვის ყველაზე მაღალ ფასად „შეეტენა“. სადაზღვევო კომპანიებმა ექიმებს ხელფასი დაუწიეს, მკურნალობის ფასები კი, აწიეს“.**

ექიმთა უფლებების დამცველის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო კომპანიები უფულობასა და დუხჭირ ცხოვრებას არ უჩივიან, საქართველოში არ არსებობს სამკურნალო დაწესებულება, რომლის მიმართაც სადაზღვევო კომპანიას დავალიანება არ აქვს:

„ამას წინათ, რაჭაში ვიყავი, სადაც საავადმყოფოებს სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“ მართავს. შეიძლება, მთაში ექიმს ხელფასი იანვრის შემდეგ არ ჰქონდეს აღებული? შეიძლება, ექიმს თვეში 10-15-ლარიანი ხელფასი ჰქონდეს? ამბროლაურის საავადმყოფოში ერთადერთი კარდიოლოგია, რომელსაც ორი ავადმყოფის მიღების, გატარებისა და ღამის გათენების შემთხვევაში თეთრიც არ ერგება და 20%-იან ანაზღაურებას მხოლოდ 4 და მეტი ავადმყოფის მიღების შემთხვევაში იღებს. ეს სისტემა მეტი ავადმყოფის მიზიდვაზეა ორიენტირებული, მაგრამ როგორ უნდა მიიზიდო ავადმყოფი მთაში, რომელიც ისედაც დაცლილია? ვისარგებლებ თქვენი გაზეთით და მივმართავ ყველას, ვისაც ეხება, გადახედოს, რამდენად აუცილებელია, სადაზღვევო კომპანიები მართავდნენ საავადმყოფოებს ან ერთგვარ შუამავალს წარმოადგენდნენ სახელმწიფოსა და კლინიკას შორის?! სადაზღვევო სისტემის გამართულად მუშაობისთვის ჯერ ჯანდაცვის კი არა, სადაზღვევო სისტემის რეფორმირება უნდა მომხდარიყო. ჩვენთან კი პირიქით მოხდა, რამაც როგორც მედიცინას, ასევე, ექიმებსა და მოქალაქეებს საშინელი დაღი დაასვა“.

ჯონი ჯანაშიას თქმით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათავისუფლებულთა გარდა, მედიკოსთა შორის სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაშვებულებიც არიან. ამასთან, მედიკოსთა უფლებების დამცველი, „ვერსიასთან“ საუბრისას ყურადღებას 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართულ ექიმთა საპროტესტო მოძრაობაზეც ამახვილებს და აცხადებს, რომ ეს, სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მიზანმიმართული საბოტაჟი: **„პირველი ოქტომბრის შემდეგ, როცა გვეგონა, სამართალმა იზეიმა, მთელმა რიგმა სადაზღვევო კომპანიებმა მედიცინის 100-მდე მუშაკს ხელშეკრულება შეუწყვიტეს, ანუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მომიზეზებით, სამსახურიდან ისინი გაუშვეს, ვინც არ აწყობდათ და სწორედ ამიტომ აგორდა მაშინ საპროტესტო ტალღა. ნოემბერ-დეკემბერში ექიმების გაფიცვას პოლიტიკური საფუძველი არ ჰქონია, მაგრამ გათამაშდა, რომ ექიმები თითქოს ხელისუფლებაში მოსული ახალი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგნი იყვნენ. მიმაჩნია, რომ ეს მიზანმიმართული და საბოტაჟური ქმედება იყო“.**

„ნუგეშის“ ჯიხურებში ვადაგასული კვერცხი იყიდებოდა?!

რითი იმართლებს თავს „ნუგეშის“ მეპატრონე, რა ზიანს აყენებს ჯანმრთელობას და გაანადგურა თუ არა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უვარგისი კვერცხი

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ქართულ ბაზარზე ვადაგასული და ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაციის ფაქტებზე „ვერსია“ არაერთხელ წერდა. ამჯერად სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა, მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შედეგად, „ნუგეშის“ მაღაზიათა ქსელიდან დიდი რაოდენობით ვადაგასული კვერცხი ამოიღეს — „ნუგეშის“ საწყობში სარეალიზაციოდ გამზადებული 200 ათას ცალამდე მოლდავური კვერცხი დაილუქა. ცნობისთვის: ვადაგასულმა კვერცხმა, შესაძლოა, სერიოზული ინტოქსიკაცია გამოიწვიოს. რატომ ყიდდა კომპანია უვარგის პროდუქციას? — ამ შეკითხვით „ვერსიამ“ „ნუგეშის“ დამფუძნებელს, გიგა ხვინგიას მიმართა.

— კვერცხს იმპორტის ნებართვის მიხედვით, 28-დღიანი ვადა ჰქონდა. სწორედ 28-ე დღეს სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები მოვიდნენ და კვერცხი, რომელიც ქსელში იყო, ამოიღეს. საწყობი კი დალუქულია. ვადის გასვლის შემდეგ, კვერცხის რეალიზაცია არ მომხდარა, ამიტომ სურსათის ეროვნულ სააგენტოს პრეტენზია არ აქვს, უბრალოდ, პრევენციას მიმართა, რომ ეს კვერცხი არ გაყიდულიყო.

— სააგენტოში ამბობენ, რომ ვადაგასული კვერცხი საცალო ქსელში იყიდებოდა. თქვენ კი სხვა რამეს მიმტკიცებთ...

— სარეალიზაციოდ იყო გამზადებული, თუმცა „ნუგეშის“ ქსელში ვადაგასული კვერცხი არ გაყიდულა. სიმართლე გითხრათ, იმპორტიორისგან სხვა ინფორმაცია გვქონდა.

— რა ინფორმაცია გქონდათ, კვერცხს ვადა როდის გასდიოდა?

— ზუსტად არ მახსოვს. მგონი, რამდენიმე დღე კიდევ იყო დარჩენილი.

— საწყობის დალუქვით დიდი ზარალი ნახეთ?

— 30-35 ათასი.

— ორი წელია, „ნუგეშის“ ჯიხურები ფუნქციონირებს. სურსათის უვნებლობის სააგენტომ პირველად შეგამოწმათ?

— კი.

— ვადაგასული კვერცხი განადგურდა?

— არ ვიცი... როგორც სურსათის უვნებლობის სააგენტოში თქვეს, გადაწყვეტილებას ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ მიიღებენ.

— თუკი კვერცხი ძველია, ლაბორატორიული შემოწმება რაღა საჭიროა?

— არ ვიცი, შეიძლება, მეპატრონემ უკან, მოლდოვაში წაიღოს. ყოველ შემთხვევაში, ეს კვერცხი საქართველოს ქსელში არ მოხვდება.

„ვერსია“ სურსათის ეროვნულ სააგენტოსაც დაუკავშირდა, რომლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა, ვერიკო გულუამ „ნუგეშის“ დამფუძნებლისგან რადიკალურად განსხვავებული ინფორმაცია მოგვაწოდა:

— მართალია, ვადა პირველ მარტს გაუვიდა, მაგრამ კვერცხი „ნუგეშის“ ქსელში 11 მარტამდე იყიდებოდა. კვერცხს ვადა 28 კი არა, 21 დღე ჰქონდა.

— „ნუგეშის“ დამფუძნებელი გიგა ხვინგია აცხადებს, კვერცხს რეალიზაციის 28-დღიანი ვადა ჰქონდა, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები სწორედ 28-ე დღეს მოვიდნენო...

— რაც გითხარით, იმის დამადასტურებელი ფოტოსურათებიც გვაქვს. საერთოდ, სასურსათო ბაზრის ლაბორატორიული კვლევა ტარდება და მონიტორინგი აქტიურ ფაზაშია შესული. სხვათა შორის, ზოგან ხორცის რეალიზაცია და მანქანის საბარგულით გადატანაც აიკრძალა.

— მეწარმეებიც დაჯარიმდნენ?

— ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა ჯარიმას არ ითვალისწინებს. უბრალოდ, პროდუქტის ქსელიდან ამოღება და განადგურება ხდება. მეწარმე მაშინ ჯარიმდება, თუკი სამეწარმეო რეესტრში ბიზნესოპერატორად არაა დარეგისტრირებული და ამ შემთხვევაში ჯარიმა 300 ლარია. რეალიზატორი მაშინაც ჯარიმდება, თუკი ნედლი ან გაყინული ხორცის რეალიზაციის დროს ფორმა №2 არ აქვს.

— „ნუგეშის“ ქსელიდან ამოღებული კვერცხი განადგურდება? სხვათა შორის, „ნუგეში“ ამბობენ, კვერცხი შეიძლება, ბულგარელმა მეპატრონემ უკან წაიღოსო.

— ვადაგასული სურსათი, თავისთავად, უნდა განადგურდეს, თუმცა კანონით, უტილიზაცია ტექნიკური გადამუშავების გზით იმ შემთხვევაში ხდება, თუ მეწარმე აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემულ ვეტერინარულ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ექსპერტიზის დასკვნას წარმოადგენს, რომ პროდუქტის უტილიზაციის გზით გადამუშავება შეიძლება, ოღონდ სასურსათო კი არა, სხვა მიზნისთვის, მაგალითად, ბიოგაზისთვის. სხვა შემთხვევაში, პროდუქტი ჩვენი თანდასწრებით ნადგურდება.

— გიგა ხვინგია ამბობს, კვერცხი ვადაგასული არ იყო და ლაბორატორიის დასკვნას ველოდებითო. მართლა გაიგზავნა კვერცხი ლაბორატორიაში ვარგისიანობის ვადის დასადგენად?

— მისი ნებაა, მეწარმე რას გააკეთებს. ჩვენ კი, კანონმდებლობით, ვადაგასული პროდუქცია ლაბორატორიაში არ მიგვაქვს. პროდუქცია ლაბორატორიაში ვარგისიანობის ვადის დასადგენად მაშინ იგზავნება, როცა ვარგისიანობის ვადა გასული არაა, მაგრამ საქონელს სახე აქვს დაკარგული...

ჩინეთის მთავარი ლოზუნგი „ჩინური ოცნება“ იქნება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალმა მეთაურმა, სი ძინპინმა, რომელიც სახელმწიფოს ლიდერად 14 მარტს აირჩიეს, განაცხადა, რომ იბრძოლებს „ჩინელი ხალხის აღორძინებისთვის“.

„ჩინური ოცნება“ იქნება მთავარი ლოზუნგი „ჩინური სპეციფიკის სოციალიზმის მშენებლობისას“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა და დასძინა, — **„ჩინური ოცნების“ განხორციელებისას, უნდა განვითარდეს ჩინეთის სული. ეს ეროვნული სულია, რომლის საფუძველიც პატრიოტიზმია. ეს, ასევე, რეფორმების რეალიზაციის ეპოქის სულია, რომელიც ძლიერი სახელმწიფოს ასაშენებლად ეროვნული აღორძინების სწრაფვიდან გამომდინარეობს“.**

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის კრების დახურვის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას, ლი ძინპინმა ასევე მიმართა შეიარაღებულ ძალებს და მოუწოდა, აიმაღლონ ბრძოლისუნარიანობა, იყვნენ ძლიერნი და დისციპლინირებულნი.

მისივე თქმით, უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ქვეყნის ეკონომიკა.

ჩინეთის სახელმწიფოს ლიდერის განცხადებით, აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

საკაკაშვილის ვიდეოსიზმარი

„წუხელ სიზმარში აფხაზეთი ვნახე“, — ამ სახელწოდებით ვიდეოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.

პრეზიდენტმა ვიდეოს მცირე კომენტარიც დაურთო: **„ყველა ქართველ ბავშვს თუ ასე გავზრდით, ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთ!“**

ვიდეოში, რომლის ავტორიც უცნობია, ნაჩვენებია ქორწილი, სადაც გოგონა აფხაზეთზე ლექსს კითხულობს.

„ტაიმერ.გე“

რუსეთიდან „ჯეკო ტბილისსკის“ დეპორტაცია განხორციელდა

რუსმა სამართალდამცველებმა საქართველოში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის, ჯემალ მამოიანის, მეტსახელად „ჯეკო ტბილისსკის“ დეპორტაცია განახორციელეს, — ამის შესახებ რუსული მედია ქვეყნის შსს-ზე დაყრდნობით იუწყება.

მამოიანი სასჯელს მაგადანში იხდიდა. რუსეთში ის შვიდი წლის წინ, მკურნალობის მოტივით ჩავიდა, სადაც 2009 წელს დააპატიმრეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რუსეთის შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ანდრეი პილიპჩუკის ინფორმაციით, მამოიანმა არაერთხელ სცადა საპატიმრო დაწესებულებაში ვითარების დესტაბილიზაცია, რის შედეგადაც, საქართველოში მისი დეპორტაცია გადაწყდა.

რუსული მედიის ცნობით, 34 წლის მამოიანი დაქორწინებულია „დედ ჰასანთან“ დაახლოებული, ასევე, „კანონიერი ავტორიტეტის“ ქალიშვილზე.

„ინტერპრესნიუსი“

მოხევეები ამბოხებისთვის ემზადებიან

მართლა პატრიარქის ღოცვა-კურთხევით შენდება თუ არა ყაზბეგში ჰესები და რატომ დაემარა გარემოს დაცვის მინისტრი სტეფანწმინდელებს

ყაზბეგში, ჰესებთან დაკავშირებით, დიდი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი. მოსახლეობა ორ ბანაკად — მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაიყო. ასევე, აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა ენერგეტიკოსთა და გარემოს დამცველებს შორისაც.

ყაზბეგი ჰესის მშენებლობის საკითხზე, სამინისტროში 14 მოსაზრება შევიდა. ხდის ხეობაში ყაზბეგი ჰესის მშენებლობა მდინარე ბროლისწყალზე იგეგმება. დარიალი ჰესისა და ლარსის ჰესის მსგავსად, ეს პროექტიც დერივაციულია და მდინარის წყლის 90%-ის მილსადენში მოქცევას ითვალისწინებს.

რამდენიმე დღის წინ, დაბა ყაზბეგში, სტეფანწმინდის ცენტრში, ადგილობრივმა მოსახლეობამ ყაზბეგის რეგიონში მშენებარე ჰესების მხარდამჭერი აქცია გამართა. აქციის მონაწილეთა მიზანი იყო, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ ისინი არათუ ეწინააღმდეგებიან ჰესების მშენებლობას, არამედ, ეს საქმე ამ ეტაპზე, მათი რეგიონის განვითარების ერთადერთი რეალური შესაძლებლობაა.

ადგილობრივი მოსახლეებისგან დაკომპლექტებულმა საინიციატივო ჯგუფმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 4 მარტს გაუგზავნა 1 700 ყაზბეგელის ხელმოწერა, რითიც ისინი ადასტურებდნენ, რომ ჰესების მშენებლობის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მიაჩნიათ, რომ მსგავსი მშენებლობები ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დამატებით სამუშაო ადგილებს გააჩენს ხევში.

„მხარს ვუჭერთ ჰესების მშენებლობას. ვაპროტესტებთ იმას, რომ ჩვენს პოზიციას არ ითვალისწინებს გარემოს დაცვის სამინისტრო. 27 თებერვალს გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე იყო ჩამოსული. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა დაგვეფიქსირებინა ჩვენი პოზიცია, თუმცა მინისტრი არ შეგვხვდა. ველოდეთ და შემდეგ, დავიშალეთ. გვითხრეს, რომ ჩვენი პოზიციის მოსასმენად იყო ჩამოსული, სინამდვილეში კი, ასე არ მოხდა“, — აცხადებს ყაზბეგის მკვიდრი გიორგი ფიცხელაური.

ამჟამად, ყაზბეგის რეგიონში ორი ჰესის (დარიალი — 108 მგვტ და ლარსი — 19,5 მგვტ) მშენებლობა მიმდინარეობს, მესამე — ყაზბეგი ჰესზე კი ინვესტორები გარემოს დაცვის სამინისტროსგან ნებართვას ელოდებიან. მიმდინარე მშენებლობებზე 150 ადამიანზე მეტია დასაქმებული.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდა“ ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის სახელით, გარემოს დაცვის სამინისტროში წარდგენილ ხელმოწერებს მსწრაფლ გამოეხმაურა და ბევრი საინტერესო დეტალი გამოააშკარავა. „სტეფანწმინდელები“ აცხადებენ, რომ ხელმოწერების შემგროვებელი საინიციატივო ჯგუფის ექვსივე წევრი ჰესების მშენებელ კომპანიაშია დასაქმებული.

„გარემოს დაცვის სამინისტროში მოქალაქეთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილია ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის ხელმოწერები, შემდეგ ტექსტზე: „ხდისა და დარიალის ხეობებში მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით თანხმობას ვაცხადებთ და ვადასტურებთ ხელმოწერით“. 1700 ხელმოწერას არ ახლავს ხელმომწერთა არც მისამართი და არც — პირადობის დამადასტურებელი რამე რეკვიზიტი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, წერილზე ადამიანების დიდმა ნაწილმა ხელი მოაწერა მოტყუებით, ვინაიდან შპს „ფერის“ წარმომადგენლები არწმუნებდნენ, რომ მშენებლობა პატრიარქის კურთხევით მიმდინარეობს, ხოლო ჰესების მშენებლობის დასრულების შემდეგ, რაიონს უფასოდ მიეწოდება ელექტროენერგია“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ყველა გვერდზე ადვილად შეიმჩნევა, რომ რამდენიმე ადამიანის ნაცვლად, ერთ ადამიანს აქვს ხელი მოწერილი. ხელმომწერთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წელია, საზღვარგარეთ ცხოვრობენ. არიან ისეთი მოხევეები, რომლებიც მუდმივად თბილისში ცხოვრობენ და იანვრის ბოლოს, როდესაც ეს ხელმოწერები შეგროვდა, არ იმყოფებოდნენ ყაზბეგში. სიებში არის ბევრი გაორება, როდესაც ერთი და იგივე ადამიანს, ორგან აქვს ხელი მოწერილი. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა ნაწილმა განცხადებით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს, სადაც აცხადებენ, რომ მათ ხელი არ მოუწერიათ კომპანია „ფერის“ ინიცირებულ ჰესების მშენებლობის მხარდამჭერ წერილზე, თუმცა სიაში მაინც არიან, — განმარტავენ „სტეფანწმინდის“ წარმომადგენლები, რომლებიც ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე დადებული მემორანდუმის გაუქმებას, დარიალის ხეობაში მიმდინარე პროექტებში ცვლილებების შეტანასა და წინა ხელისუფლების პერიოდში ამ სფეროში ჩადენილი კანონდარღვევების გამოძიებას ითხოვენ.

„სტეფანწმინდის“ წარმომადგენელი შოთა ბუჩუკური ამბობს, რომ ენერგეტიკული თვალსაზრისით, თითქმის უმნიშვნელო (6-მეგავატიანი) ჰესის აშენების გამო უნიკალური ხეობის, ბუნების ძეგლის განადგურება დაუშვებელია.

„ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ პროცესი უკვე დაწყებულია და ხდის ჰესის მშენებლობას ვერ შეაჩერებს, რას ნიშნავს პროცესი დაწყებულია? — ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ჯერ არ გაცემულა. მით უმეტეს, თუ არსებობს პოლიტიკური ნება, მათ თავისუფლად შეუძლიათ, ეს გააკეთონ, იმის ნაცვლად, რომ შპს „ფერის“ ინტერესებს ლობირებდნენ. მივმართავთ ენერგეტიკის სამინისტროს, თავი შეიკავოს ამ და სხვა განცხადებებისგან, რომლებითაც პირდაპირ ახდენს ზეწოლას გარემოს დაცვის სამინისტროზე, რომ მან დადებითი ეკოლოგიური დასკვნა გასცეს“, — ამბობს ბუჩუკური.

მისი განმარტებით, ამგვარი პროექტების დაგეგმვა და მშენებლობა მხოლოდ მას შემდეგ უნდა ხდებოდეს, რაც შემუშავდება ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

„გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ ისინი სამინისტროსგან წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას მოითხოვენ.

„წინასაარჩევნო დაპირება, რომ აიკრძალება დიდი ჰესების მშენებლობა და მცირე ჰესები კი აშენდება ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისად, არ სრულდება. გასაგებია, რომ არსებობს წინა მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმები, მაგრამ მისი გაუქმება პოლიტიკური ნებისა და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია“, — მიიჩნევს ჩხარტიშვილი.

„ფორ.გე“

ყვითელი მიკროავტობუსი ხეს შეეჯახა

თბილისში, მეტრო „სარაჯიშვილთან“ ყვითელი მიკროავტობუსის მძღოლმა მოძრაობის წესები დაარღვია, რის შემდეგაც, ხეს შეეჯახა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ თბილისის საგანგებო სიტუაციებისა და მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ნოდარ ჭუმბაძემ განუცხადა, შემთხვევის შედეგად, სერიოზულად არავინ დაშავებულა.

„შემთხვევის დროს, მიკროავტობუსში 8-9 მგზავრი იმყოფებოდა. ამათგან, 3-4 ადამიანმა მსუბუქი დაზიანება მიიღო. მძღოლმა კი, — საშუალო. ყველა მათგანი სტაციონარშია გადაყვანილი“, — განაცხადა ჭუმბაძემ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ხათუნა ხოფერიას ვაჟი გირაოთი გაათავისუფლეს

ბექა ხოფერიამ, ერასტი საბანაძემ და გიგა იობაშვილმა გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულება, გირაოს გადახდის შემდეგ დატოვეს.

თითოეულს საქალაქო სასამართლომ 7-7 ათასლარიანი გირაო შეუფარდა. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მეოთხე დაკავებულის, დავით ეჯაბიას მხარის შუამდგომლობა და ის პატიმრობაში დატოვა.

შეგახსენებთ, რომ ბრალდებულების ადვოკატი მოითხოვდა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ყველა ბრალდებასთან მიმართებაში გამოყენებულიყო 2 ათასი ლარის ოდენობის გირაოს თავდებობა. პროკურატურა კი ოთხივე ახალგაზრდის პატიმრობას მოითხოვდა იმ მიზეზით, რომ ბრალდებულები მიმდინარე ძიების პროცესს ხელს შეუშლიდნენ.

14 მარტს, ოთხი ახალგაზრდა თამარაშვილის ქუჩაზე, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დაიკავეს.

„მედიანიუსი“

პატრიარქმა „ერიოსიონი“ დალოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ დალოცა.

საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ, პატრიარქისგან ლოცვა-კურთხევა მიიღეს ასევე, ქართული კულტურის საერთაშორისო-საგანმანათლებო შემეცნებითმა ცენტრმა „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“, სკოლა-ლიცეუმმა „ცოდნა“, ასევე, შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკურმა დეპარტამენტმა დავით სუჯაშვილის ხელმძღვანელობით.

წირვის დასრულების შემდეგ უწმინდესმა სამღვდელოების დამსახურებული წარმომადგენლები დააჯილდოვა, მათ შორის, დეკანოზი ექვთიმე წულუკიძე და დეკანოზი პავლე კაკუშაძე. დეკანოზი გიორგი ტაბაღუა გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა, დეკანოზმა გიორგი კეჟერაშვილმა კი გამშვენებული ჯვრის ტარების უფლება მიიღო.

„პირველი“

ნიკუშა შენგელაია რიყეზე „პროქტოლოგიური პროექტის“ სასწრაფოდ დაშლას ითხოვს

ნათია ვასაძე
555-98-61-65

მხატვარი ნიკუშა შენგელაია პოლიტიკურ პროცესებში ეროვნული მოძრაობიდან ჩაერთო და 2003 წლის, „ვარდების რევოლუციაშიც“ აქტიურად მონაწილეობდა, თუმცა ე.წ. ნაციონალურმა ხელისუფლებამ იმედი მალე გაუცრუა და 9 წლის განმავლობაში, „ვარდოსნებს“ მწვავედ აკრიტიკებდა. როგორ აფასებს პირველი ოქტომბრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და კმაყოფილია თუ არა ახალი ხელისუფლების საქმიანობით? — „ვერსიას“ ნიკუშა შენგელაია ესაუბრა.

რას ფიქრობს „ერისიონის“ მოსკოვურ კონცერტზე, რა გეგმები აქვს და გამოიყენებს თუ არა მხატვარი ივანიშვილთან მეგობრობას პირადი კეთილდღეობისთვის

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა — თავისუფალი სივრცე გაჩნდა და ქვეყნის მშენებლობაში მოქალაქეების ჩართულობამ იმატა. სამართალდამცავების მუშაობაც წინსვლის მანიშნებელია — მათ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებული ხელწერა აქვთ — გამოძიება ნამდვილ ფაქტებს დებს. „ნაციონალები“ კი, ვისაც უნდოდათ, ხელს კიდებდნენ და რასაც უნდოდათ, იმას „უდებდნენ“. სამართალი, რომელმაც პირველ ოქტომბერს იზეიმა, ახლა უნდა განმტკიცდეს — აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნა, ტარიფების დაკლება და ა.შ. ხალხი ეკონომიკურ კეთილდღეობას ელოდება და მჯერა, ახალი ხელისუფლება დანაპირებს აუცილებლად შეასრულებს.

— თქვენი აზრით, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას დიდი დრო დასჭირდება?

— რა თქმა უნდა, ამისთვის 4 თვე მცირე დროა. თუ რეალისტები ვიქნებით, ამას წლები სჭირდება, თუმცა ვფიქრობ, მომავალი წლიდან ინვესტორებისთვის სანდო სივრცე გაჩნდება და რესურსი შემოვა, ოღონდ ამას სწორი მენეჯმენტი და ლოჯისტიკა სჭირდება. ყველაფერი 2-3 წელიწადში, ალბათ, კარდინალურად შეიცვლება. ჯერჯერობით კი, ხელისუფლება სამართლებრივი სისტემის აწყობაზეა ორიენტირებული. საერთოდ, პოლიტიკა და სამართლებრივი სისტემა ერთმანეთს არ უნდა კვეთდეს. სამართალდამცავი ორგანოები საზოგადოებას უნდა ემსახურებოდნენ და არა — რომელიმე პარტიას ან ხელისუფალს.

— ბოლოდროინდელი დაჭერები მოგწონთ?

— ყველაფერი უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით ხდება. ხომ ხედავთ, სასამართლო ზოგიერთს ათავისუფლებს და ეს ნორმალურია. პროკურატურა დინჯად და კვალიფიციურად მუშაობს — არ ჩქარობს და ზეწოლას არავისზე ახდენს. ალბათ, გახსოვთ გუნავას გახმაურებული საქმე, როცა სამართალდამცავები შეცდნენ და ძველი მეთოდით იმოქმედეს — ამ ადამიანს ნარკოტიკი და იარაღი „ჩაუდეს“, თუმცა მოგვიანებით, ეს დანაშაული თვითონვე აღკვეთეს — სამართალდამცავები დასაჯეს. სააკაშვილის პერიოდში ერთი მსგავსი ფაქტი მაინც თუ გახსოვთ? განა, ეს წინგადადგმული ნაბიჯი არ არის? იმ ხალხის აღშფოთებაც მესმის, რომელსაც ძალიან სწრაფად უნდა დამნაშავეების დასჯა. ცხადია, საზოგადოებას აქვს ბევრი ეჭვი და ამა თუ იმ დანაშაულზე კონკრეტული ფაქტებიც იცის, მაგრამ ამას დამტკიცება უნდა. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივად ყველაფერი სწორად გაკეთდეს. სწორედ ეს გეზი აქვს აღებული დღევანდელ პროკურატურას. მართალია, ეს გრძელი გზაა, მაგრამ მნიშვნელოვანი, ეფექტური და ქვეყანაში აუცილებლად უნდა შედგეს პრეცედენტი, რომ დამნაშავე, ყველაფრის მიუხედავად, დაისჯება. ძველი ხელისუფლების ყველაზე დიდი თავგასულობა სასამართლო სისტემის კორუმპირებულობა იყო.

— რაკიღა სიტყვა სასამართლო სისტემაზე ჩამოვარდა, რას იტყვით პრემიერისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკმაოდ თბილ შეხვედრაზე?

— ამ შეხვედრის მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილის მოლოდინი შეიძლება, სხვაგვარი იყო, მაგრამ ბატონ ბიძინას სასამართლო სისტემის მოგვარებაში, ჩვენგან განსხვავებით, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. იგი სააკაშვილის მეთოდით არ მოქმედებს და მისი მიზანი ვინმეს დაჭერა კი არა, სამართლიანობის აღდგენაა... ის პრემიერია და იძულებულია, საერთო ენა ოპონენტებთანაც გამონახოს. რაც შეეხება პრემიერისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრას, ეს ივანიშვილის მხრიდან კუბლაშვილის გონზე მოყვანის მცდელობა იყო.

— ევროპის სახალხო პარტია ახალ ხელისუფლებას კრიტიკას არ აკლებს და „ნაციონალებს“ მხარს ღიად უჭერს...

> **— სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ ევროპის სახალხო პარტიაში სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობაზე, თუნდაც რამდენიმე ადამიანს მსგავსი მოსაზრება აქვს. ჯერ სიმართლეში გაერკვნენ და განცხადებები მერე გააკეთონ. არ მაინტერესებს, რა მხარდაჭერა აქვს სააკაშვილს საზღვარგარეთ, მთავარია, რა არის სიმართლე. მხოლოდ მე შემიძლია ამ დეპუტატების დამარცხება ჩემი სიმართლით. ასე რომ, კეთილი ინებონ, ჩამობრძანდნენ საქართველოში და შეხვდნენ უბრალო ადამიანებს, არასამთავრობოებისა და პრესის წარმომადგენლებს, გაიგონ, რა ხდება რეალურად და რეზოლუციები მერე მიიღონ.**

— თქვენი აზრით, ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება სწორი გზით დაიწყო?

— ეს რთული თემაა. მრავალი წელია, ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთი არასწორ პოლიტიკას ატარებს, რისი უპირველესი მაგალითიც დაკარგული ტერიტორიებია. თავმოყვარეობა შელახული გვაქვს, თუმცა თუ ობიექტურად შეხედავთ, „ძალა აღმართს ხნავს“ და სამწუხაროდ, პოლიტიკაშიც ასეა — ძლიერი სახელმწიფოები დომინირებენ. რუსეთი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელია და მასთან ურთიერთობა მაინც მოგვიწევს, მით უმეტეს, იქ უამრავი ჩვენი მოქალაქე ცხოვრობს და ამიტომაა აუცილებელი, დიპლომატიური თუ არა, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები მაინც აღდგეს. აქამდე საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობით ვცდილობდით რუსეთთან მოლაპარაკებას, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენი და რუსეთის „წონა“ საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც სხვადასხვაა, ამიტომ ისეთ ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკას ანგარიშს არ უწევს, აუცილებლად უნდა გამოინახოს ალტერნატიული გზები.

— „ერისიონის“ კრემლში ჩატარებულმა კონცერტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია... გჯერათ, რომ კულტურა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას დაათბობს?

— საქართველოსა და რუსეთს, კულტურული თვალსაზრისით, საერთო ყოველთვის ბევრი ჰქონდათ. „გაბუტულის“ პოზიციაში დგომის დრო აღარაა, იმაზე უნდა ვიფიქროთ, ჩვენს ქვეყანას სარგებელს რა მოუტანს და შესაბამისად ვიმოქმედოთ. ამასობაში კი, რუსეთის სათავეშიც შეიძლება, უფრო დემოკრატიული და საერთაშორისო ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლება მოვიდეს.

> **„ერისიონს“ კი ვერ დავძრახავ. სრულიად ნორმალურია, თუ ეს კომერციული პროექტია და ადამიანი მოსკოვში იმისთვის მიდის, რათა ანსამბლიც შეინახოს და ხალხი ქართულ კულტურასაც აზიაროს, თანაც, რუს ხალხს ხომ არაფერი დაუშავებია — ის თვითონ განიცდის დისკომფორტს და თავისივე ხელისუფლებასთან კონფლიქტი ხშირად აქვს.**

— კულტურის სამინისტროში გამართული დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე იყავით, სადაც რიყესა და თბილისის სხვა ადგილებში მიმდინარე გახმაურებული მშენებლობების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ეს საკითხი, თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს?

— თანამედროვე არქიტექტურის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ რიყის დღევანდელი, ასე ვთქვათ, ანსამბლი თბილისის ლანდშაფტის პირდაპირი უპატივცემულობა და უკულტურობაა. დაფიქრებულხართ, მაინცდამაინც ამ უბანში რატომ განვითარდა ყველაფერი ეს? — პრეზიდენტმა ფანჯრიდან რომ დაინახოს. ასე, ერთი კაცის აივანზე აეწყო თბილისის 2 ათასი წლის ისტორია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი საკითხები ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი არა, კომპეტენტურმა ადამიანებმა — მხატვრებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, არქიტექტორებმა გადაწყვიტონ. უნდა არსებობდეს კომპეტენტური კომისია, რომლის სიტყვაც ქალაქის მერიისთვის ვერდიქტი იქნება. აი, რიყეზე ის ორი „პროქტოლიგიური პროექტი“, საკონცერტო დარბაზს რომ ეძახიან, სასწრაფოდ უნდა დაიშალოს...

რა ამის პასუხია და, ახლახან, ტელევიზიით საკადრო ცვლილებებში მოყოლილ ხალხს ვუსმინე. ეს რომ ასე მოხდებოდა, მოსალოდნელიც იყო, თუმცა ახლა ხელისუფლებამ ე.წ. საკადრო ბანკის ბაზის შექმნაზე უნდა იზრუნოს. უამრავ ნიჭიერ ადამიანს ვიცნობ, ზოგი საქართველოშია, ზოგიც — საზღვარგარეთ. მათ აუცილებლად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ.

— ისე, ამბობენ, რომ თანამდებობებზე დანიშვნა ისევ ნათესაობა-მეგობრობით ხდება...

— შესაძლოა, თანამდებობებზე, მართლაც, ინიშნებიან ნათესაობა-მეგობრობით, მაგრამ სამომავლოდ, ასე აღარ გაგრძელდება... საუკეთესო რესურსია მოსაზიდი. მაგალითად საზოგადოებრივ მაუწყებელს მოვიყვან, რადგან ეს თემა ჩვენ, საზოგადოებას გვეხება. ტელევიზიას, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ჰქვია, ვერც ხელისუფლება უნდა აკონტროლებდეს და ვერც — ოპოზიცია. კარგად ვიცით, ვისი დანიშნულიცაა ეს ბორდი. საზოგადოება მას არ ენდობა, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ საკითხს პარლამენტი მოაგვარებს, თუ არა და, მოგვიწევს, ხმამაღლა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— გეგმები ბევრი მაქვს. ვაპირებ, ხელოვნებას დავუბრუნდე — მინდა, „ვერიკოს თეატრი“ აღვადგინო, თუმცა არა იმ ფუნქციით, რაც ადრე ჰქონდა. შევქმნი კულტურულ ცენტრს, სადაც ახალგაზრდობასთან, მეცნიერებსა და ხელოვან ადამიანებთან შეხვედრები მოეწყობა.

— როგორც ვიცი, პრემიერთან მეგობრობთ... ამ ურთიერთობას რამე თანამდებობის მისაღებად ხომ არ გამოიყენებთ?

— ბატონ ბიძინასთან თანამდებობის გარეშეც სიამოვნებით ვმეგობრობ. ისიც კარგად იცის, რომ მის გვერდით თანამდებობისთვის არ ვარ. რომ ვიცოდე, ამით სიკეთეს მოვუტან ჩემს ქვეყანას, აუცილებლად გადავდგამდი მსგავს ნაბიჯს, მაგრამ ამჯერად ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. ისეთ ადამიანურ ფასეულობებს კი, როგორიც საკუთარი ხალხის სიყვარული და თანადგომაა, მანქანასა და კაბინეტში ჯდომა არ სჭირდება. შესაბამისად, თანამდებობა არც მე მჭირდება.

---

facebook NEWS

გოგი ლორთქიფანიძე

თურმე, ჰოლივუდში ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მორიგი ბლოკბასტერის — „გადავარჩინოთ ეფრეიტორი სააკაშვილი“ — გადაღება.

მთავარ როლში — მეთიუ ბრაიზა.

facebook NEWS

სალომე ზურაბიშვილი

ბოლო ფულს ახმარენ განწირულ საქმეს: ევროპარლამენტის „მეგობრებს“ აწერინებენ განცხადებებს, დიასპორის სათვისტომოებს ააქტიურებენ და სტუდენტების შეკრებას ავალებენ. უფხო პოეტებს კი — დემაგოგიურ გამოსვლებს.... ნუთუ, არ იციან, რომ ფულიც და ისიც, ფულით რისი და ვისი ყიდვაც შეიძლება, სიმღერის არ იყოს, „ყველაფერი თავდება“.

facebook NEWS

ეკა ხერხეულიძე

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ტაქსის მძღოლი ფილოსოფოსია...

facebook NEWS

ბუბა ჩივაძე

ახლა მაცნობეს — დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის პოსტი მალე ვაკანტურად გამოცხადდება. წყარო იმასაც მატყობინებს, ვინ განიხილება მის ადგილზე. წინა პროკურორი ხო გლეჯვაა საქმეების გახსნით და თუ ეს დაინიშნა, ვინც მაცნობეს, რომ მიგიღოს მარტო, „მეშოკით“ სავსე ფულით უნდა მიხვიდე და თუ თავისი საპროკურორო ზედამხედველობის გატარებას სთხოვ, „ტრაილერი“ უნდა დაგრუზო ფულით.

facebook NEWS

ნანა ხატიაშვილი

ამ ევროპამ რომ თავის საქმეს მიხედოს, არ უნდა? შეგვეშვით, რა?! ჩვენი დალეწილი ქვეყანაც გვეყოფა!

facebook NEWS

ვაჟა ნოზაძე

ბატონო ბიძინა, ბესელიას გავრიცხავო, ღარიბაშვილი გამეთავისუფლაო... სკოლის დირექტორი ხომ არ ხარ, შე კაცო, პრემიერ-მინისტრი ხარ?!

ქვათა მატიანე

ნაბუქოდონოსორის სიზმარი

სამხრეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი

ისევ საღამოს ტბასთან ამოვედით, ოღონდ ამჯერად სისხამი დილაა. ეს-ესაა ირიჟრაჟა და მცხრალი მთვარეც ნელ-ნელა გაიცრიცა. ტბა გუშინდელივით მშვიდი და მოსარკულია, ოღონდ მებადური აღარსად ჩანს თავისი ნავით. მოშორებით, სოფელში მამალი ყივის.

მზე ამოიწვერა, მანქანას ვქოქავთ და სოფელში შევდივართ, რომელიც მთლიანად სომხურია დღეს. საღამო დიდი არ არის, მაგრამ 3 მშვენიერი ეკლესია აქვს.

პირველი ტაძარი სოფლის სამხრეთში, პატარა ბორცვზეა წამომდგარი. იგი საშუალო ზომისაა და დარბაზული, ნაგებია ჯავახური სტილისთვის დამახასიათებელი დიდ-დიდი, სუფთად გათლილი მოვარდისფრო და რუხი კვადრებით, თუმცა გალატოზის ხელს სისწრაფე ეტყობა — ქვათა წყობისას ხაზები ოდნავ გაურბის. ჩრდილოეთ ფასადში, პერანგის შუანელზე, დეკორის მნიშვნელობით, როგორც ღილები, ისეა ჩართული მოშავო კვადრები. დასავლეთის კედლის ქვედა ნაწილში ჩართულია ამავე ფერის, ტრაპეციის ფორმის ორი არძანი (არძანი ლოდზე დიდი ქვაა). ინტერიერი არაფრით გამოირჩევა: ჩვეულებრივი აფსიდი, პილასტრები და დეკორატიული თაღები... სწავლულთა ერთი ნაწილი ტაძარს XIII საუკუნით ათარიღებს. ეკლესიის ერთადერთ სამხრეთის კარს ტიმპანზე არქივოლ-

მეორე ეკლესია სოფლის ცენტრში

ტად სამი ლილვი გადაუდის. ტიმპანის შუაგულში ყურძნის მტევანია ამოკვეთილი, დასავლეთ ნაწილში — სამწყემსმთავრო კვერთხი, აღმოსავლეთ ნაწილში კი ფრიად საინტერესო კომპოზიცია: ვარჯგაშლილი ხის ქვეშ, ერთ მხარეს, აღმართულია ზემსწრაფი ჯვარი, რომელიც ვარჯის დალეწვას ლამობს, მეორე მხარეს დგას საერო პირი, რომელიც გაშლილი მკლავებით თითქოს ხეს შეზრდია. ტოტებზე რამდენიმე უცნაური არსება შეფრენილა, თავად ტოტები კი სხვადასხვა მხარეს საცეცებით სრულდება.

სიცოცხლის ხისა და სამოთხის მოტივები ჩვენი სატაძრო მხატვრობისათვის კარგადაა ნაცნობი. საღამოს სამხრეთ ტაძრის პორტალის რელიეფს არც შინაარსობრივად და არც კომპოზიციურად არანაირი საერთო არა აქვს სამოთხის ხესთან.

მაშ, რა უნდა იყოს გამოსახული მასზე?

პასუხს ამ შეკითხვაზე წერილის ბოლოში გავცემთ, მანამდე კი საღამოს **მეორე ეკლესია** მოვინახულოთ, რომელიც სოფლის შუაგულში დგას და უკამაროა. სამხრეთის ტაძართან შედარებით იგი რამდენადმე გვიანდელია, თუმცა ისიც თლილი, განსაკუთრებით დიდი, ვეება ლოდებითაა აგებული. თავად წარმოიდგინეთ: ერთ-ერთი ქვის სიგრძე 3 მეტრი და 40 სანტიმეტრია, სიმაღლე კი 1 მეტრი.

ტაძრის კედლებზე შემორჩენილია 3 წარწერა. ორი მათგანი გვიან უნდა იყოს ამოკაწრული ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ასოების ნაზავით (სამხრეთ ფასადი და ინტერიერში ჩრდილოეთის კედელი). როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი დაასკვნის, ტაძრის აგების თანადროული შეიძლება იყოს საკურთხეველთან ახლოს ასომთავრულით საგულდაგულოდ ამოკვეთილ-ჩაწნული აბრევიატურული წარწერა **„ქრისტე, შეიწყალე კვირიკე“** და იქვე **„ქ. ცემა ბა რნაბ...“**

საღამოს მესამე, უმთავრესი საყდარი სოფლის ჩრდილოეთ უბანში დგას. მას ეკვდერიანი ეკლესიაც ჰქვია გამოსარჩევად. მთავარი, დარბაზული ტაძარი ნაგებია უფაქიზესად დამუშავებული მუქი ვარდისფერი კვადრებით — გალატოზს აუჩქარებელი და მოზომილი ხელი ჰქონია. პერანგი ისეა ნაკერი, რომ მცირეოდენ ზადს ვერ მოუძებნი. დარბაზი ნათდებოდა 5 სარკმლით, რომელთაგან სამი სამხრეთის კედელშია დატანებული და გარედან ნატიფი სამკაულებით გაწყობილი „წარბებითაა“ მონიშნული. ეკლესიის ამ უმთავრეს და თავდაპირველ ნაგებობას ორი შესასვლელი ჰქონია: დასავლეთისა და სამხრეთის. დასავლეთის შესასვლელი გარედან სწორკუთხა, არქიტრავული ყოფილა, სამხრეთისა — თაღოვანი, ძალიან მაღალი და ტრიუმფალური, რაც მონუმენტურ ძეგლს სიმსუბუქესა და ჰაეროვნებას ანიჭებდა. ისიც ფაქიზი ორნამენტებით გაწყობილი არქივოლტით სრულდება. ეკვდერი მოგვიანებით, XII-XIII საუკუნეებში უნდა იყოს მიშენებული, ძირითადი ტაძარი კი X საუკუნისაა. მიუხედავად ამისა, ძველი ნაგებობა უფრო მტკიცედ დგას.

მესამე ეკლესიის ეგვტერი ორი ბარელიეფით და შესადარებლად თეძმის ხეობის „ ნათლისმცემლის“ ბარელიეფი

ეკვდერის აღმოსავლეთ ფასადზე გამომავალი სარკმელი მოჩარჩოებული რელიეფის ცენტრში ზის. რელიეფზე თითქოს დაგრეხილი გველებია გამოსახული, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, თვალწინ დაგვიდგება გველეშაპის მიერ იონას გადაყლაპვის და ამოფრქვევის ბიბლიური სიუჟეტი. მარჯვნივ შთანთქმაა, მარცხნივ — ამოფრქვევა. იონა ორივეგან მოჩანს.

კიდევ უფრო საინტერესოა ეკვდერის სამხრეთი ფასადი კარიბჭის ორთაღედით. კარიბჭის მარცხენა მხარეს ლომის მსგავსი, თავმომტვრეული სულიერის დიდი ბარელიეფია. იგი წყვილი კიდურითაა კედლიდან ამოზიდული და გლუვ ტოტს ჩასჭიდებია, მკერდიც ადამიანს მიუგავს და კიდურებიც, რადგან ხუთივე თითი ერთ დონეზე ასხია. ზუსტად ასეთი, ოღონდ გაცილებით მცირე ზომის რელიეფი კარიბჭის მარჯვენა მხარესაცაა. თავი მასაც ჩამომტვრეული აქვს, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს: ვიღაცას რელიეფი თვალში არ მოსვლია. მსგავსი ფიგურები ზუსტად ასეა დაზიანებული კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე და საფარის ტაძრის კარიბჭეზე. ასეთი ქანდაკება, ოღონდ დაუზიანებელი, თეძმის ხეობაში, „ნათლისმცემლის“ კარის მარცხნივ გვაქვს ნანახი.

ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ ეს სულდგმული გაველურებული ნაბუქოდონუსორია „დანიელის წინასწარმეტყველებიდან“. აქ აუცილებლად უნდა მოვიყვანო ამონარიდები ხსენებული წიგნის მეოთხე თავიდან.

ნაბუქოდონუსორი სიზმარს უამბობს დანიელს: „... **აჰა, დედამიწის შუაში მაღალი ხე დგას. გაიზარდა ეს ხე და გამაგრდა, მისი სიმაღლე ზეცას აღწევდა და დედამიწის ყველა კუთხიდან მოსჩანდა. მშვენიერი ფოთლები აქვს, ნაყოფიც უხვად ასხია. მის ჩრდილქვეშ მინდვრის მხეცები აფარებენ თავს, მის ტოტებში ცის ფრინველები ბუდობენ და მისგან საზრდოობდა ყოველი ხორციელი... აჰა, ზეციდან ჩამოეშვა მღვიძარე და წმინდა. მან ომახიანად დაიძახა და თქვა: მოკვეთეთ ეგ ხე, აკაფეთ მისი ტოტები... ოღონდ მისი მთავარი ფესვი მიწაში ჩატოვეთ, რკინის და სპილენძის ბორკილებში. მინდვრის ბალახებს შორის ზეცის ცვარ-ნამით ირწყვებოდეს იგი და მხეცებთან ერთად მიწის ბალახით საზრდოობდეს. კაცის გული წაერთმევა მას და მხეცის გული მიეცემა...**“

პირველი ეკლესია ბალავრის რელიეფით

დანიელის ახსნა ამ სიზმრისა ასეთია: **„ის ხე, რომელიც შენ ნახე... ეს შენა ხარ მეფეო, განდიდებული და განმტკიცებული... შენი ხელისუფლება დედამიწის კიდეებამდე გავრცელდა... მეფემ რომ მღვიძარი და წმიდა იხილა, რომელიც ზეციდან ჩამოეშვა, ... ეს უზენაესი განგებაა, რომელიც ჩემს მეფე-ბატონს დაატყდება თავს. მოიკვეთები კაცთაგან და მინდვრის მხეცებთან იცხოვრებ, ხარების მსგავსად ბალახს გაჭმევენ, ზეცის ცვარ-ნამს დალევ და შვიდი წელიწადი გადაივლის შენზე ვიდრე მიხვდებოდე, რომ უზენაესი ხელმწიფებს კაცთა სამეფოზე და ვისაც უნდა, იმას აძლევს... მალედვე აღესრულა ნაბუქოდონუსორზე ეს განაჩენი. მოკვეთეს იგი კაცთაგან, ხარების მსგავსად ბალახის ჭამა დაიწყო; მისი სხეული ზეცის ცვარ-ნამით სველდებოდა, ისე რომ თმები არწივის ბუმბულივით გაუხდა** (ეს ებრაული ტექსტია, ბერძნულსა და სომხურში კი არწივის ბუმბულის ნაცვლად ლომის თმა-ფაფარია ნახსენები — **გ.ქ.**), **ფრჩხილები კი ფრინველის კლანჭებივით...“**

„დანიელ წინასწარმეტყველის“ ეს თავი სრულდება ასეთი დასკვნით: **„ახლა მე, ნაბუქოდონუსორი ვაქებ, აღვამაღლებ და ვადიდებ ზეციერ მეფეს, რომლის ყოველი საქმე ჭეშმარიტია და გზანი სამართლიანი, რომელსაც ძალუძს დაამდაბლოს ამაყად მავალნი“**

ეს არის ქანდაკების არსიც...

თეძმის სათავეებში ნათლისმცემლის ტაძრის კართან გამოქანდაკებული, დაუზიანებელი „ნაბუქო“ ებრაული ტექსტის მიხედვით შექმნილს ჰგავს, რადგან მას ლომის ფაფარით კი არა, უფრო არწივის ბუმბულით აქვს შემოსილი ქედი. საღამოს ტაძრის „ნაბუქოს“, სავარაუდოდ, უფრო ლომის თმა-ფაფარიანი კისერი უნდა ჰქონოდა, რადგან ამას მიგვანიშნებს მისი მკერდის ფორმა. ამასთანავემ, თეძმის „ნაბუქოს“ ავტორი უფრო დიდი ოსტატია და თემას გაცილებით სრულყოფილად გადმოსცემს. თეძმის „ნაბუქოს“ ავტორი X-XI საუკუნეების შემოქმედია. საღამოს ნაბუქოს ავტორი რამდენადმე გვიანდელი ეპოქისაა და მასვე უნდა ეკუთვნოდეს საღამოს სამხრეთ ეკლესიის პორტალზე გამოქანდაკებული თხელი რელიეფური სიუჟეტიც, რომლის ახსნას წერილის თავში შეგპირდით,ის რელიეფიც ნაბუქოდონუსორის სიზმრის გამოხატულებაა: **„აჰა, დედამიწის შუაში მაღალი ხე დგას... მის ჩრდილქვეშ მინდვრის მხეცები აფარებენ თავს, ხის ტოტებში ცის ფრინველები ბუდობენ...“** ნაბუქოდონუსორი იუდეველთა დამაქცევარი მეფე იყო და მისი ამ მდგომარეობაში ჩვენება დანიელ წინასწარმეტყველის გამიზნული ფანტაზიაა, ფილოსოფიურ-დოგმატური ხედვაა. სინამდვილეში, ისტორიულ ნაბუქოდონუსორს ასეთი რამ არ დამართნია. ველად მისი მემკვიდრე — ნაბონიდი გაიჭრა, რაც ასევე ისტორიული საბუთებით დგინდება. და იცით, რატომ გაიჭრა ველად? იმიტომ, რომ წარსულის დაბრუნება სურდა. მან მთელი შვიდი წელი მიატოვა სამეფო ტახტი, წერაყინი აიღო, თანამოაზრენი აიყოლია და სამხრეთ მესოპოტამიის ტრამალებში — თემენში გაიჭრა, რათა უძველესი ღმერთების ტაძრები მოეძებნა და გაეთხარა. მან ზურგი აქცია ბაბილონის მთავარ ღმერთ მარდუქს, ქალაქ ურში, ძველ საფუძველზე ხელახლა ააგო სინის (მთვარის) ტაძარი და მის მთავარ ქურუმად საკუთარი ქალიშვილი დაადგინა. როცა თმაწენილი „არქეოლოგი“ ბაბილონში დაბრუნდა, იგი აღარ მიიღეს მეფედ და მალე უზარმაზარი იმპერია — სამყაროს ეს ვარჯგაშლილი უზარმაზარი ხე ნაფოტებად იქცა აქემენიდების შემოსევის გამო.

აი, რამდენი რამ გაგვახსენა და რა ისტორიულ ლაბირინთებში გადაგვისროლა საღამოს ტაძრების ხილვამ.

ავტორის ფოტოები

ჰოროსკოპი
18 მარტი

ჯერი — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და ხასიათის სიმტკიცით გააოცოთ, მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, გუნდური პრინციპი გირჩევნიათ, მაგრამ დღეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ინდივიდუალიზმი უნდა გამოავლინოთ.. კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან კონტაქტების დამყარებისთვის.

კურო — მთელ დღეს საკუთარ ბედზე წუწუნში გაატარებთ და, შესაძლოა, თქვენმა არასწორმა ნაბიჯებმა გაიფუჭოს წამოწყებული საქმე. დიდი ალბათობაა, სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდეთ — ეს განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეხება, აუცილებელია უფრო სერიოზულად მიუდგეთ თქვენს სამსახურებრივ მოვალეობას. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

ტყუპები — ოჯახში სიმეუღროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში შეიძლება უსიამოვნო ცვლილებებიც გაჩნდეს. პირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ. წარსტების მიღწევას ძალის გამოყენებით ნუ შეეცდებით, რადგან დასახულ მიზნებს თანდათანობით მიაღწევთ. დღეს გარკვეული სიურპრიზები და სასიხარულო მოვლენებიც გელით.

კირჩხიბი — დღე კარგია საქმიანი მოგზაურობისა და შეხვედრებისთვის. შეეცადეთ, უფრო მიზანდასახული გახდეთ. ვარსკვლავები გირჩევენ, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ, რადგან მოსალოდნელია, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი. დღეს თქვენი ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი ზემოთ მიიწევს, შეეცადეთ, ეს თქვენს სასიკეთოდ გამოიყენოთ.

ლომი — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს დაგისახავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისა და საოჯახო ტექნიკასთან ურთიერთობისას. დღეს უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს. ცვლილებებისა და ახალი კონტაქტების დღეა. ფინანსური მდგომარეობა ცოტა კუმჯობესდება. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, მშვიდ, მეუდრო გარემოში, მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად დაისვენოთ.

ქალწული — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ახალი საქმე წამოიწყოთ, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, არის შანსი, რომ სწორედ დღეს მოაგვარებთ მათ. კარგი დღეა საკამათო საკითხების გადასაჭრელად.

სასწორი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს უამრავი საქმიანი შეხვედრა ელის, რაც პროფესიასთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ შეეცადეთ, საქმიანად და სოლიდურად გამოიყურებოდეთ, თუმცა გარკვეული პესიმისტური განწყობა დაგეუფლებათ, რაც თქვენი შინაგანი ბუნების ბრალი იქნება. დღის მეორე ნახევარში შესაძლოა გართულებები ოჯახის წევრებთან, თუმცა სჯობს, ემოციები დამალოთ. საღამოს ყველა საქმე დაიგვიანეთ და კარგად გამოიძინეთ.

ღრიანკალი — დღეს სათანადო ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს. სწორედ მათ დარიგებებსა და თქვენს ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ, გამოხვიდეთ შექმნილი რთული ვითარებიდან და უსიამოვნებებს თავს აარიდებთ. საღამოს მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა, რაც სერიოზულ ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს.

მშვილდოსანი — ცვლილებების დღე გელით. შეეცადეთ, საკმაოდ ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. ახალი ნაცნობობა შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას: დაიცავით კვების რეჟიმი, დაისვენეთ და გამოიძინეთ. დღის მეორე ნახევარი, უმჯობესია, მეგობრების წრეში გაატაროთ.

თხის რქა — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული. მაგრამ ფინანსური საკითხები დღეს თქვენთვის არც ისე მტკივნეული თუმაა. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ და მანამდე მოასწროთ შეჩერება, ვიდრე თვის მთელ დანაზოგს ქარს გაატანდეთ.

მერწყული — მერწყულებისთვის ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გაგიმართლათ. ინტუიციაც თითქოს გაღალატობთ. დღეს მოგიწევთ არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. სურვილი გაგიჩნდებათ, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თავი დააღწიოთ. ნუ დამორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს და არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ ოპტიმიზმის გრძნობა.

თევზები — დღეს ყველაფერში იღბალი თან გდევთ. ეს იმის ბრალია, რომ გადაწყვეტთ, უფრო თამამად და ღიად იმოქმედოთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ, თამამად შეუდექით პირდაპირ საქმეს — ეს საკმაოდ კარგად გამოგივათ. დღეს თქვენი სასიცოცხლო ენერგია იზრდება. სურვილი გაჩნდებათ, რამდენიმე საქმეს ერთად შეეჭიდოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ, სხვურიან წვეულებაზე გაატაროთ, მოგვიანებით კი ენერგია იმისთვისაც გეყოფათ, შინ, ოჯახის წევრების გარკვეული დრო დაუთმოთ.

ვეგეტარიანელები სექსის წინააღმდეგ

ახალ ზელანდიაში ახალი სექს-უმცირესობა ჩამოყალიბდა — ეს ვეგეტარიანელები არიან, რომლებიც უარს ამბობენ სექსუალურ ურთიერთობაზე მათთან, ვინც ხორცს მიირთმევს. „ვეგან-სექსუალების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ვეგეტარიანელებისა და ვეგანებისთვის (მკაცრი ვეგეტარიანელი) ზუსტადაა ცნობილი, რომ „ადამიანები, ვინც ხორცს მიირთმევენ, ცხოველების სასაფლაოს გვანან, ამიტომ არ გვინდა, ინტიმური კავშირი გვქონდეს მათთან, ვისი სხეულიც ცხოველების სიცოცხლის ხარჯზე ცოცხლობს“.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ადვილი

6	8	5	9	3	7	4	2	1
4	3	1	5	6	2	8	9	7
2	9	7	8	1	4	6	5	3
8	2	4	7	5	3	1	6	9
3	5	9	6	2	1	7	8	4
1	7	6	4	9	8	5	3	2
9	4	3	1	8	6	2	7	5
7	6	2	3	4	5	9	1	8
5	1	8	2	7	9	3	4	6

საშუალო

1	6	8	9	7	5	2	4	3
7	9	3	8	2	4	6	5	1
5	4	2	1	3	6	9	8	7
9	8	1	6	5	3	7	2	4
3	7	4	2	1	9	8	6	5
2	5	6	7	4	8	3	1	9
8	3	5	4	9	2	1	7	6
6	1	9	5	8	7	4	3	2
4	2	7	3	6	1	5	9	8

რთული

1	4	7	5	6	3	2	8	9
2	8	6	1	4	9	7	3	5
9	5	3	2	8	7	6	4	1
6	3	1	8	7	2	9	5	4
5	2	9	6	1	4	3	7	8
8	7	4	3	9	5	1	6	2
7	1	8	9	5	6	4	2	3
4	9	2	7	3	8	5	1	6
3	6	5	4	2	1	8	9	7

ექსტრემალური

4	3	8	7	6	9	2	1	5
7	2	1	8	5	4	6	3	9
6	5	9	3	2	1	7	8	4
5	9	4	2	3	8	1	7	6
3	1	7	4	9	6	5	2	8
8	6	2	1	7	5	4	9	3
9	7	6	5	1	3	8	4	2
2	4	5	9	8	7	3	6	1
1	8	3	6	4	2	9	5	7

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





ჰოროსკოპი

19 მარტი

ვერძი — სერიოზული პროვოკაციებისა და გაუგებრობების დღეა. არ ღირს, ახალი საქმით დაკავდეთ, სჯობს, ძველ დოკუმენტებში გაერკვეთ. დღე სასიკეთოა საკამათო საკითხებისა და სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად — შედეგი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ.

კურო — კუროებს ვარსკვლავები ურჩევენ, საქმიანი აქტივობა ცოტა შეანელონ, ფინანსურ დანაკარგს თავი რომ აარიდონ. სამსახურში მოსალოდნელია პატარა უსიამოვნება, მაგრამ რაც ხდება, თქვენზე არ არის დამოკიდებული. დღეს სჯობს, ბუნებაში გახვიდეთ. დღის მეორე ნახევარში თქვენი კომუნიკაბელურობა უფრო იზრდება — შედეგად წარმატებული იქნება საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები. შედეგიანი აღმოჩნდება ნებისმიერი კონტაქტიც.

ტყუპები — დღე არასასურველია საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რომ თავი აარიდოთ მატერიალურ დანაკარგს. დღის პირველ ნახევარში შესაძლოა უთანხმოებები პარტნიორებთან ან უფროსობასთან, საღამოს კი სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება. კარგი დღეა მეგობრებთან შეხვედრისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, თუმცა საამისოდ ცოტა ძალისხმევის გაღება მოგიწევთ.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს მცირე უსიამოვნება ელით. საქმე, რომლითაც ხართ დაკავებული, ძალიან უინტერესოდ გეჩვენებათ. მტკივნეული რეაქცია ნუ გექნებათ იმაზე, რაც ხდება, რადგან ბედს ვერ შეცვლით. დღეს სერიოზული მუშაობისთვის გახარჯეთ დრო. დღის მეორე ნახევარი კი ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან, მყუდრო გარემოში გაატარეთ.

ლომი — დღე არც ისე კარგია საკამათო საკითხების გადასაჭრელად, დიდია ალბათობა, რომ აქ წარმატებას ვერ მიაღწევთ. საყვარელი ადამიანისადმი პრეტენზიებმა, შესაძლოა, სკანდალამდე მიგიყვანოთ. ამ დღეს ურთიერთგაგება თითქმის შეუძლებელია. ვარსკვლავები გირჩევენ, ემოციების გამომჟღავნებისგან თავი შეიკავოთ, უსიამოვნება რომ აირიდოთ.

ქალწული — ქალწულებისთვის სერიოზული პროვოკაციების დღეა — ყველა თქვენს წინააღმდეგაა და იმას გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენიათ. სხვადასხვა გაუგებრობის შედეგი მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ. არ არის გამორიცხული, მოგატყუონ იმ ადამიანებმა, ვისზეც ხართ დამოკიდებული.

სასწორი — დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატებით წარმოაჩინოთ. ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. თქვენს გრძნობებსა და საქციელს შორის, ყველაფრის მიუხედავად, ბალანსი აღდგება. დღის მეორე ნახევარში შესაძლოა, კონფლიქტური სიტუაცია და ურთიერთგაგების სრული არარსებობა.

მორიელი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა, მაგრამ საღამოსთვის მაინც უკმაყოფილო იქნებით საკუთარი თავით. აუცილებელია, მძიმე ფიქრები თავიდან მოიშოროთ. შესაძლოა, ზედმეტად ფრთხილობთ. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ გაბრაზებისგან. ახლობელი ადამიანები ძალიან განიცდიან, თუ საკუთარ თავში ჩაიკეტებით, რადგან მათ იციან, სიკეთისა და სითბოს რა მარაგი იმალება თქვენს ცივ გამომეტყველებაში და აფასებენ იმას, რომ საყვარელი ადამიანებისთვის თავგანწირვა შეგიძლიათ.

მშვილდოსანი — ამ დღეს ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. თქვენი თავდაჯერებულობა, საქმიანი აქტიურობა და დინამიზმი სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. ახალი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯების გადადგმისკენ გიბიძგებთ. ნუ შეეცდებით ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტას, ცხოვრება თავად გიჩვენებთ საჭირო დროს.

თხის რქა — სერიოზული წინააღმდეგობების დღეა, ნებისმიერი კამათი სკანდალამდე მივა, რადგან დათმობას არც ერთი მხარე არ მოისურვებთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს შეგიძლიათ მოეშვათ და დრო მეგობრებთან ერთად სასიამოვნოდ გაატაროთ.

მერწყული — მერწყულებისთვის დაძაბული დღეა. პრობლემების გადაჭრას მარტო ნუ შეეცდებით. ამ ნიშნის წარმომადგენელ ქალებს ვარსკვლავები აფრთხილებენ ოჯახის ხანშიშესულ წევრებთან ურთიერთობის გართულებაზე. თქვენი ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს მომავლის გეგმების განხორციელებას. ბავშვების პრობლემებიც თქვენგან მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს.

თევზები — დღეს თქვენი სასიცოცხლო ძალები სუსტია, დასუსტებულია აურა და ძლიერდება გარემოს ნეგატიური ზემოქმედებაც. დაბნეულობის გამო, ძნელად აუწყობთ ფეხს სამუშაო რიტმს. დღე წარუმატებელია საქმიანი გარიგებების, შენაძენისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. მნიშვნელოვან საკითხებზე ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას, სჯობს, გადადოთ და საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ.

გადანერგილმა ორგანოებმა დედობაში ხელი ვერ შეუშალა

აშშ-ში, ფლორიდის შტატში, შეიძლება ითქვას, ნამდვილი სასწაული მოხდა — ქალი, რომელსაც მუცლის ღრუს თითქმის ყველა ორგანო გადანერგილი ჰქონდა, დედა გახდა. რამდენიმე კვირის წინ, ფატიმა ალ-ანსარმა მაიამის ერთ-ერთ საავადმყოფოში აბსოლუტურად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა. ეს მსოფლიოში პირველი შემთხვევაა, როცა ქალმა, რომელსაც ხუთი ორგანო აქვს გადანერგილი, ბავშვის გაჩენა შეძლო. მედიკოსების განცხადებით, ფატიმას აქვს შანსი, კიდევ ერთი შვილის დედა გახდეს. ორგანოების ტრანსპლანტაციის ოპერაციები ალ-ანსარს 2007 წელს, ნაწლავური არტერიის თრომბის გამო გაუკეთეს. ეს დიაგნოზი ექიმებმა მას 19 წლის ასაკში დაუსვეს. ფატიმას ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი, კუჭი, მცირე და მსხვილი ნაწლავი გადაუნერგეს. ამ ყველაფრის მიუხედავად, როცა მან გაიგო, რომ ფეხმძიმედაა, ბავშვის გაჩენა გადაწყვიტა. ორსულობისას მას გართულებები ჰქონდა, მაგრამ ახლა ფატიმა და მისი ქალიშვილი თავს შესანიშნავად გრძნობენ.

ყველაფერს უკუღმა ხედავს

სერბეთის მცხოვრებს, 28 წლის ბოჟანა დანილოვიჩს იშვიათი დაავადება სჭირს — ქალიშვილი ტექსტსა და, ზოგადად, ყველაფერს უკუღმა ხედავს. ამ უჩვეულო დაავადებით გაოცებულები არიან როგორც მედიკოსები, ასევე მეცნიერები. მათი განცხადებით, დალინოვიჩს ტვინის იშვიათი დაავადება აწუხებს, რომელიც სივრცეში ორიენტაციის ფენომენის (spatial orientation phenomenon) სახელითაა ცნობილი. მარტივად რომ ავხსნათ, ბოჟანა ყველაფერს ხედავს, მაგრამ ამ დაავადების გამო, სივრცეში ფიგურები და ნივთები მის აღქმაში ფორმას იცვლის. ამის გამო გოგონას პრობლემები ბავშვობაშივე ექმნებოდა. დედამისი იხსენებს, რომ როდესაც მისმა შვილმა ცოცვა ისწავლა, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, დედისკენ არ მიფოფხავდა და მას ზურგს აქცევდა. შვილს რომ დახმარებოდა, დედამ სამსახური მიატოვა. პრობლემებმა თავი სკოლაშიც იჩინა. წერა-კითხვის სწავლა ბავშვებს ისედაც უჭირთ ხოლმე, მისთვის კი ეს საშინელება იყო. ბოჟანა რვეულს ამოაყირავებდა ხოლმე და სიტყვებს ისე წერდა, დანილოვიჩმა როცა სამსახური დაიწყო, თანამშრომლებიც გააოცა, რადგან სამუშაო მაგიდაზე კომპიუტერი თავდაყირა დააყენა — მონიტორი და კლავიატურა ამოყირავებული აქვს, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ მუშაობს, სიტყვებს ვერ არჩევს. სახლშიც ბოჟანას ცალკე აქვს ტელევიზორი და რა თქმა უნდა, ისიც ამოყირავებულია. ახალგაზრდა ქალი ამბობს, რომ ყველაზე მეტად, პარკში ჯდომა და წიგნების კითხვა უყვარს, მაგრამ ამასაც ვერ ახერხებს, რადგან ყველა გამვლელი დასცინის ან უთითებენ, რომ საკითხავი არასწორად უჭირავს. დანილოვიჩით ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაინტერესდნენ ამერიკელი მეცნიერები და მისი დაავადების გამოკვლევას რამდენიმე ექსპერიმენტიც მიუძღვნეს. სწავლულთა თქმით, ბოჟანას ტვინი სრულიად ჯანმრთელია, მაგრამ სხვა ადამიანებისგან განსხვავებით, იგი სამყაროს თავდაყირა ხედავს.

ცოლისცოლი მოგზაურობა განქორწინებისთვის

ერთ-ერთმა ჩინურმა ტურისტულმა სააგენტომ იმ წყვილებს, ვისი ქორწინებაც დანგრევისპირასაა, უჩვეულო მოგზაურობა შესთავაზა. იდეა იმაში მდგომარეობს, ცოლ-ქმარი შეარიგოს, ხოლო თუ ეს არ მოხერხდება, მათ რომანტიკული დაშორება მოუწყოს. წინდახედული ბიზნესმენები ქალაქ ხარბინიდან ამ მომსახურებაში, რაც ხუთდღიან ტურს გულისხმობს კუნძულ ჰაინანზე, 2180 დოლარს ითხოვენ. თუ განქორწინება გარდაუვალია, სჯობს, ეს ლამაზად გააკეთოთ — უმტკივნეულოდ და მძიმე მოგონებების გარეშე, — აცხადებენ ტურისტულ სააგენტოში. სხვათა შორის, როგორც ფირმის წარმომადგენლები ამბობენ, მათი პროგრამა უკვე პოპულარობით სარგებლობს, თუმცა წყვილები კუნძულზე არა დასაშორებლად, არამედ შესარიგებლად უფრო მიდიან. სააგენტოს სხვა თემატური მოგზაურობებიც აქვს, მაგალითად, „ცუდი განწყობის ტური“ და „მოთმინების მოგზაურობა“.

ფეხსაცმელი შედევრებით გააფორმა

ლონდონელმა დიზაინერმა შარლოტა ოლიმპიამ ფეხსაცმლის ახალი კოლექცია საკმაოდ ორიგინალურად, ცნობილი მხატვრების ფერწერული ნამუშევრებით გაფორმა. ცნობილი შედევრები რომ ფეხსაცმელზე სრული სიზუსტით გადაეტანა, დიზაინერმა ამ საქმისთვის ბრიტანელი მხატვარი, ფოტოგრაფი და ბოდი-არტის სპეციალისტი, ბოიარდ მესნჯერი დაიქირავა. ორი შემოქმედებითი ადამიანის ერთობლივმა მუშაობამ, მაღალ მოდას, ფეხსაცმლის კოლექციის ნაცვლად, ხელოვნების ნამდვილი ნიმუშები შემატა. კოლექციაზე დატანილია პიკასოს, ვან გოგის, პოლოკისა და სხვა სახელგანთქმული ფერმწერების ცნობილი ნამუშევრები. სულ დიზაინერის „მხატვრულ“ კოლექციაში ფეხსაცმლის 100-მდე წყვილი შედის.

სუდოკუ მანია

ადვილი

6	1	4	5					
	8		1					
			8	7		1	6	
7							5	
	5	8				2	3	
	9							6
	7	2		3	8			
					7		1	
					4	7	9	2

სტანდარტი

							1	
		4		3				7
5				4	1			8
	5	6				3		
		2		9		8		
		3				2	9	
2			6	8				4
7				5		9		
	3							

რთული

			7		4			
1				9			8	5
	3							4
9		3	8			4		
	2			5			7	
		6			3	5		2
8							4	
3	1			2				7
			5		7			

ექსპერტი

					7			5
			9				4	
6	4				2	9	8	
		2	3	7				9
	7			6			5	
9				1	8	4		
	5	9	8				3	4
	3				1			
7			5					

ტარაკნებს სახლი გადააყოლა



ნიუ-ჯერსის ერთ-ერთი მცხოვრების მცდელობა, სახლი ტარაკნებისგან გაეწმინდა, საშინელი ფიასკოთი დასრულდა. ისიას მაჩედა ქალაქ ითონთაუნიდან სასწაულად გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ მისი საცხოვრებლის 80% განადგურებულია. მაჩედა ვერც კი წარმოიდგენდა, რა ელოდებოდა, როცა მაღაზიაში მწერებისთვის განკუთვნილ საწამლავს ყიდულობდა, როცა ის საკუთარ „აპარტამენტებში“ მოასხურა, სამზარეულოს „დამუშავებისას“ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: შხამით სავსე ბალონი აფეთქდა, რამაც შენობაში ძლიერი ხანძარი გამოიწვია და მეხანძრეების მოსვლამდე ტარაკნებთან მებრძოლის სახლი თითქმის მთლიანად დაიწვა, თუმცა ალბათ, მაჩედამ მიზანს მაინც მიაღწია: მის „დეზინფიცირებულ“ საცხოვრებელში დიდხანს არანაირი მწერი აღარ გამოჩნდება.

შრომისუნარიანობას თვალის ფერი განსაზღვრავს?

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები ხელჩასაჭიდს ვერაფერს პოულობდნენ იმასთან დაკავშირებით, რა გავლენას ახდენს თვალის ფერი ადამიანის ხასიათსა და მის უნარზე. ამჯერად ამერიკელმა სწავლულებმა მოახერხეს ამ საკითხის გამოკვლევა და სენსაციური ინფორმაციაც გამოაქვეყნეს. თურმე, თანამედროვე მსოფლიოში თვალები ადამიანის ინტელექტუალური უნარის მაჩვენებელია. ცისფერი თვალების მქონე ხალხი უფრო მეტად შრომისუნარიანი ყოფილა და მეტ წარმატებას აღწევს აკადემიური განათლების მიღებისას, ვიდრე დანარჩენები. მათ თურმე, უფრო მეტად აქვთ განვითარებული სტრატეგიული აზროვნება და სპორტის ისეთ სახეობაშიც კი, როგორიც გოლფია, უკეთ თამაშობენ, თუმცა თავად სწავლულებსაც გაუჭირდათ, ამ დასკვნებისთვის დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა მოეძებნათ. სხვათა შორის, ფსიქოლოგები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ადამიანის თვალის ფერსა და მის ხასიათს შორის კავშირი არსებობს. ასე, მათი მოსაზრებით, ღია ფერის (ნაცრისფერი, ცისფერი, ლურჯი) თვალის მქონეებს არ ეშინიათ გარშემომყოფთა წინააღმდეგობის, ამიტომ საკუთარ თავში თითქმის ყოველთვის დარწმუნებულები არიან. ასეთ პიროვნებებს მიდრეკილება აქვთ ავანტიურებისადმი. ნაცრისფერ-ყავისფერ-მწვანეთვალებიანი ადამიანები — უყურადღებოები და არამდგრადები არიან, თუმცა ამავე დროს, მგრძნობიარე ხასიათი აქვთ. მუქი ფერის თვალების მქონეები კი ჩვეულებრივ მომხიბვლელები არიან და შეუძლიათ მოსაუბრის „მიზიდვა“. მათ კარგი მეხსიერება აქვთ და მოვლენების გაანალიზებაც შესანიშნავად შეუძლიათ.

ჩაი და ყავა ინსულტისგან გვიცავს

იაპონელი მეცნიერების დაკვირვებით, ყავისა და მწვანე ჩაის რეგულარული მოხმარება ინსულტის რისკს 14-20%-ით ამცირებს. ამომავალი მზის ქვეყნის გულსისხლძარღვთა ცენტრის მკვლევარებმა, ექსპერიმენტის ფარგლებში, 45-დან 73 წლამდე ასაკის, 83 ათასი ადამიანი გამოკითხეს. გამოკვლევა 13 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანებს, ვინც დღეში სულ ცოტა, ერთ ფინჯან ყავას მაინც მიირთმევდა, 20%-ით ნაკლებად ჰქონდათ ინსულტის განვითარების შანსი, მათში კი, ვინც დღეში ორ-სამ ჭიქა მწვანე ჩაის სვამდა, ეს რისკი 14%-ით იკლებდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტი მონაწილეთა იმ ნაწილს, ვინც ყავასაც მიირთმევდა და მწვანე ჩაისაც, ტვინში სისხლის გაჟონვის რისკი 32%-ით ნაკლებად ემუქრებოდათ. სწავლულების თქმით, ჯერჯერობით უცნობია, ყავისა და ჩაის შემცველობაში არსებული რომელი ნივთიერება უშლის ხელს დაავადების წარმოქმნას და ამ მხრივ ისინი გამოკვლევებს კვლავ განაგრძობენ.

სუში ჰამბურგერზე კალორიულია



ის ადამიანები, ვისაც სურს, იდეალური ფიგურა ჰქონდეს, საჭმელად ყველაზე ხშირად იაპონურ რესტორანში დადიან და არა „მაკდონალდსში“. მათ სწამთ, რომ სუში და სხვა იაპონური კერძები ძალიან სასარგებლოა, თუმცა ამერიკელმა დიეტოლოგმა რეიჩელ ბელერმა ეს მითი გააცამტვერა. მისი განცხადებით, სუშისგან შემდგარი სადილი უფრო მეტ კალორიას შეიცავს, ვიდრე ფასტ-ფუდი. ტიპური სუში-როლი 290-დან 350 კალორიამდე და ნახშირწყლებს შეიცავს, რაც სამი-ოთხი ნაჭერი პურის ეკვივალენტურია, — წერს საკუთარ წიგნში დიეტოლოგი ბელერი. მისი თქმით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „კალიფორნია“ — თევზის ნაჭრებით, ხიზილალით, ავოკადოთი და მაიონეზით, შემადგენლობით ორ ბუტერბროდს უდრის კიბორჩხლას „ჩხირებით“, ავოკადოთი და ბოსტნეულით. იაპონური სამზარეულოს კერძებით რომ დანაყრდეთ, ჩვეულებრივ, ასეთი კერძის ორი ულუფა უნდა შეუკვეთოთ, რაც 1000 კალორიას აჭარბებს. მსოფლიო სარესტორნო ბაზარზე აღმოსავლური, კერძოდ კი, იაპონური სამზარეულოს დამკვიდრებიდან დღემდე, სუში საკმაოდ „გაევროპელდა“ და ახლა უამრავ შემწვარ ინგრედიენტს შეიცავს, ხორცს, ყველს, ცხიმიან სოუსს... მოკლედ, ყველაფერს, რაც ამ კერძის ჩვეულებრივ ულუფას ნამდვილ კალორიულ ნაღმად აქცევს. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კერძის ძირითად მასას ბრინჯი შეადგენს. მას ჯერ გადაამუშავებენ, რომლის დროსაც ბრინჯი თითქმის ყველა სასარგებლო ნივთიერებასა და ვიტამინებს კარგავს, შემდეგ კი, შაქრის გამოყენებით ამზადებენ. ნახშირწყლების ასეთი მუხტი, რომელსაც ორგანიზმი სუშის მირთმევის შემდეგ იღებს, აღნაგობაზე ცუდად აისახება. როგორც დიეტოლოგი ამტკიცებს, სუში თითქმის არ შეიცავს ცილას, კალციუმსა და ფოლიუმის მჟავას, სამაგიეროდ, ბევრია მარილი. იაპონური მენიუს ყველაზე სასარგებლო პუნქტად ბელერი საშიმის მიიჩნევს.

მამაზე გაბრაზებული მის ფერფლს ყიდის

დიდი ბრიტანეთის ვორვიკშირის საგრაფოში მამაკაცმა ინტერნეტ-აუქციონზე საკუთარი მამის ფერფლი გამოიტანა გასაყიდად, რათა სამაგიერო გადაუხადოს იმის გამო, რომ თავის დროზე, შვილად არ აღიარა. როგორც 50 წლის უილიამ აირლენდი ამტკიცებს, 6 წლის იყო, როცა მამამ ის და დედა მიატოვა და ახალი ოჯახი შექმნა. მთელი ბავშვობა მამა მენატრებოდა, მოგვიანებით შევხვდი, გარკვეულ დროს ერთად ვატარებდით, მაგრამ 2006 წელს გარდაიცვალა და გაირკვა, რომ მთელი ქონება იმ ქალს დაუტოვა, ვის გამოც მიგვატოვა, ჩვენზე კი არ უზრუნია, — ამბობს გულნატკენი აილენდი. მეორე ცოლის წინააღმდეგობის მიუხედავად, მამის ფერფლი უილიამს ერგო. ახლა კი გარდაცვლილ მშობელს სამაგიეროს ასე უხდის. საიტზე განთავსებულ მის განცხადებაში წერია: ეს არის მამაჩემის ფერფლი, რომელმაც ცოლქმრობის ფიცი დაარღვია, მეუღლე და ორი ბავშვი 17 გირვანქა სტერლინგის ამარა მიატოვა. მას ერთი პენიც კი არ გადაუხდია შვილების აღზრდაში. გამოუჩნდება თუ არა მყიდველი გაბრაზებული შვილის ლოტს, ჯერჯერობით უცნობია. შესაძლოა, ქმარი მეორე ცოლმა შეიცოდოს და მისი ფერფლი გამოისყიდოს.



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.